

ISSN 1987-5789

# ეკონომიკა და ბიზნესი

ECONOMICS AND BUSINESS  
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

1


ტომი VIII, №1, 01/2015-მარტი  
Volume VIII, No.1, January-March  
Том VIII, №1, Январь-Март

2015

03269 ქავახიშვილის სახელობის თამიჯისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკისა და ადგენერის უაკულტეტის საერთაშორისო რეზერვირებადი და  
რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაკტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal  
of the Faculty of Economics and Business,  
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-  
практический журнал факультета Экономики и Бизнеса Тбилисского  
государственного университета им. Ив. Джавахишвили



გამოდის – 2008 წლის იანვრიდან – ორ თვეში ერთხელ,  
2015 წლიდან – კვარტალში ერთხელ

Published since January, 2008 once in two months,  
Since 2015- Quarterly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,  
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,  
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.  
e-mail: ebf.journal@tsu.ge

## სარგებლიო პოლემიკა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: რამაზ აბესაძე, იური ანანიაშვილი, თემურ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია (მთავარი რედაქტორი), თამაზ ზუბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, მაია მარგელაშვილი, ქეთევან მარტავა, მურთაზ მაღრაძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მექვაძიშვილი, დავით ნარმანია, ვლადიმერ პაპავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), ავთანდილ სილაგაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი), დემურ სიჭინავა, მირიან ტუხარშვილი, გიორგი დალანიძე, თეიმურაზ შენგელია, ლეო ჩიკავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი), ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი.

## EDITORIAL BOARD

Doctors of Economic Sciences, Professors: Ramaz Abesadze, Iuri Ananiashvili, Temur Beridze, Giorgi Gaganidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia (Editor-in-chief), Tamaz Zubiashvili (Executive Secretary), Nugzar Todua, Irakli Kovzanadze, Maya Margvelashvili, Ketevan Marshava, Murtaz Magradze, Iakob Meskhia, Elguja Mekvabishvili, David Narmania, Vladimer Papava (Academician of the National Academy of Sciences of Georgia), Avtandil Silagadze (Academician of the National Academy of Sciences of Georgia), Demur Sichinava, Mirian Tukhashvili, Temur Shengelia, Leo Chikava (Corresponding Member of the Georgian National Academy of Sciences), Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Eter Kharashvili.

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Доктора экономических наук, профессора: Рамаз Абесадзе, Темур Беридзе, Георгий Гаганидзе, Симон Гелашвили, Реваз Гвелесиани, Реваз Гогохия (главный редактор), Тамаз Зубиашвили (ответственный секретарь), Нугзар Тодуа, Ираклий Ковзанадзе, Муртаз Маградзе, Майя Маргвелашвили, Кетеван Маршава, Елгуджа Меквабишвили, Якоб Месхия, Давид Нармания, Владимер Папава (Академик Национальной Академии Наук Грузии), Автандил Силагадзе (Академик Национальной Академии Наук Грузии), Демур Сичинава, Мириан Тухашвили, Темур Шенгелия, Лео Чикава, (член корреспондент Национальной Академии Наук Грузии), Нодар Хадури, Элене Харабадзе, Этер Хараишвили.

---

## **სარედაქციო კოლეგიის უცხოული წევრები**

კოლეგიანგ ვენგი – ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ოლეგ კარასევი – ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრის გამგე, ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი, იან მიხალეკი - ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, ეკ. მეცნ. დოქტორი, დიმიტრი სოროკინი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკ. მეცნ. დოქტორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

### **FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD**

Wolfgang Weng – Professor at Berlin University, Oleg Karasevi – Lomonosov Moscow State University, Department of Statistics Doctor of Economic Sciences, professor, Jan Mikhaleki - Dean of Faculty of Economics, University of Warsaw, Doctor of Economic Sciences, Dmitry Sorokin - Corresponding Member of the Russian Academy, Doctor of Economic Sciences, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, Professor.

### **ИНОСТАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ**

Вольфганг Венг – профессор Берлинского Технического Университета, Олег Карасев – зав. кафедрой статистики Московского Государственного Университета им. Ломоносова, д.э.н., профессор, Ян Михалек – декан факультета экономических наук Варшавского Университета, д.э.н., профессор, Дмитрий Сорокин – член корреспондент Российской Академии Наук, д.э.н. профессор, Томас Халдма – декан факультета экономики и администрирования бизнеса университета Тарту, профессор.

## სარჩევი

შერცელ „ეპონიმია და პიგვენის“ აზროვნებს ..... 8

### ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური კოლექტიკა

<b>რეაგ გელაშვილი.</b> ეპონომიკური პოლიტიკის გამტარებელებისა და ინტერესთა ჯგუფების ურთიერთობის პრობლემები ..... 9
<b>პატარ პოლუამზოლი.</b> რა უნდა გავიზიაროთ ამჟრიკული გამოცდილებიდან .... 19
<b>ბალინირამზოლი.</b> საქართველოს პოზიცია გლობალურ გეოსტრატეგიულ ღანცენტრში ..... 39
<b>ჯემალ ხარიშონაშვილი.</b> ანტუან მონკრეტიული (1575-1621) „პოლიტიკური ეპონომიის“ სათავეებთან (დაბადებიდან 440 წელი) ..... 53

### მიპროექტების მართვა ეპონომიკა. ეპონომიკა

<b>გულაგ მრავალვილი.</b> აგრარული სექტორის განვითარების ხელშემწყობი ეპონომიკური პოლიტიკა საქართველოში ..... 65
<b>თეოდოს ვერულავა, გაერ გაულდაში.</b> გადაუდებელი დაავადებების ფინანსური ხელმისაწვდომობა საქართველოში ..... 75
<b>ნოეს ქარევამზოლი.</b> სტრატეგიის ფორმირებისა და აღსრულების აქტუალური საკითხები თანამედროვე ქართულ ორგანიზაციებში .... 87
<b>ნათებ დარღვეულისამზოლი.</b> საქართველოს სამომავლო პერსპექტივები ასოცირების შეთანხმების კონტექსტით ..... 101

### მუნიციპალიტეტი. მარკეტინგი. ტურიზმი

<b>გიორგი ლალაძე.</b> კონკურენტული უპირატესობის ძიებაში ..... 113
<b>მაია მოგორიძე.</b> ინფლაციის და პროცენტის ნორმის თეორიული მოდელების ზოგიერთი საკითხი ..... 127
<b>ნეგატიური მოვლენა დოკუმენტი.</b> საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კალევა დისპერსიული ..... 137

### ანალიტიკური ინფორმაცია

**გიორგი ტეველაშვილი, სალომე ყიშიანი.** საქართველოს საავტომობილო გადაზიდვების ზრდის შესაძლებლობები ..... 149

### ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ - რაც გვიჩვითა აგრი?

<b>Мириан Тухашвили. Фундаментальное исследование (А.Г.Злотников. Демографические идеи и концепции. Минск, Право и Экономика, 2014, 388 с.)</b> ..... 155
<b>გიორგი ბერიძეამზოლი.</b> საინტერესო და ფრიად საჭირო ნაშრომი (აბესაძე Р., Бурдули В. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Институт Экономики Плата Гугушвили ТГУ. Тбилиси, 2014. – 372 стр.) ..... 158

ქურნალი - „ეპონომიკა და ბიზნესი“, სამეცნიერო სტატიების წარდგენისა და გამოქვეყნების ახალი სტანდარტები ..... 165

---

---

## CONTENTS

To the authors of the Journal “Economics and Business” ..... 8

### ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

R. GVELESIANI. Problems of Relation between Economic Policy Implementers and Interest Groups .....	9
P. KOGUASHVILI. What to Share from American Experience .....	19
B. RAMISHVILI. Georgia’s Position in the Gobal Geostrategic Landscape ..	39
J. KHARITONASHVILI. Antoine de Montchrestien (1575-1621) at the Origins of „Political Economy“ (440 years from the birth) .....	53

### MICROECONOMICS. MACROECONOMICS . ECONOMETRICS

G. ERQOMAISHVILI. Economic Policy Contributing to the Development of Agricultural Sector in Georgia .....	65
T. VERULAVA, M. GABULDANI. The Accessibility of Emergency Neuro-surgical Diseases of Universal Health Care Program .....	75
N. KARKUZASHVILI. The Topical Issues of Strategy Formation and Its Execution in the Modern Georgian Organizations .....	87
N. DAGHELISHVILI. Future Prospects of Georgia in the Context of the Association Agreement .....	101

### MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

G.GAGANIDZE. Searching Competitive Advantages .....	113
M.GOGOKHIA. Some of the Issues of Inflation and Interest Rate’s Theoretical Modeling .....	127
N. TODUA, T. DOTCHVIRI. Marketing Research of Consumer Behavior on the Georgian Market Using Analysis of Variance .....	135

### ANALYTICAL INFORMATION

G. TKESHELASHVILI, S. KIPIANI. The Growth Possibilities of Trucking in Georgia .....	149
--------------------------------------------------------------------------------------	-----

### NEW BOOKS : WHAT IS PROFESSIONAL – EVALUATION OPINION?

M. TUKHASHVILI . Fundamental Research .G.Zlotnikov.Demographic Ideas and Concepts .. Minsk, Law and Economics , 2014 , 388 p. ) .....	155
G.BEDIANASHVILI. Interesting and Very Necessary Work( R.Abesadze, V.Burduli, Structural Problems of Economic Development and Innovation, Tb., 2014, 372 p ; in Russian) .....	158

Journal of “Economics and Business “ Scientific articles and publication of new standards .....	165
-------------------------------------------------------------------------------------------------	-----

---

---

## СОДЕРЖАНИЕ

Авторам журнала «Экономика и бизнес» ..... 8

### ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

Р. ГВЕЛЕСИАНИ. Проблемы взаимоотношения проводников экономической политики и групп интересов .....	9
П. КОГУАШВИЛИ. Что мы можем разделять из американского опыта.....	19
Б. РАМИШВИЛИ. Позиция Грузии в глобальном геостратегическом ландшафте .....	39
ДЖ. ХАРИТОНАШВИЛИ. Антуан Монкретьен (1575-1621) к истокам политической экономии (440 лет со дня рождения) .....	53

### МИКРОЭКОНОМИКА, МАКРОЭКОНОМИКА, ЭКОНОМЕТРИКА

Г. ЕРКОМАИШВИЛИ. Экономическая политика содействующая развитию аграрного сектора .....	65
Т. ВЕРУЛАВА, М. ГАБУЛДАНИ. Финансовая доступность неотложных заболеваний в Грузии .....	75
Н. КАРКУЗАШВИЛИ. Актуальные вопросы формирования и исполнения стратегии в современных грузинских организациях.....	87
Н. ДАГЕЛИШВИЛИ. Будущие перспективы Грузии в контексте соглашения асоцирования .....	101

### МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

Г. ГАГАНИДЗЕ. В пойсках конкурентного преимущества .....	113
М. ГОГОХИЯ. Некоторые вопросы теоретических моделей инфляции и нормы процента .....	127
Н. ТОДУА, Т. ДОЧВИРИ. Маркетинговое исследование потребительского поведения на рынке Грузии с использованием дисперсионного анализа .....	135
Г. ТКЕШЕЛАШВИЛИ, С. КИПИАНИ. Возможности роста автомобильного перевоза Грузии .....	149

### НОВЫЕ КНИГИ: КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛОВ-РЕЦЕНЗЕНТОВ?

М. ТУХАШВИЛИ. Фундаментальное исследование (А.Г. Злотников. Демографические идеи и конференции. Минск, Право и Экономика, 2014, стр.388) .....	155
Г. БЕДИАНАШВИЛИ. Интересный и очень нужный труд (Р.Абесадзе, В.Бурдули: Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тб., 2014, стр.372). ....	158

Новые стандарты представления и опубликования научных статей в журнале «Экономика и бизнес» .....

## შპრნალ “ეკონომიკა და ბიზნესის” ავტორებს

თქვენს ყურადღებას მივაჰყორობთ ჩვენი ჟურნალისათვის სტატიების გაფორმების ახალ სტანდარტებზე, რომლის მიზანია ჟურნალის რაც შეიძლება მაქსიმალურად ჩართვა საერთაშორისო ბრუნვაში, ასევე ბიბლიოგრაფიული აღწერისა და სამეცნიერო ციტირების საერთაშორისო ბაზაში, ანუ ის, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ძირითადი დებულებები და დასკვნები ხელმისაწვდომი გახდეს საზღვარგარეთის ფართო აუდიტორიისათვის. ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სტატიის ინგლისურენოვანი ანოტაცია და გამოყენებელი ლიტერატურის სია, რამეთუ არა უშეალოდ ტექსტით, არამედ არსებითად მხოლოდ აღნიშნულის მეშვეობითაა შესაძლებელი საზღვარგარეთელ მკითხველთა ყურადღების მიპყრობა სტატიის თემისადმი. შესაბამისად, ყველა ავტორის ინტერესებშია მაქსიმალურად ბეჭითად მიუდგეს სტატიის აღნიშნული ბლოკების მომზადების და მათი მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას.

აღნიშნულთან ერთად გაცნობებთ, რომ 2015 წლიდან იცვლება ჟურნალის ფორმატი, სტრუქტურა და გამოსვლის პერიოდულობა: A5 ფორმატიდან გადავდივართ A4-ზე, ხოლო თუ ჟურნალი 2008-2014 წლებში წელიწადში გამოდიოდა 1 გომი 6 ნომრით (სულ გამოიცა 7 გომი 42 ნომრით), 2015 წლიდან გამოვა კვარტალურად, ე.ო. წელიწადში 1 გომი 4 ნომრით. შესაბამისად, წინამდებარე ჟურნალი VIII ტომის პირველი ნომერია.

არსებითად იცვლება სტატიათა რეცენზირების წესიც, რომლის არსია ანონიმური რეცენზირება რეიტინგული სისტემით.

აღნიშნულ და სხვა სიახლეებს შეგიძლიათ გაეცნოთ ჟურნალის დანართში – „ჟურნალში - “ეკონომიკა და ბიზნესი”, სამეცნიერო სტატიების წარმოდგენისა და გამოქვეყნების ახალი სტანდარტები.“

## შპრნალ “ეკონომიკა და ბიზნესის” რედაქცია

**ეპირევანის უნივერსიტეტის  
გამტარებლებისა და ინტერესთა  
ჯგუფების ურთიერთობის  
კომიტეტი**

**რევეზ გველასიანი**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკური პოლიტიკის  
კათედრის ხელმძღვანელი, ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-  
გერმანული ინსტიტუტის დირექტორი

ახალი პოლიტიკური ეკონომიკის მნიშვნელოვან ამოცანას  
წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების წარმოშობისა და მათი  
ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების  
პროცესზე გავლენის გაანალიზება და შეფასება. აქედან  
გამომდინარე, სტატიის მიზანია გააანალიზოს ეკონომიკური  
პოლიტიკის გამტარებლებისა და ინტერესთა ჯგუფების  
ურთიერთობის პრობლემები, კერძოდ, ინტერესთა ჯგუფების  
გავლენა ეკონომიკურ პოლიტიკაზე და მისი წინააღმდეგობრივი  
შედეგები.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკური პოლიტიკის  
გამტარებლები, ინტერესთა ჯგუფები; მიზანთა კონფლიქტი,  
ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

მ. ოლსონმა თავის ნაშრომებში საფუძველი ჩაუყარა  
ლობისტური ჯგუფების ორგანიზების თეორიას. მან უწვენა,  
თუ რა მიზნით და როგორ ყალიბდება თანამედროვე  
საზოგადოებაში ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც თავიანთი  
წევრების განსაზღვრულ კოლექტიურ საქონელთან წვდომას  
უზრუნველყოფენ. ოლსონი დიდ საფრთხეს ხედავდა იმაში, რომ  
საზოგადოებრივი ინტერესების ორგანიზება სიმეტრიულად არ  
ხორციელდება. სხვისი კაპიტალის მითვისებისა და მოხმარების  
საფრთხისა და ორგანიზაციის ხარჯების გამო, როგორც წესი,  
პატარა ჯგუფების განსაკუთრებული ინტერესები შესაძლოა,  
ინსტიტუციურად ბევრად უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს  
ერთმანეთს, ვიდრე უფრო მოზრდილ ჯგუფთა ინტერესები. თუმცა,  
როდესაც პატარა, კარგად ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები  
ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე მეტისმეტად დიდ გავლენას

## რევაზ გველესიანი

ახდენენ, ისინი გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს ბლოკავენ. მიზანმიმართული ლობიზმის საშუალებით ისინი ცდილობენ, გაზარდონ თავიანთ წევრთა შემოსავალი, მაშინაც კი, როდესაც იგი არა საყოველთაო კეთილდღეობის ზრდასთან, არამედ, წმინდა გადანაწილებასთან არის დაკავშირებული [1].

### ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებს შორის კონფლიქტი

ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებს შორის კონკურენცია შეფასების პრობლემებს უკავშირდებარაც ამნედებს ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ორი კონფლიქტური მიზნის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, საქმე ეხება მათ შორის მაქსიმალური კომპრომისის მიღწევას. თუ არ გავითვალისწინებო ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მაშინ რეალიზების ხარისხის მიხედვით, საუკეთესო იქნებოდა ის კომბინაცია, რომლის დროსაც ამ მიზანთაგან ერთ-ერთთან მიახლოება უფრო მეტ სარგებლობას მოგვიტანდა იმ ალტერნატიულ ხარჯებთან შედარებით, რაც დაკავშირებული იქნებოდა ნებისმიერი სხვა მიზნის მიღწევასთან [2, გვ. 280-281].

სწორედ მიზანთა ასეთი კონფლიქტის მაგალითზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფასების სტაბილურობასა და დასაქმების მაღალ დონეს შორის ურთიერთკავშირი არსებობს, თუ მხედველობაში მივიღებოთ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკის კონვენციონალურ ინსტრუმენტებს [4, გვ. 177-194].

ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებს შორის ამგვარი კონკურენციული ურთიერთობების მიზეზი ცნობილი გახდება, როცა დადგინდება:

- თუ რამდენი ინსტრუმენტის გამოყენებაა შესაძლებელი მიზნის მისაღწევად;

- მიზანთა კომპლექსის განსახორციელებლად ინსტრუმენტების გამოყენება როგორ წარიმართება მართვის არსებული უნარ-ჩვევების მიხედვით;

- რა გვერდითი მოვლენების პირობებში ხდება მიზნის რეალიზება [2, გვ. 281].

მიზანთა კონფლიქტის პირველი მიზეზი ის შეუსაბამობაა, რაც დასახულ მიზანსა და მისი მიღწევის საშუალებებს შორის არსებობს. მაგ., როცა მოცემულია ორი მიზანი და ერთი საშუალება და ამ უკანასკნელის გამოყენებას ერთ-ერთი მათგანის მიმართ ორივე მიზნისათვის ნეგატიური გვერდითი შედეგი მოაქვს. ამ შემთხვევაში ნეგატიური გვერდითი შედეგების კომპენსირება სხვა ინსტრუმენტის გამოყენებით ხდება, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რაოდენობრივი თანაფარდობა

მიზნებსა და საშუალებებს შორის, თითქოს ეკონომიკურ-პოლიტიკური წარმატების საწინდარი იყოს. ამას ხშირად ხელს უწყობს, როგორც ინსტრუმენტების შეზღუდული რაოდენობა, ასევე გაურკვევლობა გვერდითი ზეგავლენის შედეგებთან დაკავშირებით.

ინსტრუმენტების გამოყენების საფუძველზე მიზანთა კონფლიქტები მაშინაც წარმოიშობა, როცა უზრუნველყოფილია რაოდენობრივი თანაფარდობა მიზნებსა და საშუალებებს შორის; საქმე ის არის, რომ მართალია, გადაწყვეტილების გამტარებელი წინასწარ ვარაუდობს იმას, თუ რა ზეგავლენა ექნება მის მიერ ინსტრუმენტების გამოყენებას, მაგრამ თავიდან შეუძლებელია იმის გათვალისწინება – შეძლებს თუ არა იგი სხვა მიზანთა რეალიზების დონის ფაქტობრივ გაკონტროლებასაც.

შემოთავაზებული კლასიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, ქცევაზე ორიენტირებულ პოზიციას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ანგარიში უნდა გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ მართვის ყველა სოციოეკონომიკური ტექნოლოგია, საბოლოო ანგარიშით, იმის მიხედვით შეფასდება თუ როგორი რეაქცია ექნება მათზე ეკონომიკურ სუბიექტებს [5, გვ. 97]. სწორედ ეს იწვევს გაურკვევლობას იმის თაობაზე, თუ როგორ წარიმართება ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენება და რა შედეგები მოჰყვება მას.

შესაძლებელია, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ:

- მიზანზე პირდაპირი ზემოქმედების ინსტრუმენტები და
- ინსტრუმენტები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ქცევაზე (არაპირდაპირი მოქმედების ინსტრუმენტები) [6, გვ. 312], [5, გვ. 99].

პირდაპირი მოქმედების ინსტრუმენტთა გამოყენების უშუალო შედეგი, იმ პირობებში, როცა სხვა ყველაფერი უცვლელი რჩება, დასახულ მიზანზე ზემოქმედება იქნება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის რეაქციები, რაც მათ გამოყენებაზე ექნებათ კერძო ეკონომიკურ ერთეულებს. საქმე ის არის, რომ ამგვარ რეაქციებს შეუძლია გააძლიერონ ანდა შეასუსტონ მიზანზე უშუალო ზემოქმედება. რაც შეეხება არაპირდაპირი მოქმედების, ანუ ქცევებზე ზეგავლენის მომხდენ ინსტრუმენტებს, ისინი, პირიქით, ხელს უწყობენ კერძო ეკონომიკური ერთეულების მხრიდან მიზნისადმი კონფორმული რეაქციების წარმოშობას. ამრიგად, ინსტრუმენტთა ასეთი ვარიაციები სხვა არაფერია, თუ არა ცოტად თუ ბევრად ქმედითი სტიმულები, რაც ხელსაყრელ შემთხვევაში ეკონომიკური გეგმების მიზნისადმი კონფორმული ცვლილებების საშუალებას იძლევა.

## ინტერესთა ჯგუფების გავლენა ეკონომიკურ— პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე

ეკონომიკური პოლიტიკის მოქმედება თუ უმოქმედობა შესაძლებელია ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელსა და ინტერესთა ჯგუფებს შორის ნებაყოფლობითი შეთანხმების საგნად იქცეს [5, გვ.109]. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკონომიკურ სუბიექტებთან შეთანხმებას იმ შემთხვევაში ცდილობს, როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტები საფრთხეს უქმნის. ამ ინსტრუმენტის შინაარსის გასაგებად მნიშვნელოვანია გავეცნოთ განვითარებულ ქვეყნებში მოქმედ ნორმებს. მათ შორის გავრცელებულია „ჩარჩო ხელშეკრულება ექსპანსიისა და სტაბილურობის შესახებ“. ასეთი ხელშეკრულება სახელმწიფოსა და შრომის ბაზრის მხარეებს შორის შეთანხმების რეკომენდაციას გვაძლევს. ზოგჯერ სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა კონიუნქტურის მიზნობრივი სტიმულირება, ხოლო შრომის ბაზრის მხარეთა მიერ – დათმობა სტაბილიზაციის პოლიტიკის სასარგებლოდ. განვითარებულ ქვეყნებში ასეთი თანხმობის ინსტიტუციურ პლატფორმას წარმოადგენს კანონები ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის ხელშეწყობის შესახებ. ამ ტიპის კანონები განვითარებისა და ზრდის მიზნის მისაღწევად რეგიონული ხელისუფლების, პროფესიურებისა და მეწარმეთა გაერთიანებების ერთდროულ და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას უწყობს ხელს [2, გვ. 337-346].

ასეთი შეთანხმების მნიშვნელობის თვალსაზრისით საჭიროა იმის გაცნობიერება, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერ მიღწეული შედეგები არადამაკმაყოფილებელი იქნება ინტერესთა ჯგუფების მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინტერესთა ჯგუფები ეკონომიკური პოლიტიკის გატარების სფეროში ძალაუფლებას ფლობენ და ნებსით თუ უნდა დაგვალენას ახდენენ სახელმწიფო პოლიტიკაზე. ამით კი იზღუდება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლის ავტონომია. ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური ძალაუფლების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პოლიტიკოსებს და თავიანთ წევრებს ისეთ ინფორმაციებს აწვდიან, რომლის მიღებაც მათთვის სხვა შემთხვევაში მნიშვნელოვან ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკოსები, როგორც წესი, არასაკმარის ცოდნას ფლობენ კონკრეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ზემოქმედებისა და ამომრჩევლების პრიორიტეტების შესახებ, ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნებისა და საშუალებების თვალსაზრისით. ინტერესთა ჯგუფების მიერ მსგავსი ინფორმაციებით უზრუნველყოფა, შედარებით ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, ინტერესთა

გაერთიანებებს შეუძლიათ თავიანთ წევრებს ასევე ზუსტი ინფორმაცია მიაწოდონ სახელმწიფო ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ და ამით ხელი შეუწყონ ინდივიდუალური საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისას საჭირო ცოდნის ღონის გაუმჯობესებას. ალიანსთა ძალაუფლება ასევე შესაძლებელია ეფუძნებოდეს იმ ფაქტს, რომ მათ ორგანიზებულობის მაღალი ხარისხის გამო შეუძლიათ მიზანმიმართული აქციებით გაფლენა მოახდინონ მთლიან ეკონომიკურ სისტემაზე. ალიანსების მსგავსი „საბაზრო ძალაუფლება“ გამოხატულებას პოვგბს ორგანიზებული გაფიცვის ან გარკვეულ პროდუქტებზე ბოკოტის ფორმით [12, გვ. 294]. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებელია ინტერესთა ჯგუფების ძალაუფლების შეზღუდვა, ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები შემდეგ ალტერნატივებს შორის არჩევანის წინაშე დგანან:

- ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ისინი ცდილობენ იმ პირობებში, როდესაც შესაძლებელია ინტერესთა ჯგუფებმა მათზე ზეგავლენა მოახდინონ. ამასთანავე, აცნობიერებენ იმას, თუ რამდენად არიან ინტერესთა ჯგუფები პასუხისმგებელი იმ ზიანზე, რომელიც ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს ეხება;

- ისინი ცდილობენ ინტერესთა ჯგუფებთან შეთანხმებას იმ საფუძველზე, რომ მიზნის ასეთი დაზარალებით თვით ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლებიც ზარალდებიან.

ფასების სტაბილურობისა და დასაქმების მაღალი დონის მიზნებს შორის კონფლიქტი პირველი ალტერნატივის გამოხატულებაა. ამ დროს ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ფასების სტაბილურობის პირობებში დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობას საქონლისა და სამუშაოს მიმწოდებლებს აკისრებს. ამ შემთხვევაში ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებელი ფასების სტაბილიზების მის ხელთ არსებულ შესაძლებლობებს გამოიყენებდა და შეაფასებდა თუ რამდენად უარყოფითად იმოქმედებდა მიწოდების პირობების დადგენა (როგორც განაწილებასთან დაკავშირებული კონფლიქტების შედეგები) დასაქმებასა და საწარმოო სიმძლავრეების ეფექტიან გამოყენებაზე. ეკონომიკური პოლიტიკის ამ პოზიციასთან დაკავშირებული პრაქტიკული სიმძლეები, უპირველეს ყოვლისა, იქნან გამომდინარეობს, რომ იგი საკმარისად არ ითვალისწინებს დასაქმების პრობლემის სხვადასხვა მიზეზს, მიწოდების მხრიდან სტაბილურობის დარღვევის მოქმედებათა ჩათვლით [2, გვ. 290-291].

მეორე შესაძლებლობა - შეთანხმება, როგორც ჩანს, პრაქტიკული გონების მოთხოვნაა. არსებული პოლიტიკის თვალსაზრისით იგი შეიძლება სხვადასხვანაირად შეფასდეს. ეს ინსტრუმენტი მისი კორპორაციული ასპექტის გამოა სასურველი. სტაბილურობის პოლიტიკა დაასტურებს თავისუფალ საზოგადოებაში ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფების არსებობას. მისი სახით

## რევაზ გველიანი

ჩვენ გაგვაჩნია მოქნილი მეთოდი, რომელიც საზოგადოებაში არსებულ ავტონომიურ ჯგუფებს ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ ფორმირებაში მონაწილეობას შეაძლებინებს [7, გვ. 71]. საწინააღმდეგო პოზიციიდან, პირიქით, საეჭვოა ეკონომიკური პოლიტიკის წინასწარ ფორმირებაში, როგორც შეთანხმების მაჩიებელი ხელისუფლების წარმომადგენლის, ასევე ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობა. განსაკუთრებით საეჭვოა ის თუ რამდენად ლეგიტიმურია ამ პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლის მონაწილეობა. ირლევვა თუ არა ამით დემოკრატიულად და კონსტიტუციურად გარანტირებული უფლება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე ხელი ყველას უნდა მიუწვდებოდეს? ინტერესთა ჯგუფების (გაერთიანებათა) მონაწილეობა პრობლემურია იმ მხრივ, რომ მათი შინაგანი სტრუქტურა (პარტიებისგან განსხვავებით) დამოკრატიულ საწყისებს არ ემყარება. ამ გაერთიანებებს არ აქვთ პრეტენზია იმაზე, რომ ისინი ყველა ამომრჩეველს წარმოადგენენ. უპირველეს ყოვლისა, მათ არ აქვთ საყოველთაო პოლიტიკური მანდატი, რაც აუცილებელია ეკონომიკურ პოლიტიკასა და ჩვეულებრივ პოლიტიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების ოვალსაზრისით. ამ პოზიციის წარმომადგენელს მიაჩნია, რომ „სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა არ არის სახელმწიფო ორგანოებთან დაკავშირებული გავლენიანი ჯგუფების კონსორციუმი, არამედ იგი ეხება თითოეულ სუვერენულ მოქალაქეს, რომელიც გადასახადებს იხდის და როგორც ეკონომიკური სუბიექტი ხარჯებს სწევს“ [8, გვ. 15].

ეკონომიკური პოლიტიკის კორპორაციული ხასიათის წინააღმდეგ მარტო კონსტიტუციური პრინციპები როდი მეტყველებს, ასეთ კითარებაში ეკონომიკური პოლიტიკის შედეგებიც საეჭვო ღირებულებისაა [9, გვ. 125-150]. ავტონომიურობის მხრივ დიდი მსგავსებაა ეკონომიკური პოლიტიკის სახელმწიფო გამტარებელსა და ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფებს შორის. ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით, პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებლის მოვალეობაა გააუმჯობესოს საწარმოო პირობები, ბიზნესის, კონკურენციისა და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობები. რაც შეეხება ურთიერთქმედებას, მოსალოდნელია, რომ ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები აღნიშნულ პირობებსა და შესაძლებლობებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს (მათი მზარდი ძალაუფლების გამო). საწარმოო პირობების გაუმჯობესება, ამ შემთხვევაში, გლობალური კონტროლის საფუძველზე ხორციელდება. თუ ავიდებთ დანასარჯების შემცირების მიზანს, მაგ., ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში, მნიშვნელოვანია, როგორც საწარმოო პირობები, ასევე მომსახურების გაყიდვის შესაძლებლობები. მართვის სისტემაში დაგეგმილი რეზორმების თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელობა სწორედ დანასარჯების შემცირების მიზანს ენიჭება იმ ზეგავლენის გამო, რომელიც მასზე შესაძლებელია ინ-

ტერესთა ჯგუფებმა მოახდინოს.

„პოლიტიკური გაცვლის“ პროცესში ჩართული ინტერესთა ჯუფები (გაერთიანებები), უპირველეს ყოვლისა, „განაწილების კოალიციათა“ ინტერესებით მოქმედებს [10, გვ. 56]. გლობალური მართვის შემთხვევაში საქმე ეხება სახელფასო და საფასო პოლიტიკასთან დაკავშირებულ უსაფრთხოებას. იგი მართვის ასპექტით პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებლის პოზიციაზე, ანდა შემოსავლების მიღების შესაძლებლობებზე დამოკიდებული. მართვის პროცესის ორივე ვარიანტი განაწილებასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ორგანიზებული ჯგუფების ინტერესებს. თუმცა მათი ინტერესების დაკმაყოფილება გაცვლის ობიექტთან დამოკიდებულებაში სხვაგვარად უნდა მოხდეს. მნიშვნელოვანია, რომ სათანადოდ დაფასდეს ის პრესტიჟი, რომელსაც ინდივიდს რომელიმე დიდი გაერთიანების წევრობა ანიჭებს. ეს ხდება იმის გამო, რომ პირდაპირ თუ არაპირდაპირ გაერთიანებათა უმრავლესობა ჩართულია პოლიტიკური იდეებისა და შეხედულებების ფორმირების პროცესში.

განაწილებასთან დაკავშირებული პოზიციები გარკვეული ფორმით პოლიტიკური გაცვლის საგანს წარმოადგენს. ეს გარემოება მიშვნელოვანია ორი ასპექტით. ერთი უკავშირდება მოლაპარაკებების პროცესს, მეორე კი - ასეთი მოლაპარაკებების შედეგებს, რასაც შესაძლებელია წესრიგის პოლტიკისათვის არსებითი მნიშვნელობა პქნონდეს. რაც შეხება მოლაპარაკებების პროცესს, იგი წარმოგვიდგება როგორც განაწილების კორპორაციული თამაში, რომელსაც რეალურ პირობებში ერთ-მნიშვნელოვანი შედეგი არ აქვს. პირიქით, ასეთი თამაშისათვის ნიშანდობლივია ინფორმაციის, ცდომილებისა და საფრთხის სტრატეგიული ერთობა. იგი ძირითადად გადაწყვეტილების მიღების რიტუალს უკავშირდება. სწორედ ეს რიტუალური ასპექტი გულისხმობს სხვადასხვა ბიუროკრატიულ განშტოებას, რის გამოც შედეგთან დამოკიდებულებაში ხშირად გაუთვალისწინებების გარემოებები იჩენს თავს [11, გვ. 497-522], [3, გვ. 113-122].

\* \* \*

გაცვლის შედეგი წარმოადგენს პოლიტიკურ საზღაურს, რომელიც მოლაპარაკებების პროცესში მიიღწევა. მსჯელობა ეხება იმ პროცესს, რომელიც წარიმართება პოლიტიკური გადაწყვეტილების გამტარებლის პოზიციისა და მასში ჩართული გაეთიანებების ინტერესთა გათვალისწინების საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესისგან განსაკუთრებული სარგებლის მიღებას ორივე მხარე ცდილობს. თავიდანვე არამყარია ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზების ის ასპექტები, რომლებიც საწარმოებს საფასო პოლიტიკასთან, ხოლო დამქირავებელს სახელფასო პოლიტიკასთან დაკავშირებით წინდახედულების გამოჩენას ავალდებულებს. პოლიტიკური საზღაური შესაძლებელია სრულიად სხვა სფეროში იყოს საძიებელი (მაგ.,

## რევაზ გველიშვილი

შრომითი კანონმდებლობის სფეროში). საქმე ეხება იმ შედეგებს, რაც პოლიტიკურ ინიციატივებს ემყარება და მოგვიანებით ვლინდება. სხვა მხრივ, წესრიგის პოლიტიკის ასპექტით მნიშვნელოვანია ის, რომ განსაკუთრებული ეკონომიკური სარგებელი ხშირად დაკავშირებულია საბაზო სისტემისათვის დამახასიათებელი ინკუსტაციის პროცესთან [2, გვ.292].

ეკონომიკური პოლიტიკა ზოგჯერ სახელმწიფო ებრივი ძალადობის მაგალითებს ავდებს: ფასებისა და ხელფასების გაფინანსება, იმპორტის აკრძალვა ან თითქოსდა ისეთი უწყინარი ფორმები, როგორიცაა ფურაჟში მინარევების შეტანა და სხვა. ამ შემთხვევებში ძალადობა კონფრონტაციაშია ინდივიდუალურ თავისუფლებასთან.

სახელმწიფო ებრივი ძალადობა, დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, სადამსჯელო ღონისძიებების გატარებას ითვალისწინებს. მაგრამ, დამორჩილების პირობებშიც კი ინდივიდს იმის შანსსაც კი არ უტოვებს, რომ მან თავისი საკუთარი მიზნები განახორციელოს. ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით ძალადობის ინსტრუმენტთა ქმედითუნარიანობა საეჭვოა იმიტომ, რომ [5, გვ. 107]:

- იგი დასჯას ემყარება. ამიტომაც ინდივიდისგან მორჩილებას უნდა მოველოდეთ და არა მიზნის მიმართ კონფორმულ ინიციატივებს. ასეთი ინიციატივები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ინდივიდს მის მიერვე დასახულ მიზანთა რეალიზების შესაძლებლობა აქვს;

- რაკი ინდივიდს თავისი მიზნების რეალიზების შესაძლებლობა არა აქვს, იგი მთელ თავის დროსა და უნარს იმ საშუალებათა გამონახვას უთმობს, რომ როგორმე ძალადობასა და სასჯელს თავი დააღწიოს. სწორედ ამაზე მეტყველებს უამრავი მცდელობა იმისა, რომ ინდივიდებმა კანონმდებლობასა და გადასახადების გადახდას თავი აარიდონ;

- ძალადობა მხოლოდ მაშინ არის დროებით შედეგიანი, როდესაც ინდივიდებს, რომლებსაც იგი ეხება, მისი თავიდან აცილების არანაირი შანსი არ აქვთ. სწორედ ამიტომ მისი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც ინდივიდებს არ ძალუდო მისგან თავის დაღწევა. ამის ნათელი დადასტურებაა სსრკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იუგოსლავიის, ვიეტნამის, გერმანიისა და სხვა ქვეყნების ისტორია.

რაც შეეხება ძალადობასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, ეკონომიკური პოლიტიკის ასპექტით მნიშვნელოვანია, რომ მოქმედების თავისუფლების შეზღუდვა არ არის ძალადობრივი, თუ ინდივიდებს მათ მიერ დასახული მიზნების განხორციელების რეალური (არა მარტო ფორმალური) შესაძლებლობა აქვთ. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ის კანონები და წესები, რომლებიც რეგულირებადი საბაზო ეკონომიკის სისტემაში ეკონომიკურ თავისუფლებას ზღუდავს.

ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა არ ნიშნავს თავისუფლების აღკვეთას და ეკონომიკური თავისუფლების ნაცვლად ვოლუნტარისტული, ძალადობრივი გზით მართული ეკონომიკის შემოღებას.

მ. ოლსონი გრძელვადიანი კეთილდღეობის წინაპირობას ხედავდა გავლენიან ინტერესთა ჯგუფების შევიწროვებასა და კონკურენციის გაძლიერებაში. სახელმწიფოთა ხანგრძლივ ეკონომიკურ დაღმასვლას იგი „უკავშირებდა „ინსტიტუციურ სკლეროზს“, რომლის მიზეზსაც წარმოადგენს დობისტთა ჯგუფების მიერ საკუთარი პრივილეგიების დასაცავად კონკურენციის წესრიგის დარღვევა და ამით ეროვნული ეკონომიკის გარე შოკების მიმართ მგრძნობიარობის გაზრდა.

### ლიტერატურის სია

1. Olson, M. (1965), *The Logic of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups*, Cambridge MA.
2. STREIT, M. E. (2005), *Theorie der Wirtschaftspolitik*, 6. Auflage, Stuttgart;
3. STREIT, M. E. (2003), *Menschliches Wissen – Dimensionen eines komplexen Phaenomens*, in: ORDO 54;
4. SAMUELSON, P.A. und R. M. SOLOW (1960), Analytical Aspects of Anti-Inflation Policy. *American Economic Review* 50, Papers and Proceedings;
5. DAHL, R.A. und CH.E. LINDBLOM (1953), *Politics, Economics and Welfare-Planning and Politico-Economic Systems Resolved into Basic Social Processes*, reprint, New York 1963;
6. GIERSCH, H. (1961), *Allgemeine Wirtschaftspolitik* (Erster Band: Grundlagen), unveraenderter Nachdr., Wiesbaden, 1990;
7. SCHILLER, K. (1968), Konjunkturpolitik auf dem Wege zu einer Affluent Society; in R. SCHWEBLER und W. FOEHRENBACH (Hrsg.): *Jahre der wende* (Festgabe fuer Alex Moeller), Karlsruhe;
8. RUPP, H. H. (1971), Konzertierte Aktion und freiheitlich-rechtsstaatliche Demokratie; in E. HOPPMANN (Hrsg.): *Konzertierte Aktion – Kritische Beitraege zu einem Experiment*, Frankfurt a. M., S.1-18;
9. GAEFGEN, G.(1987b), Kollektivverhandlungen als konstitutiver Allokationsmechanismus korporatistischer Ordnungen. *Zeitschrift fuer Wirtschaftspolitik* 36;
10. OLSON, M. (1991), *The Rise and Decline of Nations – Economic Growth, Stagflation and Social Rigidities*, New haven, London, 2. durchges. Aufl., Tuebingen;
11. JOHANSEN, L. (1979), The Bargaining Society and the Inefficiency of Bargaining. *Kyklos* 32, S.497-522.
12. Klump, R. *Wirtschaftspolitik, Instrumente. Ziele und Institutionen*, 2., aktualisierte Auflage, Muenchen, 2011.

**Problems of Relation between Economic Policy Implementers and Interest Groups**

**R. Gvelesiani**

An important objective of new political economy is analysis and assessment of the influence on the process of the emergence of interest groups and their economic and political decisions.

The implementers of economic policy attempt to conclude agreements with the interest groups in case the conflicts of economic interests pose threat to the goals of economic policy. Sometimes the targeted stimulation of conjuncture is needed from the side of government, and from the side of labor market - concession in favor of stabilization policy. The laws on economic stabilization and growth in developed countries promote the simultaneous and mutually agreed actions of economic policy implementers and interest groups.

The results achieved by the economic policy implementers will be unsatisfactory if the interest groups' demands are not taken into account. In other words, the interest groups hold power in the sphere of economic policy implementation and voluntarily or involuntarily they exert influence on state policy that restricts the autonomy of economic policy implementers. Given that it is inadmissible to limit the interest groups power, economic policy implementers, on the one hand, attempt to accomplish the economic policy goals under such conditions when it is possible that interest groups might exert influence on them. At the same time they are aware of how the interest groups are responsible for that damage which affects the goals of economic policy. On the other hand, they attempt to negotiate with interest groups on the basis that with such affection of the goal the representatives of interest groups will be affected too.

Among the goals of price stability and high level of employment, conflict is the expression of the first, and the second – instrument-negotiation, for its corporate aspect is desirable, which means that in making economic policy decision all sides should take part. However, against the corporate nature of economic policy not only constitutional principles speak for themselves, in such situation its results, according to a significant part of scientists, are of dubious value. They consider that the state economic policy is not a consortium of influential groups related to the state organs, but it pertains to each sovereign citizen who makes payments and as an economic subject spends funds.

**Keywords:** Economic policy-makers; Interest groups; The conflict of objectives; The economic and political decisions.

**JEL classification:** D72, D74, D78, D79.

რა უნდა გავიგიაროთ  
ამარიკული  
გამოცდილებაზე

ეძღვნება საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა  
აკადემიის დაფუძნების მე-20 წლისთავს

კააზა კოდეაშვილი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი

სტატიის მიზანია საქართველოს ხელისუფალთ შეახ-  
სენოს მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნის -აშშ-ის ეკონომიკის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული დარგის - სოფლის მეურნეობის გაძლილის ანბანი. საყოველთაოდ ცნობილია, აგრარულ სფეროს, მთელი რიგი თავისებურების გამო, განვითარებული სახელმწიფოების მთავრობები საკმაოდ მკაცრად არეგულირებენ. ერთი შეხედვით, ეკონომიკური თვალ-  
საზრისით, ამგვარი რამ გაუმართლებელიც შეიძლება იყოს, მა-  
გრამ რეალობამ აჩვენა, რომ სოფლის მეურნეობაში საბაზო  
კანონების სტიქიური მოქმედება დიდი რისკიაქტორია ქვეყნის ეროვნული უშიშროებისთვის. ამის დასტურია 1930-იან წლებ-ში აშშ-ში განვითარებული მოვლენები, როდესაც ე.წ. „დიდი დეპრესიის“ დროს სოფლის მეურნეობა და სურსათის წარ-  
მოება უმნიშვნელოვანეს მაღესტაბილიზებულ ფაქტორად იქცა  
მთელი ქვეყნისათვის, რის შემდეგაც ამოქმედდა სახელმწიფო რეგულირების მექანიზმი და მოსახლეობის სურსათით უზრუნ-  
ველყოფა მართვადი და პროგნიზირებადი გახდა.

საკვანძო სიტყვები: აგრარული სფერო, სოფლის მეურ-  
ნეობის სახელმწიფო მსარდაჭერა, აგრარული პოლიტიკა, სა-  
სურსათო უსაფრთხოება, კოოპერატივები.

პრეზიდენტ რეიგანის აგრარული პოლიტიკის არსი და  
ძირითადი მახასითებლები

აშშ-ის ხელისუფლების უდიდეს ყურადღებას აგროსამ-  
რეწველო, სასურსათო კომპლექსის მიმართ განაპირობებს ის, რომ ეს დარგი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი საფუძველია და მასზე ზრუნვა უმაღლეს ეროვნულ ინტერესებში შედის. აქ პირდაპირ ან ირიბად იქმნება მთლიანი შიგა პროდუქტის მეო-

## პერიოდული

თხედი ნაწილი და მისი ფუნქციონირება სამუშაოთი უზრუნველყოფს შრომისუნარიანი მოსახლეობის მესამედს. ყოველივე ეს არის მიზეზი იმისა, რომ მთავრობა არ იშურებს ფინანსებს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის.

აშშ-ში, აგრარულ სფეროს, გარდა სხვა მუდმივმოქმედი კანონმდებლობისა, არეგულირებს ე.წ. „აგრარული კანონები“, რომელთაც კონგრესი 5-6 წლის პერიოდულობით იღებს და რაცევენის აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია.

1985 წელს პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ინიციატივით კონგრესმა მიიღო კანონი „აშშ-ის სასურსათო უშიშროების შესახებ“[1]. მასში აისახა ქვეყნის შიგაპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილება და თავისი არსით იურიდიული საფუძველი ჩაეყარა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ახალ ეტაპს. პირველ ყოვლისა, მან ხაზი გაუსვა სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, როგორც ეკონომიკის განსაკუთრებულ დარგს, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობისაა აშშ-სთვის. რეიგანმა რადიკალურად შეცვალა სახელმწიფოს მიღებული სასოფლო-სამეურნეო რესურსების გამოყენებისა და სასურსათო უშიშროებისადმი. ცნობილია, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ ბევრი გააკეთა კერძო ბიზნესში სახელმწიფოს ჩარევის შესაზღუდად და ამ მიზნებისთვის საბიუჯეტო ასიგნების შესამცირებლად, მაგრამ არა სოფლის მეურნეობის სფეროში. აქ ასეთი ზემოქმედების მექანიზმი და დაფინანსებისადმი მიღებული სელუსლებული დარჩა. უფრო მეტიც, შემოღებულ იქნა არსებითი თვისებრივი-რაიდგნობრივი სიახლეები სოფლის მეურნეობის მხარდაჭერისთვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც აისახა 1985 წლის კანონში აშშ-ის სოფლის მეურნეობის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის ლეგალიზებისთვის, იყო შემდეგი ცვლილებები:

**პირველი, XXს. 80-იან წლებამდე კანონმდებლობის მთელი ფრაზეოლოგია და პათოსი მიმართული იყო საოჯახო ფერმის მხარდასაჭერად. 1985 წლის კანონში ეს უკვე სხვაგვარად ჟღერს. ადრე ერთიანი პოლიტიკური ხაზიდან გამოყოფილი იყო ორი მიმართულება – „ქვეყნის კომერციული სოფლის მეურნეობის სტაბილიზაცია“ და „სასოფლო რაიონების კეთილდღეობა“. კანონის ლოგიკით, პირველი მიმართულება გულისხმობდა სახელმწიფოს ორიენტირებას მსხვილ მეურნეობებზე – სასაქონლო პროდუქციის ძირითად მწარმოებლებზე, მაშინ როცა მეორე მიმართული იყო საშუალო და მცირე ფერმების სახელმწიფო მხარდაჭერაზე სასოფლო რაიონებში სოციალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული კანონით**

გადაისინჯა სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქცია ქვეყნის სოფლის მეურნეობის სფეროში. ზოგიერთი მათგანი, რომელიც შექმნილი იყო თავის დროზე საოჯახო ფერმების მხარდა-საჭერად, გადაორიენტირებულ იქნა მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში მიწის რესურსების კონსოლიდირების მიზანზე;

მეორე, 1985 წლის კანონმა აგრარული მეურნეობის სახელმწიფო სუბსიდირებისა და კრედიტის ასაღებად სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაგირავების ახალი დებულებები და მექანიზმები შემოიღო. დაწვრილებით რომ არ განვიხილოთ დამატებათა არსი, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამგვარ იურიდი-ულ საფუძველზე დაყრდნობით, გაფართოებულმა საბიუჯეტო სახსრებით სუბსიდირებამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში 58 მლრდ დოლარს მიაღწია. პრაქტიკულად, ამან აშშ-ის მთავრობას საშუალება მისცა არამარტო გაემდიერებინა თავისი ზე-მოქმედება ბაზრის, სათესი ფართობების, წარმოების მოცულობის კონიუნქტურულ ცვლილებებსა და ფერმერების შემოსავალებზე, არამედ გამხდარიყო ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარი მყიდველი და გამანაწილებელი. 80-იანი წლების ბოლოს სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა წარმოებული ხორბლის 48% და რძის ნაწარმის 75%;

მესამე, 1985 წლის კანონში უმთავრესი ადგილი უკავია სასოფლო-სამეურნეო რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ამასთან, პირველ პლაზე წამოიწია ნიადაგის ეროზიას-თან ბრძოლის კონკრეტულმა პროგრამამ. მისი განხორციელება განიხილებოდა აშშ-ის მთავრობის მიერ არა მარტო როგორც მიწის ფონდის შენარჩუნების კამპანია, არამედ აგრეთვე როგორც ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა. ძველი მოწოდებები, განმარტებანი, და შეგონებები შეიცვალა უმკაცრები ეკონომიკური და ადმინისტრაციული სანქციებით იმ მეურნეთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებდნენ ანტიერთზიული დონისმიერებების გატარებას.

1985 წლის კანონის კიდევ ერთი თავისებურება იყო ის, რომ მან ფაქტობრივად პირველად განსაზღვრა აშშ-ის მიდგომა სასურსათო უშიშროების პრობლემის მიმართ დროის გან-ჭვრებად პერიოდში. კველა იმ ფერმას, რომელიც ჩართულია ნიადაგის ეროზის მაღალი დონით მქონე მიწის რესურსების დამუშავებაში, კანონმა დაავალა ნიადაგის დამცავი ზომების გატარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფერმერი კარგავდა ყველა სახელმწიფო სუბსიდიას. კანონმა დაავალა კველა მეურნეობას წარედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროში ნიადაგდამცავ დონისმიერებათა გეგმა 1990-1995 წლებისათვის. უკვე 80-იანი წლების ბოლოსთვის ასეთი გეგმები დამტკიცებულ იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ნიადაგდამცავი

## კანტა პოლიტიკური მდგრადი

ღონისძიებები წარმატებულად იქნა განხორციელებული 90-ანი წლების დასაწყისიდან 13 მლნ ჰა-ზე.

კანონით იყო დადგენილი ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი დახმარება იმ ფერმერთათვის, რომლებიც ნებაყოფლობით გამოიყანდნენ ბრუნვიდან 10 წლის ვადით იმ ფართობს, რომელიც ხასიათდებოდა ეროზიის მაღალი დონით. ამით საფუძველი ჩაუყარეს მიწის სახელმწიფო ფონდს. სახელმწიფომ აიღო თავის თავზე მიწის ამ ფართობის გამდელოებისა და ტყის გაშენებასთან დაკავშირებული ხარჯების 50%. სახნავი ფართობის ოდენობა, რაც კონსერვაციას ეჭვებდებარებოდა, შემოფარგლული იყო 25%-ით. გამდელოებას დაუქვემდებარა რეზერვში გადაყვანილი მიწის 80%, ხოლო ტყის გაშენებას – 20%. პირველად რეზერვში გამოყოფილი მიწის ფართობი განისაზღვრა 10,2 მლნ ჰექტრით (თუმცა, უკვე მაშინ კონგრესი ამზადებდა კანონს, რომლის თანახმად მისი გადიდება 14 მლნ ჰექტრამდე იყო განსაზღვრული). დადგინდა, რომ მიწის ფონდის შექმნაზე სახელმწიფო დახარჯავდა 1,2 მლრდ დოლარს, ანუ წყლისა და მიწის რესურსების შენარჩუნებაზე გამოყოფილი მთელი თანხების 50%-ს.

კანონი ითვალისწინებდა სახელმწიფო სუბსიდირების შეწყვეტას იმ ფერმერთათვის, რომლებიც აწარმოებდნენ ჭაობების ამოშრობას (სახნავად გამოყენების მიზნით), თუკი ექსპერტები დასკვნიდნენ, რომ ეს უარყოფითად იმოქმედებდა იმ ტერიტორიის ბიოლოგიურ გარემოსა და ჰიდროლოგიაზე.

კანონმა ახლებულად ჩამოაყალიბა ქვეყნის წყლის რესურსების დაცვის მოთხოვნები. მისი პირდაპირი გაგრძელება გახდა 1987 წლის სპეციალური კანონი „წყლის რესურსების“ ხარისხის შესახებ. ამ კანონის თანახმად 1990 წელს 36 შტატში შემოიდეს საკანონმდებლო აქტები, რითაც კონტროლი დაწესდა წყალში პესტიციდების შემცველობაზე. ყველაზე მკაცრი შეზღუდვები დაწესდა ინტენსიური მიწათმოქმედების მქონე კალიფორნიის, ფლორიდის, აიოვასა და მინესოტას შტატებისთვის. ზოგიერთმა შტატმა გადასახადები შემოიდო სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებზე, რითაც გაზარდა ხარჯები ფერმერთა განათლების დონის ასამაღლებლად.

აშშ-ში აღიარეს, რომ 1985 წლის კანონის დებულებათა რეალიზებას, განსაკუთრებით კი იმისა, რაც ეხება საბიუჯეტო სახსრების უფრო მეტად მიზიდვას სოფლის მეურნეობაში, გარემოს დაცვასა და ქვეყნის სასურსათო უშიშროებისათვის, შეიძლება მოჰყვეს ფერმერთა შემოსავლების შემცირება და მათ შორის სოციალური დაძაბულობის ზრდა. მიუხედავად ამისა, პროგრამის განხორციელება მიჩნეული იყო სახელმწიფოსათვის პირველ ხარისხის მნიშვნელობის საქმედ. ამ

პრობლემების ოპტიმალური თანაფარდობების პოვნა განიხილება აგრარული მეცნიერების სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აქტუალურ ამოცანად.

1990 წლის კანონი – „სოფლის მეურნეობის დაცვის, სურსათით უზრუნველყოფისა და გაჭრობის შესახებ“, გახდა 1985 წლის კანონის ლოგიკური გაგრძელება და დამატება. არსებოთად, ამ კანონმა დაასრულა პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციის ძალისხმევა სოფლის მეურნეობის დინამიკური განვითარებისთვის, მიწის, წყლის რესურსებისა და გარემოს იმავდროულად დაცვით. კანონი ფერმერთა და საზოგადოების (სახელმწიფო სუბსიდირების) ძალისხმევის გაერთიანების საშუალებას იძლეოდა სოფლის მეურნეობის საკვანძო ამოცანების გადასაწყვეტად. კერძოდ, შემდგომი განვითარება ჰპოვა მირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის წარმოების მოცულობის რეგულირების პროგრამაში. 90-იანი წლების დასაწყისში მარაგებმა თავის მაქსიმალურ თდენობას მიაღწია და სახელმწიფოს მოუხდა სუბსიდიების მოცულობის გაზრდა ფერმების და მთლიანად სოფლის მეურნეობის საფინანსო მდგრადობის შესანარჩუნებლად. 1990 წლის კანონის თანახმად, ეს ხარჯები განიხილებოდა როგორც გრძელვადიანი ინვესტიციები სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაში. სუბსიდირების დონე განისაზღვრებოდა ფასების მიმდინარე დონით. ამასთან, ერთი ფერმისთვის განკუთვნილი თანხა შემოიფარგლებოდა 50 ათასი დოლარით. გაცემული სუბსიდიების დონე საფუძვლიანად მცირდებოდა, თუ ერთი კულტურისთვის განკუთვნილი ფართობის 15%-ზე მეტი სხვა კულტურის წარმოებას მოხმარდებოდა. შემდგომი განვითარება ჰპოვა საქონლის დაგირავებაში სახელმწიფო კრედიტის მისაღებად. მირითადი რეგულირებადი კულტურების (ხორბალი და სიმინდი) მიხედვით საგირაო გადასახადის დონე 10%-ის ფარგლებში მერყეობდა (მარაგისა და მოხმარების დონის თანაფარდობის მიხედვით).

ამასთან ერთად, 1990 წლის კანონმა რამდენიმე ცვლილება შეიტანა სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის პროგრამებში მათი უფექტიანობის გაზრდის მიზნით. მან მკაცრად დაუკავშირა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამის ამოქმედება გარემოს დამცავი ნორმების დაცვას. კანონში განხორციელდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პირობების შექმნის დეკლარირებული კურსის სტანდარტები. ამასთან, მკვეთრად გაიზარდა ასიგნება წყლის რესურსების, კერძო – სასმელი წყლის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

## პეპტა პოლიტიკური

მკაცრად განისაზღვრა წევალში მავნე ნარჩენების ზღვრული ნორმები. კიდევ უფრო შეიზღუდა ჭაობების ამოშრობა და გამკაცრდა ცხოველთა სამყაროს დაცვის ნორმები.

დასასრულ, ყოველივე ზემოთქმული იძლევა საფუძველს აშშ-ის სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში გამოიყოს შემდეგი ძირითადი მომენტები:

1. 1985 და 1990 წლებში მიღებული კანონები ერთმანეთის ლოგიკური გაგრძელებაა და თავისი არსით ისახავს ერთ საერთო მიზანს – სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზებას და ქვეყნის სასურთო უშიშროების უზრუნველყოფას;

2. აშშ-ის სასურსათო უშიშროების აყვანამ სახელმწიფოს პრიორიტეტული (სტარატეგიული) მიზნის რანგში თავისი ასახვა პერვა იმ საკანონმდებლო ნორმების მიღებასა და სრულყოფაში, რომლებიც ემსახურება შემდეგი მიზნების მიღწევას:

– სასოფლო-სამეურნეო რესურსების – მიწის, წყლის, ტყის, ატმოსფეროს (ჰაერის) რაციონალურ გამოყენებას, რის შედეგად ქვეყანაში შეიქმნა იურიდიული ბაზა, რომელმაც აამოქმედა ამ რესურსების დაცვის სავალდებულო ნორმატივები; დააკანონა სათესი ფართობის სახელმწიფო რეგულირებისა და ცალკეულ კულტურებს შორის მათი გადანაწილების მექანიზმი, ძირითადი საკვები პროდუქტების ოპტიმალური ფასებისა და მათი წარმოების რეგულირების შესაძლებლობა;

– სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლების სტაბილიზება და მათი დაცვა საბაზრო სტიქიის-გან; სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქციის ფართომასშტაბიანი სუბსიდირება;

– მიწათსარგებლობის უველაზე ეფექტიანი მეთოდების მხარდაჭერა: საკანონმდებლო ნორმების, მექანიზმებისა და საფინანსო გადაწყვეტილებათა სპეციფიკა განისაზღვრა იქიდან, რომ უკვე ახლო მომავალში 100 ათასი მსხვილი მეწარმე მისცემს ქვეყანას სოფლი მეურნეობის პროდუქციის 80%-ს, მაშინ როდესაც ტრადიციული საოჯახო ფერმა არსებითად ქვეწის მიწათსარგებლობის ისტორიის საკუთრება გახდება;

– სახელმწიფოს გადაქცევა ქვეყნის სოფლის მეურნეობის პროდუქციის არა მარტო მთავარ დამტკიცებულებად (კონტრაქტორად), არამედ მთავარ მყიდველად და გამანაწილებლად (დისტრიბუტორად), შექმნილი იურიდიული მექანიზმი აძლევს მთავრობას საქმარის უფლებამოსილებას შეისყიდოს და გაანაწილოს სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების მოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი (იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ბაზარზე მდგომარეობის სტაბილიზება).

აღნიშნული მიზნების დასახვა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღება მკვეთრი შემობრუნების ეტაპი გახდა აშშ-ს

სოფლის მეურნეობის ისტორიაში. ამჟამად ეს კურსი კვალი-ფიცირდება, როგორც „საზოგადოების სოციალურ-ეკონომი-კური სტაბილურობის სახელმწიფო გარანტია“[2].

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, საზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ზოგადად, თანამედროვე მსოფლიოში სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უშიშროებისადმი დიდი ყერადდება რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობებული:

1. **სურსათით თვითზრუნველყოფა უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტია.** მსოფლიო მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს საკვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად, მასზე ფასების განუხრელი ზრდის ტენდენციას. ამიტომ, სასურსათო უშიშროება ყველა სახელმწიფოს სტრატეგიაში ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს;

2. მოსახლეობის ტრადიციული საქმიანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული სიმდიდრისა და სოციალური ფასეულობების შენარჩუნებას ნიშნავს;

3. განვითარებული სოფლის მეურნეობის მნიშვნელობას აძლიერებს სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა;

4. **სასოფლო-სამეურნეო წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია.** ფსიქოლოგიურად და კულტურულად სოფელი და დონიერი გლეხებაცი ერის თვითმყოფადობის (ვინაობისა და რაობის) შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია.

გლეხებაცი, ძალიან ხშირად, უბრალოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლად მიაჩნიათ, თუმცა, მისი როლი სცილდება ამ ჩარჩოებს. სინამდვილეში ის აუცილებელია სოფლისთვის, უფრო მეტიც, გლეხებაცი სოფლის მაცოცხლებელი და გარდამქნელია. მას მოფრთხილება, თანადგომა და შესაფერისი დაფასება სჭირდება. გლეხებაცი, განსაკუთრებით საქართველოში, კერ განიხილება, როგორც საშუალება რადაც მიზნისთვის – იგი უნდა განვიხილოთ მხოლოდ, როგორც მიზანი. გლეხებაცის მოწოდება და დანიშნულება არ არის მხოლოდ ის, რომ მოხასა, დაბაროს, გასხლას, მოუაროს პირუბეჭვს, მოიყვანოს მარცვლეული, მწვანილი, ხილი თუ ყურძენი. მისი პირველი მოწოდებაა იყოს ღირსეული, ჯანსაღი, ყოველმხრივ გამართული ადამიანი, ქართველი ბავშვების გამზრდელი, ქართველი ერის ხერხემალი, საზოგადოების გამომკვებავი, საქართველოს დემოგრაფიის დამცველი, მისთვის ოფლისა და სისხლის დამღვრელი (ისევე, როგორც ყველა სხვა მოქალაქე) და საქართველოს მიწის ყოველი ცალკეული გოჯის შემნახვი ასიათასობით პოტენციური „სტუმრის“ პირისპირ.

## საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ორმა ათწლეულმა პრაქტიკულად აშკარა გახდა, რომ საქართველოს სოფლის მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, მასობრივი უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა, მხოლოდ ე.წ. კომერციალიზაციით ვერ გახდება დაჩქარებული ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი. შესაბამისად, დაუშვებელი იყო და არის მხოლოდ ამ საწყისებზე სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის აგება, რაც პრაქტიკულად ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არარსებობასა და პროცესების თვითდინებაზე მიშვებას ნიშნავს.

ქართული სოფელი, უკანასკნელ წლებში გატარებული არასწორი სოციალურ-ეკონომიკური (მ.შ. აგრარული) პოლიტიკის გამო უაღრესად დაკნინებულია. ასეთ პირობებში აგროსექტორის კრიზისიდან გამოსვლა და შემდგომი განვითარება შესაბამისი დაცვითი (მარეგულირებელი) მექანიზმებისა და გარედან დახმარების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია. სახელმწიფო რეგულირებით ხორციელდება ის ფუნქციები, რომლებიც არაა უზრუნველყოფილი თვითრეგულირების საბაზრო ბერკეტებით. ამ ორი მექანიზმის ოპტიმალური და დაბალნისებული შეთანაწყობით (ანუ დრმად გააზრებული ეკონომიკური მექანიზმის დაბალნისებული მოქმედებით) მიიღწევა აგროსასურსათო სექტორის ფინანსური სტიმულების ეფექტიანი მართვა, რომელიც ხდება მყარი საფუძველი ყველა საწარმოო სუბიექტის ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური მობილიზაციისა და გარანტირებული რეალიზაციისთვის.

თუ თვალს გადავავლებთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებას ამ კუთხით, დავინახავთ, რომ საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები, ისევე როგორც საწარმოო-ეკონომიკური ურთიერთობები, იცვლება განვითარების ეტაპების მიხედვით. დღეს აგრარული სექტორის ხელშეწყობა სახელმწიფოს შერიდან, როგორც წესი, ხორციელდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამებით. ამ პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას სახელმწიფო ახორციელებს კომპლექსური მიდგომების საფუძველზე, რაც გამოიხატება იმით, რომ პროექტმა უნდა მოიცვას კონკრეტული მიმართულების სასოფლო-სამეურნეო წარმოების მთლიანი სისტემა. საერთაშორისო პრაქტიკა აღასტურებს, რომ აგროპროდუქციის წარმოების სფერო, მიყოფება რა სახელმწიფოს მუდმივი მზრუნველობის ქვეშ და ფინანსდება რა

მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, ქმნის ფერმერული მეურნეობების მდგრადი განვითარების საფუძველს[3].

თუმცა, როგორი იქნება საბოლოოდ ქართული სოფლის მომავალი, დამოკიდებულია ძირითადად იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება გაანალიზებული და შეფასებული დარგის ძირები პრობლემები, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი მისი განვითარების პროგრესული კონცეპტუალური ხედვებისა და ეფექტური პროექტების შემუშავება. სწორი პოზიციის ჩამოყალიბება კი, პირველ ყოვლისა, გულისხმობს, რომ ცალსახად იქნეს განსაზღვრული რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის უფრო ახლოს აგრარულ სუბსტრუქტურისა და ეკონომიკურ მიზნებთან და შესაბამისად რომელ მათგანს შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი სახელმწიფო ხელშეწყობის თვალსაზრისით.

აგრარული სექტორის ფუნქციონირების ეკონომიკური ანალიზი ნათლად წარმოაჩენს ქართული სოფლისა და მისი მოსახლეობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას, რომელიც რატომდაც ნაკლებად იყო გაცნობიერებული და წარმომავალი როგორც ხელისუფლების, ასევე სამეცნიერო წრეების მხრიდან. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გადამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ძირითადად წარმოდგენილი იყო მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის – შპს-ის სახით, მოგების გაზრდის მიზნით გლეხებისაგან პროდუქციას შეისყიდვნენ თავიანთ-თვის მისაღები დაბალი ფასებით, რაც ხშირ შემთხვევაში, ვერ ანაზღაურებდა გლეხების მიერ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახახარჯებსაც კი. ინტერესთა აღნიშნული კონფლიქტი, რომელიც გამოწვეული იყო სასოფლო-სამეურნეო სისტემის არასწორი, გაუაზრებელი ორგანიზაციული მოწყობით, მნიშვნელოვანწილად გახდა საფუძველი, ერთი მხრივ, სოფლებიდან მოსახლეობის გაძლიერებული მიგრაციისა და მეორე მხრივ, აგრარული წარმოების პარალიზების.

დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ წარმოებით ურთიერთობათა ასეთი ფორმის შენარჩუნება და გლეხობიდან პროდუქციის შემსყიდვები, მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ერთპიროვნული ხელშეწყობა სოფლის მოსახლეობას (განსაკუთრებით მიწის წვრილ მესაკუთრებს, რომლებიც სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენს) საბოლოოდ დაუკარგავს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციას და რაც მთავარია, სოფლად ცხოვრებისა და განვითარების პერსპექტივას. მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განვითარებას, რა თქმა უნდა, თავისი ადგილი გააჩნია საბა-

## პეპტა პოლიტიკური

ზრო ეკონომიკის პირობებში, მაგრამ როცა არსებობს აგრო-წარმოების განვითარების სხვა, უფრო ძლიერი სოციალური და ეკონომიკური მოტივები, მათი იგნორირება, ბოლო წლების ეკონომიკური პოლიტიკის სერიოზულ შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს.

მიმდინარე პერიოდში, საქართველოში სახელმწიფო ზე-მოქმედების სასოფლო-სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრისას, სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების, მწარმოებლურ ძალთა კონცენტრაციის, წარმოების სპეციალიზაციისა და ეფექტიანი მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის თვალსაზრისით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რა თქმა უნდა, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რამდენადაც ეკონომიკური საქმიანობის კოოპერაციული ფორმის განვითარება სახელმწიფო რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. კოოპერაციის როგორც მეწარმეობის ფორმის აღმოცენება, თავის დროზე განპირობებული იყო ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ობიექტური მოთხოვნებით (განსაკუთრებით სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების განვითარებაში ჩამორჩენილი ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სფეროში). კოოპერაცია უადრესად დიდ როლს ასრულებს კრიზისების გადალახვის, სოციალური პრობლემების მოგვარების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ქმედუნარიანობის ამაღლებაში. ამიტომ, წარმატებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებმა სახელმწიფო ხელშეწყობისა და დაფინანსების პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ კოოპერაციულ საწყისებზე ფუნქციონირებადი ორგანიზაციების ხელშეწყობა მიიჩნიეს. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მსგავსად, საწყის ეტაპზე სწორედ ქართულმა სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და იკისროს ამ უადრესად მნიშვნელოვანი პროცესის ძირითადი მაკოორდინირებელი, მარგანიზებელი და ხელშეწყობი ფუნქცია.

კოოპერაცივების მუშაობის სტილი მოქნილი და დღევანდებული მოთხოვნილებების აღეკვატურია. სახელმწიფოსთვის იგი წარმოადგენს ძლიერ და სანდო პარტნიორს სოფლად რთული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარებისას. საჭიროა გავაცნობიეროთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სწორი კურსით წარმართვა ნიშნავს მასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის რეალიზაცია გამიზნულია არა მარტო სოფლად მცხოვრები ადამიანების, არამედ მთელი საზოგადოების სასიკეთოდ. ამ მიზნის რეალიზაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი

ციკლის შექმნის და ფუნქციონირების გზით. საყურადღებოა, რომ ხენებული ერთიანი ციკლის პირობებში ყოველ მომ-დევნო საწარმოო საფეხურზე იზრდება დამატებული ღირებულება, რაც ქმნის დამატებით მოტივაციას დაინტერესებული მხარეებისთვის[4].

კომერციული ბანკების მოუქნელი და პასიური დამოკიდებულების გამო, ახლადშექმნილი კოოპერატივები ვერ ახდენენ საბანკო კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფას. ამიტომ, აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშემწყობ ღონისძიებებში ჩაერთოს ახალი ელემენტი – კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფა. საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამეურნეო საქმიანობისათვის საჭირო კომერციული კრედიტის საგარანტიო უზრუნველყოფას ახორციელებდნენ სპეციალიზებული საგარანტიო ფონდები (სახოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების საგარანტიო ფონდი).

რამდენადაც საქმე ეხება ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, სოფლის მეურნეობის სისტემის (მ.შ. დარგების) ორგანიზაციულ მოწყობას ცვლილებათა საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება გახდება ეკონომიკური რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დიდ წლილს შეიიტანს სოფლის მოსახლეობის მასობრივი დასაქმების, მათი შემოსავლების მკვეთრი ზრდის, აგრარული შრომის ავტორიტეტის ამაღლებისა და სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის კომპლექსური და დაჩქარებული განვითარების ეროვნულ საქმეში.

### საჭირო აგრარული პოლიტიკის ახალი სტრატეგია

საქართველომ, სხვა ცივილიზებულ ერთა მსგავსად, უნდა გამოკვეთოს პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. პრიორიტეტები ამ სფეროში შეიძლება იყოს ორი მიმართულების: პირველი, სოფლის როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის, შენარჩუნება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და კელური დანადშაფტების დაცვაც). მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფების სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა დიდადა დამოკიდებული მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან. მიწის ეფექტიან მართვას, რომელიც ქვაკუთხედს წარმოადგენს როგორც სოფლის მეურნეობის, ასევე ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის, გააჩნია გამოწვევები რომლებიც პირობითად შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად:

## **კაპიტალური მონიტორინგი**

1. მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების არარსებობა შეუძლებელს ხდის სოფლის მეურნეობის პოლიტიკის/სტრატეგიის შემუშავებასა და მის მართვას;

2. მიწათსარგებლობის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის არარსებობა.

მიწათსარგებლობის შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის საჭიროა შესაბამისი ინსტიტუციური მოწყობის უზრუნველყოფა, რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად უნდა მართავდეს მიწის საინფორმაციო სისტემას, რაც შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას მიწის დანიშნულების, კატეგორიის, ხარისხის, საირიგაციო/სადრენაჟო ინფრასტრუქტურის და სხვა მონაცემების შესახებ.

მიწათსარგებლობის განვითარების ხედვის, სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავება ასევე მოითხოვს შესაბამის ინსტიტუციურ მოწყობას. მისი არ არსებობა, თავის მხრივ, სერიოზულ გავლენას ახდენს რეგიონალურ განვითარებაზე, ადგილობრივი თემების ჩართულობაზე, ასევე სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებაზე, სოციალური, დასაქმების, მიწის ბაზრის აქტიურობის, ინვესტიციების მოზიდვის და ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე.

მიწათსარგებლობის განვითარების მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მიწის კონსოლიდაცია, რომელიც ერთერთი პრიორიტეტული საკითხია როგორც ეგროქაგშირის ძველი და ახალი წევრებისთვის, ასევე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის.

სამწუხაროდ, საქართველოში მიწის კონსოლიდაციის არავითარი გამოცდილება არ არებობს, რაც ამ მიმართულებით მოქმედების არანაირ შესაძლებლობას არ იძლევა. გამოცდილების შესაგროვებლად აუცილებელია საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდეს მიწის კონსოლიდაციის საპილოტე პროექტი, რომლის გამოცდილების ბაზაზე უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პროგრამა.<sup>1</sup>

ცალკე დიდი პრობლემაა ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მხრივ კატასტროფის წინაშე ვდგავართ. საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშავოს და დაამტკიცოს ნიადაგების დაცვის ფინანსურად და ორ-

<sup>1</sup> გაეროს რეკომენდაციების შესაბამისად მიწის კონსოლიდაცია განიხილება, როგორც მრავალსექტორული მიდგომა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის მართვის გაუმჯობესებისათვის, სადაც ადგილობრივი თემების მონაწილეობა მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიის განვითარების ნაწილად მიიჩნევა. მიწის კონსოლიდაციის პილოტ პროექტების დიზაინის სახელმძღვანელო შემუშავდა გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ 2003 წ. აღმოსავლეთ ეკონომიკა და ცენტრალური აზიის ქვეურებისთვის.

განიზაციულად უზრუნველყოფილი გრძელვადიანი მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა (მ.შ. ეროვნის საწინააღმდეგო დონის მიერად გენერალური გეგმა) და დაიწყოს მისი განხორციელება.<sup>1</sup>

მსოფლიოში არსებული გლობალური ეკონომიკური კრიზისის (მ.შ. სასურსათო) ხასიათი, საქართველოს წინაშე დღეს არსებული გამოწვევები და მათი დაძლევის ამოცანები რეალურად მოითხოვს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გადახედვას (პრიორიტეტული დარგებისა და კულტურების განსაზღვრა, სოფლის მეურნეობის ისეთი დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელშიც წამყვანი და პრიორიტეტული ადგილი დაეთმობა სასურსათო ბალანსის ფორმირებისთვის საჭირო პროდუქტების წარმოებას), ასევე, თითოეული დარგის საწარმოო და საექსპორტო პოტენციალის დადგენას და გამოყენების სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის განსაზღვრას. გასაგებია, რომ დღეს არსებული სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის მოდერნიზაცია, კონკურენტული უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით, ერთხაშად შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობის დაწყება მეტად საჭიროა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბაზრო მექანიზმების გამოყენებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის მთელ ჯაჭვში ინტეგრატორის როლს შეასრულებს. გარანტირებული შესყიდვა უზრუნველყოფს პროგრესული ტექნოლოგიების გამოყენებას, აგრძარულ წარმოებაში მომსახურების სფეროს

<sup>1</sup> საქართველოში, XX-ე საუკუნის 80-იანი წლების მონაცემებით, მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყიფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწები 38%-ს შეადგენდა, საშუალო ხარისხის – 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის – 41%-ს.

ეროვნის ზემოქმედებას განიცდის მილიონ ჰექტარზე მეტი საგარეული (მ.შ. 350 ათასი ჰა სახნაგ-სათესი ფართობი). უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში 100 ათასამდე ჰა სახნავი ფართობი გადაირიცხა ნაკლებ ინტენსიურ საგარეულში.

პირობითად ნახევრად გაუდაბნოებულ ტერიტორიებში დამლაშებულ და ბიცობ ნიადაგებს აღმოსავლეთ საქართველოში 210 ათას ჰა-ზე მეტი უკავია. წლისათვის კოლხების დაბლობზე დაშრობილი იყო 140 ათასი ჰა.

1990 წლისათვის კოლხების მილიონ ჰექტარზე დაშრობილი იყო 103,9 ათასი ჰა; 1992 წლიდან ქვეყანაში შექმნილი მდიდე ეკონომიკური ვითარების გამო, ძირითადი სამედიორაციო ქსელი სათანადო მეთვალყურეობის გარეშე დარჩა. შედეგად რიგ რაიონებში დაიწყო მეორადი დაჭაობების პროცესი, რის გამოც დღეისთვის კოლხეთის ზონაში 42 ათასი ჰა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობი კვლავ ჭაობად იქცა.

შეავვ ნიადაგებს დასავლეთ საქართველოში 330 ათასი ჰა უკავია. ძლიერ მჟავე ნიადაგების ფართობმა 37 ათას ჰა-ს მიაღწია, სადაც ეკონომიკურად დორებული მოსავლის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია.

საბაზროა დია წესით დამუშავების შედეგად, სხვადასხვა სახის დარღვეული მიწების, კარიერების, ნაყარების, გამამდიდრებელი ფაბრიკების ნარჩენების, სალექავების და სხვა ფართობი 10 ათას ჰა-ს აღემატება.

## კააზა პოლიტიკური

სრულ ჩართვას. ასევე აუცილებელია სახელმწიფო (ნახევრად ადმინისტრაციული, ნახევრად კომერციული) მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახურების შექმნა, რადგან ისინი აწესრიგებენ სასურსათო ბაზარზე პროდუქციის მოთხოვნა-მიწოდების სტაბილურობას, რათა საბაზრო ფასები დროის უკელა მომენტში წონასწორობასთან ახლოს იყოს. საქართველომ უნდა შექმნას მარეგულირებელი (ჩამრევი) სამსახური – ამ ეტაპზე მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების სფეროში.

იმისათვის, რომ ქართულმა სოფელმა შექმნას პროდუქციის სიუხვე, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან აქტიური პოლიტიკის განხორციელება აგრობიზნესის ინფრასტრუქტურის შექმნის საქმეში. იგი, პირველ ყოვლისა, გამოიხატება სპეციალიზებული კომპერაციული ტიპის აგროსაკრუდიტო (ურთიერთდახმარების, თავდებობისა და გარანტიების) სისტემის შექმნით, რაც კრედიტს ხელმისაწვდომს გახდის და უზრუნველყოფს მოსავლის დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის აუცილებელი ნაწილი უნდა გახდეს მელიორაციის, ზოოგეტმომსახურების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, აგროქიმიური საშუალებების, საწევის (მატერიალურ ტექნიკური საშუალებების) და ა.შ. უზრუნველყოფის ორგანიზება. უნდა წახალისდეს ერთგვაროვანი პროდუქციის სფეროში კომპერიტების გამოყენება და მარკეტინგული დახმარება. ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად უნდა იქცეს სასოფლო რაიონებში აგროტექნიკუმების ფართო ქსელის გამოყენება, რომელიც შეძლებს ფერმერების (განსასაზღვრია ფერმერის სტატუსი და შესაქმნელია ფერმერთა რეგისტრაციის სისტემა) პრაქტიკული ცოდნითა და ჩვევებით აღჭურვას და მათი გამუდმებით გადამზადების გარემოს შექმნას.

ამავე კონტექსტითაა გადასაზღვები ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა სასურსათო უშიშროების ინფორმაციისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის შექმნა (ასეთი სამსახურის ჩამოყალიბება გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ არის რეკომენდებული). ამ სტრუქტურაში მთავარი ადგილი სასურსათო უშიშროების ძირითადი ინდიკატორების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის შეგროვებასა და ადრეული გაფრთხილების პრაქტიკის დანერგვას ეკუთვნის.

ქვეყნის აგროსექტორში მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი აუცილებელი ღონისძიებაა მიწის წვრილ მესაკუთრეთა ნებაყოფლობითი (კომპერაციული) გაერთიანებების ჩამოყალიბება და მათ მხარდასაჭერად კომპერატივების განვითარების საგარანტიო ფონდის შექმნა, აგრარული შრომის

სტიმულირება (ავტორიტეტის ამაღლება), სოფლის მეურნეობისა და გადამშავებელი მრეწველობის საწარმოთა ურთიერთინგებრაცია (პროდუქციის წარმოების, გადამშავებისა და ორგანიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა), დაწვრილერთეულებული საწარმოო ბაზის (მიწის) კონსოლიდაცია, ბაზრებთან კავშირის აღდგენა. ასევე მნიშვნელოვანია თემის სამეწარმეო მობილიზაციის პროგრამის განხორციელება, რომელიც გახდება სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ტრადიციული დარგებისა და მწვანე ტურიზმის ახლებური ორგანიზაციული მოწყობის, მისი ეფექტურობის ამაღლებისა და, შესაბამისად, მიწათმოქმედთა შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდის რეალური მექანიზმი, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური განვითარების ძლიერ საფუძველს [5].

საქართველოს მთავრობა უნდა დაადგეს აგრარული პოლიტიკის ახალ სტრატეგიას სწორად განსაზღვრული პრიორიტეტებით, რომელშიც არა უბრალოდ აგრარული, არამედ უფრო ფართო სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის განვითარების პოლიტიკა (აგრარული, სოციალური და ყოფითი პრობლემების კომპლექსურად გადაჭრა) იგულისხმება.

სოფლად შემოსავლების ზრდისა და ქალაქთან გათანაბრუნებული ცხოვრების პირობების შესაქმნელად (სოფელსა და ქალაქს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება) საქართველოს მთავრობამ, მსგავსად დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებისა, რამდენიმე დებულებით უნდა იხელმძღვანელოს:

1. სოფლის, როგორც ტერიტორიული და სოციალური ერთეულის (სოფლის სტატუსი, რეალური თვითმართველობა, ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობა), განვითარება, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა ეროვნული იდენტურობისა და მოსახლეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს;

2. გარემოს დაცვა-შენარჩუნება და მასთან დაკავშირებული ტურიზმის განვითარება სოფლად დასაქმებისა და შემოსავლის ზრდის პოტენციალს შეიცავს;

3. ინფორმაციის (მ.შ. ტელეკომუნიკაციის) გავრცელებისა და განათლების მიღების ხელმისაწვდომობა სოფლის ქალაქთან გათანაბრუნების აუცილებელი პირობაა;

4. სოფლად პროდუქციის სამრეწველო გადამშავების გაზრდა და ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისება სამუშაო ადგილების ზრდას უზრუნველყოფს.

საქართველოს გარდაქმნა მაღალგანვითარებულ, აგრარულ-ინდუსტრიულ ქვეყნად (შემდეგ ეტაპზე, ინდუსტრიულ ქვეყნად, ზეგანვითარებული სოფლის მეურნეობით), რომელიც

## პარტა კოდექსი

თვითონ დაიგმაყოფილებს თავის სასურსათო და სხვა საარ-სებო მოთხოვნილებებს, ექნება დადებითი სალდო პარტნიორ ქვეყნებთან ვაჭრობაში და ექსპორტის საგნად – მეცნიერება-ტევადი სამრეწველო, მეცნიერებული და მაღალი ხარისხის ნატუ-რალური სოფლის მეურნეობის პროდუქცია, არის ის სასურვე-ლი მიმართულება, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს საქარ-თველოს სასურსათო და ზოგადად ეკონომიკური უშიშროებაც, ანუ შეუნარჩუნოს მას გარანტირებული ეკონომიკური სიცოცხ-ლისუნარიანობა გარე ძალების ნებისაგან დამოუკიდებლად.

ეს ამოცანა თავისით, რა თქმა უნდა, არ გადაწყვდება. საჭიროა აგროსასურსათო სექტორის განვითარების მიზან-მიმართული სტრატეგიისა (სტრატეგია წარმოადგენს იმ საყრ-დენს რომლის საშუალებითაც შესაძლო უნდა გახდეს არსებუ-ლი სიძნელეების დაძლევა და სახელმწიფოებრივი ხედვის რე-ალიზება სოფლის მეურნეობის სფეროში) და მის საფუძველზე რაციონალური სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის შემუშავება (სისტემა, სტრუქტურა, სტრატეგია, ტაქტიკა, კადრების ნება, კადრების სწავლება), რომელიც ორიგინარებული იქნება ზე-მოალიშნული მთავარი ამოცანის გადაჭრაზე. ცხადია, ამ არსებით სიახლეებს სჭირდება ნათელი შესაბამისი კანონების მიღება.

ნებისმიერ კარგად დაბალანსებული სტრატეგიის რეალ-იზაციას, კარგად მოფიქრებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვის ბერკეტები ესაჭიროება (მხედველობაშია ფასწარმო-ქმნის პარიტეტული დარეგულირება, სეზონური ფასების ფორმირება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასა და აგრარულ შრომაზე მოთხოვნის გადიდების სათანადო სტიმულების მოძებნა, სოფლად შრომისა და წარმოების ორ-განიზაციის აღეყვატური ფორმების წახალისება და ა.შ.). ამ მიზნით, კარგი ნაბიჯი იქნებოდა თუ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო შექმნიდა აგრარული პოლიტიკის ეროვნულ საბჭოს, რომელიც შეიმუშავებს აგრარული პოლიტი-კის კონცეფციას, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატე-გიას და სოფლის განვითარების პოლიტიკას, განსაზღვრავს დარგობრივ პრიორიტეტებს, კვლევების, ინოვაციური და ეკო-ნომიკურ-ტექნოლოგიური გარემოს ფორმირებისთვის ხელშე-მწყობ პოლიტიკას, განიხილავს სხვა პრობლემურ საკითხებს, მიიღებს შესაბამის რეკომენდაციებს და გადაწყვეტილებებს. აგრარული პოლიტიკის საბჭოს შექმნის აუცილებლობა, ჯერ კიდევ 1999 წელს დაფიქსირდა ევროკავშირის ანგარიშში (აგრა-რული პოლიტიკის საბჭოს დებულების პროექტი და შემადგენ-ლობის ფორმირების XXX წესი შემუშავებულია).

აშშ-ის გამოცდილება იმიტომ კი არ დავახასიათეთ,

რომ ჩვენც ზუსტად ასე უნდა მოვიქცეთ. აქ მთავარია გამოცდილების გაზიარება და იმის გაკეთება, რისი შესაძლებლობაც სახელმწიფოს აქვს. სწრაფად განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს არა რომელიმე ერთი ეკონომიკური მიმართულების, არამედ ლიბერალური და სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკების რაციონალური შეთანაწყობის უპირატესობას.

ყველივე აღნიშნულიდან საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაიცნობიეროს, რომ სასურსათო უშიშროება ქვეყნის უაირველეს სტრატეგიულ მიზანთა რიგში შედის და რომ ერთადერთი სუბიექტი, ვისაც ამ ამოცანის გადაჭრა ძალუმს, არის თვით სახელმწიფო. ამასთან, ხელისუფლებამ უნდა ისწავლოს სახელმწიფოს როგორც ეკონომიკური სუბიექტის, ფუნქციონირების ურთულესი ტექნოლოგია, როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფის, ასევე სოფლის მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და ტექნიკური დონის ამაღლება-სრულყოფის საქმეში.

### ლიტერატურის სია

1.პ. კოდუაშვილი. როლანდ რეიგანის აგრაგული პოლიტიკის ეკონომიკურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ზოგიერთი ასპექტი, თსუ, ამერიკის შესწავლის ცენტრი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2005, გვ, 101-108;

2.რ. გოგოხია. შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004, გვ, 290;

3.გ. დოდონაძე, რ. გოგოხია. სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პოლიტიკა მსოფლიოში და ქართული რეალობა, ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, 2011, №4, გვ, 9-34;

4.პ. კოდუაშვილი. კიდევ ერთხელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განმსაზღვრელი ძირითადი არსის განმარტებისათვის, ჟურნალი „ეკონომიკა“, 2014, №1-2, გვ, 104-113;

5.პ. კოდუაშვილი. რა ემართება და რა პმართებს ქართულ სოფელს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომათა კრებული, 2013, №11, გვ, 353-390.

The highest national interests include agricultural and food complex care in USA. President Ronald Reagan initiated for this purpose in 1985 and Congress passed a law, "the United States on Food Security." It reflects the change in the country's internal political situation, and its essence is to lay the legal foundation for a new phase in the development of agricultural production. First of all, he underlined the importance of agricultural production as a special branch of economics, which is of strategic importance to the United States. Reagan radically changed the approach to agricultural resources and food security. It is known that the Reagan administration has done much to limit government intervention in private business and to reduce budget appropriations for this purpose, but not in the agricultural sector. Here, the impact of such a mechanism and funding approach remained intact. Moreover, has been introduced in substantial qualitative and quantitative additions.

The most important feature, which is reflected in the 1985 Law of the United States in the development of agriculture, for Legalization of State intervention the following changes were needed.

First, until the 1980s Legislation phraseology and pathos was directed to support the family farm. In the law of 1985, it has a different sound. Before from the general political line were isolated two directions: "the country's commercial agriculture stabilization" and "rural prosperity." The first direction Implies the focus on large farms – the main producers of commodity products, while the second focuses on the support of small and medium farms in rural areas in order to maintain social stability. Accordingly was revised state structure function of the country's agricultural sector. Some of them which were created to support family farms, were rebuilt in consolidation targets to large farms in land resources. Second, the 1985 law introduced the new provisions and mechanisms about agriculture state finance and loan and about pledge of agricultural products. In practice, this led to the United States Government

Not only to strengthen its impact on market, sowing areas, conjuncture changes in production volumes and revenues for farmers, but also to become main Buyer and distributor of agricultural products. At the end of the 80s it was transferred to State property 48% of produced wheat and 75% of dairy products.

Third, agricultural resources management occupies a central place in 1985 law. In addition, a specific program for combating soil erosion has come to the foreground. Its implementation by the Government of the United States was seen not only as a land fund preservation campaign, but as main condition of the country's food security. The old calls, interpretations, and to convictions have changed into severe economic and administrative sanctions against the farm, which was avoided erosion control measures.

Another feature of the 1985 law lies in the fact that he was the first to define the approach to the problem of food security in the foreseeable period of time. All of the farm, which is involved in the development of land resources, high levels of soil erosion, soil protection measures ordered by the law. Otherwise the farmer would have lost all state subsidies. The law also ordered the entire farm to produce a of the soil protection action plan 1990-1995. And by the end of the 80s, such plans have been approved by the Ministry of Agriculture. Soil protection measures have been successfully implemented in the beginning of the 90-in on 13 million hectares.

In the United States recognized that provisions of the 1985 Act, especially those relating to budget funds to attract more and more into agriculture, environmental protection and food security of the country, can lead to a decline in farm income, including an increase in social tensions.

Nevertheless, the implementation of the program was considered as a matter of paramount importance to the state. The problem of finding the optimal ratio remains as the actual task for scientific-technical progress in agricultural science.

The foregoing provides a basis for the following key moments in US-led rural development:

Laws passed in 1985 and 1990, representing a logical continuation of each other and in essence pursued one common goal – stabilize agricultural production and food security of the country.

Raising the US's Food Security as the priority (strategic) goals capacity, reflected in adoption and improvement of the legal norms that serve the following objectives: A) the rational use of agricultural resources-land, water, forests, the atmosphere (air), and as a result the country has created a legal framework, which is involved in the standards of protection of these resources; Optimal prices and their ability to regulate the production of basic food products; Legitimized State regulation of agricultural land and redistribution mechanism of some cultures. B) To protect and stabilize the incomes of agricultural producers; Large-scale subsidization of the basic product of state budget; C) Support the most effective methods of land use: It was determined laws, mechanisms and financial decisions. Legislative base gave the government the authority to conduct financial (if necessary) for agriculture from the fact that in the near future in a country 100 thousand major entrepreneur gives 80% of agricultural production; D) State transformation not only into the main customer (contractor) of agricultural Production but for home buyers and distributors: legal mechanism allows the government sufficient authority to procure and distribute a significant portion of the main agricultural crops (in case it is necessary to stabilize the situation on the market).

These goals settings and the introduction of legislation are sharp reversals in the US's agricultural history. Now this course qualifies as a "state guarantee of social and economic stability"

Instead of conclusion: In general, there are several reasons due to in the modern world a lot of attention is paid to agriculture and food security;

- The food providing is the guarantor of security and stability. The

sharp rise of the middle class in the world population leads to food demand and, consequently, the steady upward trend in prices. Therefore, food security in all States is one of the leading terms of strategy;

- The traditional activities in rural areas mean preservation the wealth of recreational and social values;

- Agricultural production is an important element of national identity and cultural heritage. Culturally, village and strong peasant are a powerful weapons for the preservation of the nation;

**Georgia, like other civilized nations, should to identify the priorities in agriculture.** In our opinion, the priorities in this area can be of two directions: First, the maintenance village as a territorial and social unit (this task includes the protection of cultural landscapes and wildlife), and second, to ensure food security, agricultural structure.

In order to create the conditions for the growth of rural incomes and equalized of living standards (socio-cultural disparities between rural and urban), the government, like the governments of democratic countries, should be guided with some of the regulations:

Development of village, its cultural and natural heritage as territorial and social units (rural status, real self-governance, institutional and infrastructural)

Maintain National identity and helps the population;

Environmental protection and conservation and related tourism development in rural employment and income increases potential;

Information (including telecommunications) distribution and access to education is a necessary condition of equalization of village and city;

In rural areas the product industrial processing and adoption of innovative technologies provide the increase of job opportunities.

Georgian transformation in highly developed agricultural-industrial country that itself satisfies his food and other subsistence needs, has positive balance with the partner countries in trade and export with object – Science-intensive industrial, scientific and high-quality organic agricultural products, - is the desired direction, which can ensure the food and the overall economic security. It will ensure the economic viability and independence from outside forces.

This would imply that:

- The government must realize that the food security of the country is first and foremost strategic objective.

- The government must realize that the only subject who is capable of solving this problem is the state;

- The government should learn complex technology of functioning of a the state, as an economic subject.

**Keywords:** Agricultural field, agriculture state support for the agricultural policy, food security, cooperatives.

**JEL classification:** Q10, Q13, Q18.



**ბაზი რამიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი**

2008 წლის ომის შემდეგ საქართველო უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა. აგვისტოს ომმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა გლობალურ ძალთა ახალი ბალანსი ჩამოაყალიბა. ცხადი გახდა, რომ რუსეთი შეეცდებოდა სამხედრო გამარჯვების პოლიტიკურ ჭრილში რეალიზებას, რისთვისაც მაქსიმალურად მოახდენდა საკუთარი რესურსების, განსაკუთრებით კი საინფორმაციო შესაძლებლობების მობილიზებას. ეს ქმედებები მზარდი ინტენსივობით დღესაც გრძელდება. სწორედ ამიტომ ვთვლით საჭიროდ, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გაეცეს რუსეთის პროპაგანდისტულ ქმედებებს, რათა საქართველოს მოსახლეობამ რთულ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში სწორი ორიენტირება შეძლოს.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, რუსეთი, გლობალური ძალები, მეგატრენდი, ეკონომიკური პოტენციალი, ეკონომიკური უპირატესობა

### გლობალური ძალების გავლენა საქართველოს გეოსტრატეგიულ პოზიციაზე

მსოფლიოში, კონკრეტულად კი საქართველოს მახლობლად მიმდინარე მოვლენები ეპოქალურია თავისი მნიშვნელობით, ხოლო მისი ანალიზი სრულიად აუცილებელია ჩვენი ქვეყნის განვითარების სტრატეგიის ფორმირებისთვის. ის ერთგავარად ქაოსური ვითარება, რომელიც ამჟამად ჩვენს გარშემო სუფექს, ისტორიულად მცირე პერიოდში მოწესრიგდება და შეიქმნება ახალი გეოსტრატეგიული განლაგება, რომელიც ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავს ევრაზიის კონტინენტზე შექმნილ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ბალანსს. რამდენიმე წელი, რაც ამისთვის არის საჭირო, მაქსიმალურად ნაყოფიერად უნდა იქნეს გამოყენებული, რათა სასურველი ადგილი დავიკავოთ ახალ გეოსტრატეგიულ ლანდშაფტში. როგორც

## ბაზი რამდენი

უველა მცირე ქვეყანა, საქართველოც დიდად არის დამოკიდებული გარემო ფაქტორებზე და თუ ისტორიულ და რეგიონულ განსაკუთრებულობასაც დავამატებთ, ცხადი ხდება, რომ განვითარების ნებისმიერი გეგმის განმსაზღვრელი, სწორედ საგარეო ზემოქმედებაზე აღეკვატური რეაქციაა. რადგან თანამედროვე ეპოქისთვის დამახასიათებელი დინამიკურობა არ იძლევა ხანგრძლივი პროგნოზირების შესაძლებლობას, ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალია 5-10 წელიწადში ერთხელ შესრულდეს იმ ფუნდამენტური ძალების მიმართულებებისა და ზემოქმედების ხარისხის შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. ვფიქრობთ, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებამდე, გარდამავალ ეტაპზე, მოვლენების 5-10 წლიანი პერსპექტივით განკვრება სავსებით საქმარისი იქნება, ოღონდ პროგნოზი მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული რეალობასთან. სტატიების ის ციკლი, წინამდებარე ნაშრომის ჩათვლით, რომელსაც ამ მიზანს მივუძვნით, წარმოადგენს პრობლემის ჩვენეულ ხედვას, თუმცა, აქვთ აღვნიშნავთ, რომ სტრატეგიული საკითხებისადმი სწორი მიდგომის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია პლურალიზმი, ამიტომ, ჩვენ მზად ვართ დისკუსიისა და პოლემიკისთვის.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, ერთი მხრივ, ართულებს ამგვარ ანალიზს მეორე მხრივ კი, აადვილებს. კერძოდ, საქართველო და მისი მოსაზღვრე რეგიონები თანამედროვე მსოფლიოს ურთულეს გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს, აქ არის მსოფლიოს დესტაბილიზაციის გამომწვევი ათი უმნიშვნელოვანები კრიზისული კერიდან უმრავლესობა და როგორც ჩანს, ასეც დარჩება მინიმუმ უახლოესი ათწლეულის განმავლობაში. ასეთი კითარება კი კომპლექსურ ხედვას მოითხოვს, რაც გლობალური ძალებისა და მეგატრენდების ურთიერთმიმართებისა და ბალანსის საფუძველზე უნდა განხორციელდეს. მეორე მხრივ კი, ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყანა მოქცეულია უმნიშვნელოვანები გლობალური ძალების სასიცოცხლო ინტერესების სფეროში, საშუალებას იძლევა სტრატეგიული ანალიზის დროს არ იქნეს გათვალისწინებული ნაკლებმნიშვნელოვანი ფაქტორები და ამის შედეგად სამომავლო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის სურათი არსებითად არ დამახილდეს.

კვლევის შემდგომი განვითარებისთვის, აუცილებელია განვსაზღროთ თუ რას ვგულისხმობთ ტერმინების: გლობალური ძალისა და მეგატრენდის გამოყენებისას. გლობალური ძალა არის იმ ცივილიზაციათა ან ცივილიზაციისა და სხვა ცივილიზაციის ცალკეული წარმომადგენლების ერთობა, რომელთაც განვითარების თანამედროვე ეტაპზე თანმხვდრი

ინტერესები აქვთ და პლანეტარული მასშტაბით კონსოლიდირებულად მოქმედებენ მათ გასატარებლად. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვეყრდნობით სემუელ პანთინგთონის კლასიფიკაციას [1], თუმცა, გარკვეული კორექტივები შეგვაქვს მასში. მაგალითად, მისეული ხედვით, მსოფლიოში რამდენიმე ცივილიზაციაა, მაგრამ ჩვენი აზრით, ყველა მათგანს არ აქვს გლობალური ამბიციები და არც კონსოლიდირებულად მოქმედებენ მათ დასამკავიდრებლად. ამავე დროს, ჩვენ მიერ განხილული გლობალური ძალის შემადგენლობა შესაძლებელია არ ემთხვეოდეს პანთინგთონისეულ ცივილიზაციის გაგებას. მაგალითად, დასავლური გლობალური ძალის შემადგენლობია რამდენიმე მართლმადიდებელი ქაყანა; მასთან მჭიდრო ალიანსშია იაპონური ცივილიზაცია და სამხრეთი კორეა. დასავლური ძალის მოკავშირედ მიიჩნევა აგრეთვე თურქეთი და უფრო შორეულ პერსპექტივაში ზოგიერთი არაბული სახელმწიფოც. ეს ძალა არის ჰეშმარიტად გლობალური და ყველაზე გავლენიანი მსოფლიოში, ანუ, ჩვენი აზრით, გლობალური ძალის ჩამოყალიბებაში, მართალია, საბაზისო მსოფლმხედველობრივ-კულტურული კონსენსუსი ძირითად საკითხებზე (დასავლური ძალის შემთხვევაში ესაა: ადამიანის უფლებები, პოლიტიკური დემოკრატია, კანონის უზენაესობა, პლურალიზმი, ინდივიდუალიზმი, კულტურული და სიტყვის თავისუფლება, კაპიტალიზმი და თავისუფალი ვაჭრობა), მაგრამ უმნიშვნელოვანესი აღილი პრაგმატულ (ძირითადად უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება) მოსაზრებებს უკავია.

დასავლურის გარდა, დანარჩენს, ჯერჯერობით რთულია ჰეშმარიტად გლობალური ძალა ვუწოდოთ. თუმცა, მსგავსი ამბიციები მსოფლიოში კიდევ სამ ცივილიზაციას აქვს, ესენია ჩინური, რუსული (რომელსაც პანთინგთონი და ბექზინსკიც მართლმადიდებლურს უწოდებენ რაც, ჩვენი აზრით, მცდარი შეხედულებაა) და ისლამური. ეს უკანასკნელი ყველაზე შორს არის გლობალური ძალის პოზიციისგან და მხოლოდ ორ მეგა-ტრენდს - დემოგრაფიულ აფეთქებას და ძვირ ენერგეტიკულ რესურსებს ეურდნობა. ისლამურ ფაქტორს, კონსოლიდირებულ, გლობალურ ძალად ჩამოყალიბებაში (მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს არის ამის გარკვეული მცდელობა) ხელს უშლის მისი დაქსაქსულობა და რაც მთავარია, ის ფაქტი, რომ აქ არ იკვეთება ე.წ. “დერძული სახელმწიფო”, რომელიც თავის გარშემო გააერთიანებდა დანარჩენ ისლამურ ქვეყნებს, რითაც სტაბილურობას და მიზანმიმართულობას შესძენდა მათ. ასეთი რამ, არც თვალსაწიერ მომავალშია მოსალოდნელი. სამაგიეროდ, ყველა იმ დანარჩენ გლობალურ ძალაში, რომლებიც მეტ-ნაკლებად ძლიერ გავლენას ახდენს საქართველოზე, მკაფ-

## ბაზი რამიშვილი

---

იოდ არის გამოკვეთილი “დერძული სახელმწიფო”: დასავლურ ძალაში ეს არის აშშ, ჩრდილოეთით კი რუსეთი ცდილობს ე.წ. “ევრაზიული კავშირის” ფორმირებას, სადაც წამყვანი ცივილიზაციური ელემენტი ჩვენი აზრით სრულიადაც არ იქნება მართლმადიდებლური. ჩინეთი კი განსაკუთრებული მოვლენაა, რადგან ამ შემთხვევაში ცივილიზაციის, სახელმწიფოსა და გლობალური ძალის ლოკალიზაცია თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა, ამ ქვეყნის ექსპანსიური მისწრაფებები უკვე სახეზეა და ის ძირითადად დემოგრაფიულ ხასიათს ატარებს. ამავე დროს, აფრიკის რესურსების ათვისებაში დასავლეთის რეალური კონკურენტი ხდება ეს ქვეყანა და ამ მხრივ საკმაო აგრესიულობასაც იჩენს.

ჩვენს მოსაზრებას, რომ ცივილიზაციისა და გლობალური ალიანსების საზღვრები შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს, რუსეთის მაგალითიც ადასტურებს, რომელიც ჰანთინგთონის მიხედვით, მართლმადიდებლური ცივილიზაციის უმთავრესი ქვეყანაა, მაგრამ მისი მეთაურობით შექმნილ ალიანსში, მის გარდა მხოლოდ ერთი მართლმადიდებლური ქვეყანაა, ხოლო დანარჩენი სამი კი - არა. თვით რუსეთის კუთვნილებაც კი მართლმადიდებლური ცივილიზაციისადმი დიდ ეჭვს იწვევს, რადგან, ამ ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 65-70% ათეისტია, მართლმადიდებლად თავს მიიჩნევს მხოლოდ 15-20%, ხოლო ისლამის მიმდევრად 10-15% [2], თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მყარი აღმსარებლობით გამოირჩევიან რუსეთის მოსახლეობაში, მაშინ ძალიან საეჭვო ხდება რომელი ცივილიზაციური ელემენტი სჭარბობს ჩვენს ჩრდილოელ მეზობელ ქვეყანაში და მით უმეტეს, მის მიერ შეკოწიწებულ ე.წ. ევრაზიულ კავშირში. თავად რუსი ექსპერტები, პოლიტოლოგები თუ მეცნიერები, რომლებიც იმპერიული სულისკვეთებით გამოირჩევიან, ხაზს უსვამეს იმ ფაქტს, რომ ახალ იმპერიაში, რომელიც რუსეთის ეგიდით უნდა შეიქმნას, რუსულ-თურქული ელემენტი იქნება დომინანტური და ამასთან კონსერვატული იდეოლოგიის მატარებელი.

საქართველოს მდებარეობა ქმნის იმის საფუძველს, რომ აქ თავს იყრის პლანეტარული მასშტაბის ინტერესები. საქართველოს გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაზე, მსოფლიოში არსებული ყველა გლობალური ძალა ზემოქმედებს, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია დასავლური და ჩრდილოური ვექტორი. თუმცა, მუდმივი მონიტორინგის ქვეშ უნდა მოექცეს ჩინურიც და ისლამურიც. ჩვენ შეძლებისდაგვარად მაღალი სიზუსტით უნდა განვსაზღვროთ მათი პოტენციალის ფარდობითი მაჩვენებლები, რადგან სწორედ მათ შორის ჩამოყალიბებული ბალანსი განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის პოლი-

ტიპურ ორიენტაციას და სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში თავად ჩვენი, ქართველების განწყობა მეორეული მნიშვნელობისაა. სწორედ ამის გამო იყო, რომ 1920-იან წლებში საქართველოს მოსახლეობას ისდა დარჩენოდა, რომ დუმილით ან ლოკალური ექსცესებით შეხვედროდა (რაც დასტურის ტოლფასი იყო) გლობალური ძალების ბალანსის შედეგად შექმნილ რეალობას. ერთი შეხედვითაც კი ნათელია, რომ რაოდენობრივი თუ სხვა სახის პარამეტრები, დასავლური ძალის სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ ჩრდილოურის ზემოქმედებას ბევრი ფაქტორი აძლიერებს, რომელთაც დიდწილად ირაციონალური საფუძველი აქვთ, თუმცა ეს არ აიოლებს ჩვენს ხედრს, პირიქით.

სტატიაში განხილულ პრობლემას ჩვენ უკვე მივუძღვენით რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი [3,4], საგაზიეთო პუბლიკაცია, სატელევიზიო თუ რადიო ეთერით გამოსვლა და ამ მხრივ 2009 წლიდან გავაქტიურდით. რადგან 2008 წლის ომის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რუსეთი შეეცდებოდა სამხედრო წარმატების პოლიტიკური ჭრილით რეალიზებას და შემდგომი რამდენიმე წელი უმძიმესი იქნებოდა საქართველოსთვის. ზეწოლა სხვადასხვა მიმართულებით გაიზრდებოდა და განსაკუთრებული ძალისხმევა სწორედ მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას დაეთმობოდა, რათა მას ირაციონალური პოლიტიკური გადაწყვეტილება მიედო. ჩვენი მიზანი მაშინაც იყო და ახლაც არის ის, რომ მკაცრი ანალიზის ფონზე მოვაწოდოთ საქართველოს მოსახლეობას შექმნილი ვითარების სტრატეგიული აღწერა, რათა დავვხმაროთ მას პრაგმატული, განვითარებაზე ორინტირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

მართალია, ყველა პროგნოზის აბსოლუტური შესრულება წარმოუდგენელია, მაგრამ ვფიქრობთ, ზემოაღნიშნულ სტატიებსა და პუბლიკაციებში ასახული ტენდენციები გამართლდა, ამავე დროს უკანასკნელ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რაც უკრაინის ომს, დასავლეთის სანქციებს და ნავთობზე ფასების დაცემას უკავშირდება, არსებითად ცვლის ვითარებას და პროგნოზების გადახედვის აუცილებლობას წარმოქმნის. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი ამ მოვლენის შესახებ ჩვენ ვსაუბრობდით ტელე თუ რადიო ეთერში, მათი ესოდენ სწრაფი და მძლავრი განვითარება რთულად იყო წარმოსადგენი. უკანასკნელი მოვლენები მეტად საინტერესო პერსპექტივებს აჩენს საქართველოსთვის, რისი გამოყენებისთვისაც ვითარების მაქსიმალური შესწავლაა აუცილებელი. იხსნება შესაძლებლობების ფანჯარა, რომელში გონივრული გავლაც ჩვენი თაობის მოვალეობაა.

ზემოთ დაწვრილებით ვიმსჯელეთ ოთხი გლობალური ძალის შესახებ და ასევე გამოვიყენეთ ტერმინი - მეგატრენდი,

## **ბალი რამიშვილი**

---

რომელშიც ჩვენ პლანეტარული მნიშვნელობის იმ განვითარებად ფაქტორებს ვაულისხმობთ, რომლებიც უმთავრეს ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო გეოსტრატეგიული ლანდშაფტის ფორმირებაზე. ჩვენი აზრით, ესენია: ეკონომიკური, ენერგეტიკული, დემოგრაფიული, ტექნოლოგიური და მილიტარისტული მეგატრენდები. აქედან, მთავარი - გლობალური ძალების ეკონომიკური პოტენციალის ანალიზია, რაც, თავის მხრივ, მათი მილიტარისტული განწყობების ძირითადი განმაპირობებელია. თავად ეკონომიკურ განვითარებაზე კი, დანარჩენი სამი მეგატრენდი ზემოქმედებს, სხვა ნაკლებმიშვნელოვან ფაქტორთან ერთად. ჩვენ, ყოველი მათგანის მიხედვით ცალ-ცალკე მოვახდებთ თითოეული გლობალური ძალის ანალიზს, გარდა ისლამური ძალისა, რადგან როგორც ითქვა, ეს ძალა ჯერ არ არის კონსლიდირებული და არც ახლო პერსპექტივაში მოგვაჭლინება ასეთად. თუმცა, გარკვეული ანალიზი მის გარშემოც ჩატარდება. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცევა დასავლური და რუსული გლობალური ძალები, ხოლო ჩინურს შევეხებით როგორც ამ ორ ძალაზე უაღრესი გავლენის მქონე მოვლენას და პერსპექტივაში უდიდესი პოტენციალის მქონეს. მართალია, ანალიზი თითოეული მეგატრენდის მხედვით, განცალკევებით ჩატარდება, მაგრამ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ მათ ერთმანეთის ფორსირების ან შენელების შესაძლებლობა აქვთ. განსაკუთრებული ყურადღებით მოვაკიდებით გლობალური ძალების ეკონომიკური პოტენციალის ერთმანეთთან ფარდობით ანალიზს, რადგან, როდესაც მეტოქეობასთან გვაქვს საქმე, უპირატესობის აბსოლუტური მაჩვენებლებით ანალიზი ვერ იძლევა სათანადო სურათს და ის აუციებლად ურთიერთშედარების ასპექტით უნდა იქნას განხილული.

### **ეკონომიკური მეგატრენდის ზემოქმედება საქართველოს აქტუალური გლობალური ძალების ბალანსზე**

სავსებით ლოგიკურია ანალიზის დაწყება ეკონომიკური მეგატრენდის გამოკვლევით. ის, როგორც აღვნიშნეთ, ერთგვარად აერთიანებს ენერგეტიკული, ტექნოლოგიური და დემოგრაფიული მეგატრენდების შედეგებს და მილიტარისტული მეგატრენდის მნიშვნელოვან განმაპირობებლად გვევლინება. ეკონომიკური განვითარების ტენდენციებს ყველაზე კარგად ასახავს ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიც არის მშპ, მეპ და ა.შ. ქვემოთ (ცხრილი 1) მოყვანილია

2014 წლის მშპ-ის მონაცემები თითოეული გლობალური ძალის შესახებ ცალკეული შემადგენლების მიხედვით და ამავე დროს გარკვეული დაშვებების საფუძველზე შესრულებულია პროგნოზი 2019 და 2024 წლებისთვის. მაკროეკონომიკური ტრენდები დიდი მდგრადობით გამოირჩევა, ამიტომ, მათ მიმართ შესაძლებელია ექსპრაპოლირების მეთოდის გამოყენება. ამავე დროს, პროგნოზში გათვალისწინებულია ის კონტექსტი, რაც ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას გააჩნია.

რუსეთის ეკონომიკის ზრდამ 2013 წელს 1,3% შეადგინა, ხოლო 2014 წელს კი ეს მაჩვენებელი დაუზუსტებელი შეფასებით 0,5% იყო. უკვე აშკარაა, რომ 2015 - რეცესიის წელია და ექსპერტთა შეფასებების მიხედვით ვარდნა 3%-დან-5%-მდე იქნება, კრიზისული იქნება 2016 წელიც და ამის შესახებ თავად პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმაც განაცხადა. რუსეთის მიმართ ჩვენი პროგნოზი ეყრდნობა ზომიერად ოპტიმისტურ ვარიანტს, ანუ ვარაუდს, რომ 2017 წლიდან რუსეთის ეკონომიკა ადაპტაციას მოახდენს სანქციებსა და ნავთობზე დაბალ ფასებთან და 2019 წლის ჩათვლით, ანუ 2020 წლის დასაწყისისთვის აღიდგენს კრიზისამდე არსებულ მდგომარეობას, ხოლო ამის შემდეგ - 2025 წლის დასაწყისისთვის კი მშპ-ს 2%-იანი საშუალოწლიური ზრდა დაფიქსირდება. ზომიერად ოპტიმისტურია ევრაზიული ალიანსის დანარჩენი სახელმწიფოების მშპ-ის მიმართ ჩვენ მიერ დაშვებული ზრდის ტემპები. მაგალითად, ყაზახეთის ეკონომიკის ზრდა 2012-2014 წლების 5%, ვფიქრობთ, რომ ანალოგიური ზრდის ტემპების მიღწევა ამ ქვეყნის მდიდარი რესურსებით ბაზისა და განვითარების საშუალოსთან მიახლოებული მაჩვენებლების ფონზე, ზომიერად ოპტიმისტურია პროგნოზის ჩარჩოებშია. ანალოგიური დაშვებები გვაქვს სხვა ქვეყნების მიმართაც. მაგალითად, სომხეთისა და ბელორუსისთვის ზომიერად ოპტიმისტურია შესაბამისად 5% და 2%-იანი ზრდის ტემპები, ხოლო ყირგიზეთს ყველაზე მაღალი ზრდის სავარაუდო ტემპი მივანიჭეთ, რადგან ჯერ ერთი, ასეთი იყო მისი მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 2012-2014 წლებში და ამასთან, ამ ქვეყანას ძალიან დაბალი მშპ აქვს მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, რაც 2013 წლისათვის 2500 აშშ დოლარს შეადგენდა და ამ შემთხვევაში დაბალი ბაზის ეფექტმა უნდა იმუშაოს.

## ბალი რამიშვილი

მშპ-ის ოეალური და საპროგნოზო მაჩვენებლები 2014-2024  
 წლებში პერიოდში აშშ დოლარის პარიტეტული  
 მყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით  
 (ცხრილი შედგენილია [2, 5] მასალების გამოყენებით)

(ცხრილი 1

	მშპ ტრლნ შ 2014 წ.	მშპ-ის საშუალო წლიური ზრდა (2012-2014 წწ. %%)	მშპ ტრლნ შ 2019 წ. (პროგნოზი)	მშპ-ის ზრდა (პროგნოზი 2015-2019 წწ. %%)	მშპ ტრლნ შ 2024 წ. (პროგნოზი)	მშპ-ის ზრდა (პროგნოზი 2020-2024 წწ. %%)
რესერვი	2.6	1.7	2.6	0	2.9	2
ყაზახეთი	0.25	5	0.32	5	0.41	5
ბელორუსი	0.15	1.5	0.17	2	0.18	2
სომხეთი	0.02	4.6	0.026	5	0.033	5
ყირგიზეთი	0.015	6.5	0.021	7	0.030	7
ევრაზიული კავშირი სულ	3.0		3.1		3.6	
აშშ	17	2	18.8	2	20.7	2
ევროკავშირი	16	0.5	16.8	1	18.5	2
კანადა	1.6	1.9	1.8	2	2.0	2
ავსტრალია	1	2.5	1.1	2.5	1.3	2.5
იაპონია	5	2	5.5	2	6.1	2
სამხრეთი კორეა	1.7	2.9	1.9	2.5	2.2	2.5
დასავლური ძალა სულ	42.3		45.9		50.8	
ჩინეთი	14	7.6	19.6	7	26.2	6
ბაიგანი	0.95	2.3	1.1	2	1.2	2
სულ (სავარაუ- დოდ)	-		-		27.4	

## ეპონომიკური თეორია და ეპონომიკური პოლიტიკა

აშშ გამოვიდა ეკონომიკური კრიზისიდან და იქ ბოლო წლებია საშუალოდ მშპ-ის 2%-იანი ზრდა ფიქსირდება. ვფიქრობთ, განსახილველ პერიოდში ანალოგიური საპროგნოზო ტემპის განვითარება აშშ-ის ეკონომიკისთვის არ იქნება რთული ამოცანა. მასზეა მიბმული კანადის ეკონომიკა და იქაც იგივე საპროგნოზო მაჩვენებლებს გამოვიყენებთ. რაც შეეხება ევროკავშირს, იგი უკანასკნელ წლებში კრიზისიდან გამოსვლას ცდილობდა - 2012-2014 წწ. პერიოდში მშპ-ის საშუალო ზრდის ტემპი 0.5% იყო. ვფიქრობთ, შემდგომი 5 წლიანი პერიოდიც კრიზის დაძლევის ხანა იქნება და ამიტომ სავარაუდო ზრდის ტემპი 1%-ის დონეზე ავიდეთ, ხოლო 2020-2024 წლებში, ამ გაერთიანებისთვის არ იქნება გადაჭარბებული 2%-იანი სტაბილური ზრდის ტემპების მიღწევა. დასავლეთის გლობალური ძალის დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში, ძირითადად უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მშპ-ის ზრდის ტემპების საშუალო მაჩვენებლებს დავეყრდენით.

ჩინეთი უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, საოცარი ეკონომიკური ზრდის დემონსტრირებას ახდენს. მართალია, ბოლო წლებში მისი მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი 7.6%-მდე შემცირდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთმა დაძლია განვითარების დაბალი დონე და აქ ერთ სულზე მშპ-ზე უკვე 10 ათას აშშ დოლარს გადაჭარბა, ესეც ძალიან კარგი შედეგია. იმ ფაქტსაც თუ გავიხსენებთ, რომ ჩინეთის მთავრობამ 2005 წელს მიზნად დაისახა ეკონომიკის გადახურების თავიდან ასაცილებლად მშპ-ს ზრდის ტემპების 8%-მდე შეცირება, რასაც იგი დიდი ხნის განმავლობაში “ვერ ახერხებდა”, გამოდის, რომ ეს მაჩვენებელი სრულიად ოპტიმალურია. ამიტომ, ჩვენი აზრით, მომავალი 5 წლის განმავლობაში, ამ ქვეყანას არ უნდა გაუჭირდეს ეკონომიკის ზრდის მინიმუმ 7%-იანი, ხოლო მომდევნო ხუთ წელიწადში - 6%-იანი ზრდის ტემპების მიღწევა, რისთვისაც მისი უმთავრესი რესურსი არცოუ ძვირი, უაღრესი შრომის კულტურით დაჯილდოებული მუშახელია. ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის ერთ-ერთი საფუძველი, სწორედ შრომის საერთო მწარმოებლურობის მაღალი ტემპებით განუხერელი ზრდაა, რისთვისაც მას უზარმაზარი რესურსი კვლავაც აქვს. მაგალითად, 2013 წელს ამ ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ 10% იწარმოებოდა აგრარულ სექტორში და ეს მაშინ, როდესაც აქ დასაქმებული იყო მთელი შრომისუნარიანი მო-

## **პატი რამიშვილი**

---

სახლების 33.6%. ცხადია, რომ აგრარული სექტორიდან სხვა დარგებში შრომითი რესურსების გადადინება, რაც დღესაც დიდი ტემპებით გრძელდება, პირდაპირ აისახება შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე.

ჩინეთის მთავრობის გონივრული პოლიტიკა პონგ-კონგ-თან დაკავშირებით, რაც დენ სიაო პინის მიერ წამოყენებული იდეის - “ერთი ქვეყანა ორი სისტემა” - განხორციელებაა, ასევე, მათი სიმტკიცე ტაივანის პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, თვით ტაივანის პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებები, რაც გაერთიანების მომხრე პოლიტიკური ძალების როლის ზრდაში აისახება და სხვადასხვა ექსპერტების მოსაზრებები, გვაფიქრებინებს, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ჩინეთი გადაწყვეტს ამ პრობლემას. სწორედ ამიტომ დავაჯამეთ 2024 წლისათვის ჩინეთისა და ტაივანის მშპ. ამ პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესია გლობალური ურთიერთობებისთვის და საქართველოზეც აისახება, რადგან, ეს საკითხი წარმოადგენს აშშ-სა და ჩინეთის უთანხმოების საფუძველს და მისი მოვარების შემთხვევაში, დასავლეთის გლობალური ძალისა და ჩინეთის დაპირისპირების ალბათობა მინიმუმამდე შემცირდება, რაც რუსეთს მანევრირების შესაძლებლობას მნიშვნელოვნად შეუზღუდავს.

კვლევის შედეგები. ცხრილი 1-ის საშედეგო მონაცემების თანახმად, 2014 წლის რუსეთისა და მისი სატელოების მთლიანი ეკონომიკური პოტენციალი დაახლოებით 3 ტრლი აშშ დოლარს შეადგენდა. ე.წ. დასავლური ძალის ანალოგიური მაჩვენებელი კი 42,3 ტრლი აშშ დოლარი იყო, ანუ ეკონომიკური პოტენციალის ფარდობითი კოეფიციენტი არის დაახლოებით 1:14.1-თან. ეს მაჩვენებელი 2019 წლის ბოლოსთვის იქნება 1:14.8-თან, ხოლო 2024 წლის ბოლოსთვის კი 1:14.1-თან. ევრაზიული კავშირისა და ჩინეთის ეკონომიკური პოენციალის თანაფარდობა შედეგნაირად გამოიყურება: 2014 წელი - 1:4.7-თან, 2019 წლის ბოლოს - 1:6.3-თან და 2024 წლის ბოლოსთვის კი ეს მაჩვენებელი ტაივანთან ერთად იქნება 1:7.6-თან, ხოლო მხოლოდ ჩინეთის შემთხვევაში კი - 1:7.3-თან. ასეთ ვითარებაში, რუსეთისა და მასთან ასოცირებული ნებისმიერი რეგიონული გაერთიანების პერსპექტივები, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი პოლუსისა, რბილად რომ ვთქვათ, არარეალურად გამოიყურება, ხოლო ამას თუ დავუმატებთ ამ ქვეყნის მზარდ აგრესიულო-

## კარცონიული თეორია და მარცობის პრატისტი

ბას, დასტვნა ცალსახაა: დაპირისპირების ცხელ ან თუნდაც ნელ-თბილ ფაზაში გადაჭვანა ფატალური შედეგის მომტანი იქნება რუსეთისთვის. შედეგად საქართველოსთვის დასავლური არჩევანი არამარტო მსოფლმხედველობრივია, არამედ პრაგმატულიც, რაც ზუსტ რაოდენობრივ ანალიზსაც ეყრდნობა.

**ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და  
ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაციის წევრი ქვეყნების  
მეპის მაჩვენებლები (ტრდნ აშშ დოლარი 1989 წლისათვის  
(ცხრილი შედგენილია [6] მასალების გამოყენებით)**

ცხრილი 2

	მეპ		მეპ		მეპ
სსრკ	2.659	აშშ	5.233	გვრ	0.946
ჩეხოსლო-ვაკია	0.123	ბელგია	0.136	საბერძნეთი	0.056
ბულგარეთი	0.051	დიდი ბრიტანეთი	0.818	თურქეთი	0.075
პოლონეთი	0.172	დანია	0.074	ესპანეთი	0.399
უნგრეთი	0.065	ისლანდია	0.004	პორტუგალია	0.072
რუმინეთი	0.080	იტალია	0.803	კანადა	0.514
გდრ	0.160	ლუქსემბურგი	0.006	ნორვეგია	0.076
ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია სულ 3.310	ნიდერლანდები	ნიდერლანდები	0.206	საფრანგეთი	0.820
			12.593	ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია სულ	

ქართველთა ერთი ნაწილის მენტალიტებზე, განსაკუთრებით მათზე ვისაც საბჭოთა წლებში ცნობიერი სიცოცხლის გარკვეული წლები გაუტარებია, გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირის ადრინდელი ძალმოსილების აჩრდილი და ამ განწყობის პროცესის აგტომატურად ახდენს რუსეთზე, ეს კი კატეგორიულად მიუღებელია. ჩვენ, ამ შემთხვევაშიც, ფარდობითი შეფასების მეთოდს გამოვიყენებთ. ქვემოთ მოყვანილია 1989 წლს მთლიანი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებლები საბჭოთა ბლოკისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყ-

## **პატი რამიშვილი**

---

ნების მიხედვით (იხ. ცხრილი 2). როგორც ვხედავთ, ამ მომენტისთვის ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალი 3.3 ტრლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა კი 12.6 ტრლნ-ს, ანუ, მათი ეკონომიკური პოტენციალის ფარდობითი კოეფიციენტია 1:3.8-თან. ეს ის პერიოდია, როდესაც ცხადი გახდა საბჭოთა ბლოკის კრახი. დასავლეთის დაახლოებით 4-ჯერადი ეკონომიკური უპირატესობა (ცხადია სხვა ფაქტორებთან ერთად) სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ციფრმში წარმატების მისაღწევად. დღეს ვითარება რუსეთისთვის გაცილებით დამძიმებულია და როგორც ზემოთ ჩატარებული ანალიზიც გვიჩვენებს, ციფრი მისი პერიოდთან შედარებით, რუსეთის და მისი მოკავშირების ფარდობითი პოზიცია, ერთობლივი ეკონომიკური პოტენციალის მიხედვით, დაახლოებით 3,7-ჯერ არის გაუარესებული.

\* \* \*

დაბოლოს, მკითხველს ვაუწყებთ, რომ წარმოდგენილი სტატიით აღნიშნული პრობლემის კვლევა არ მთავრდება და როგორც აღვნიშნეთ, იგი მხოლოდ პირველია ნაშრომთა ციკლში. ჩვენი შემდგომი კვლევა მიეძღვნება ოთხი უმნიშვნელოვანები - ენერგეტიკული, დემოგრაფიული, ტექნოლოგიური და მილიტარისტული მეგატრენდების ანალიზს და მათ გავლენას გლობალურ ძალათა შორის ბალანსის ფორმირებაზე. ციკლის საბოლოო შედეგი კი იქნება გეოსტრატეგიული დანდშაფტის კონტურების განხვერება, რაც, ჩვენი აზრით, საქართველოს განვითარების პერსპექტივებს უახლოესი ათწლეულების განმავლობაში განსაზღვრავს.

## ლიტერატურის სია

1. [http://www.academia.edu/4610592/Samuel\\_P\\_Huntington\\_The\\_Clash\\_of\\_Civilizations\\_and\\_the\\_Remaking\\_of\\_World\\_Order\\_1996](http://www.academia.edu/4610592/Samuel_P_Huntington_The_Clash_of_Civilizations_and_the_Remaking_of_World_Order_1996).
2. <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/>
3. ბ. რამიშვილი, საქართველოს გრძელვადიანი პოლიტიკური პესპექტივები გეოეპონომიკური ცვლილებების ფონზე, „კომერსანტი”, თეუსუ, 2009 წ. №3.
4. ბ. რამიშვილი, რუსეთის გეოპოლიტიკური გამოწვევები აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე, თეუსუ-ს სამეცნიერო ჟურნალი, 2010წ.№1.
5. <http://www.worldbank.org/en/country/>
6. <http://www.theodora.com/wfb/1990/>

### Georgia's Position in the Global Geostrategic Landscape

**B. Ramishvili**

The current events in the world and particularly in the vicinity of Georgia is epoch-making with its significance and its analysis is important to form our country's development strategy. Because of dynamics of the modern epoch it is impossible to make a long-term prognosis, so the best solution is to study, per 5-10 years, the fundamental forces directions and its impact quality, which are important for our country. For this purpose there is analyzed economic potential of Global forces which, in the authors opinion, has an impact on geostrategic position of Georgia.

In the authors opinion, force is the unity of civilization or other civilizations and some representatives of civilization, which have coinciding interests in the modern stage of development and for the mentioned interests take concerted action at a global scale. Such ones in the article are western, Chinese and Islamic forces and forces at a development stage around Russia. The economic potential of the first three ones is analyzed in the work. Five megatrend have an impact on a balance formation, namely: economic, energetic, demographic, technologic and militaristic megatrends. Megatrend implies the developing factors of planetary significance, affecting on formation process of the world geostrategic landscape.


Based on the research results by the end of 2014 the relative ratio of the overall economic potential of Russia and its satellites and western

force's economic potential approximately was 1:14.1, by the end of 2024 the indicator will be 1:14.1. The Eurasian Union and China's economical potential ratio is as follows: 2014 year – 1:4.7, 2019 year – 1:6.3 and by the end of 2024 – 1:7.6 with Taiwan, as for only China it makes up 1:7.3.

The ghost of the former Soviet union has an impact on a part of Georgian's mentality, mostly on persons who spent several years of their conscious life in the Union and the mood is provoked by Russia, that is absolutely unacceptable to the author. He uses the relative valuation method and analyzes GDP indicators of 1989 based on the data of the Soviet union and NATO countries. He also notes that the relative ratio of an economic potential is 1:3.8. This is a period when the Soviet Union collapse became clear. The four times economic advantage (with other factors) of the western countries was quite sufficient to achieve success in the Cold War. But nowadays the situation in Russia has worsened for about 3.7 times. In such condition perspectives for Russia and for other regional union associated with Russia, as one of the world poles, look unrealistic. And if we add the aggressiveness of the country , the conclusion is quite clear: Transformation of confrontation into the hot or even lukewarm phase will have a fatal result for Russia. So, the western choice for Georgia is not defined only by the world outlook, but also by the pragmatic reasons, that is based on an accurate quantitative analysis.

**Keywords:** Georgia, Russia, Global forces, Megatrend, Economic potential, Economic advantage.

**JEL classification:** F43, F47, F49.



## ანტუან მონკრეტიენი (1575-1621) „კოლიტიკური ეპონომის“ სათავეებთან (დაბადებიდან 440 წელი)

ჯემაჲ ხარიტონაშვილი  
ივ. ჭავახიშვილის სახელობის თსუ-ის  
ასოცირებული პროფესორი,  
ეპონომიკის აკადემიური დოქტორი

ეპონომიკური იდეების, ტერმინების აღმოცენების, განვითარების და სრულყოფის კვლევა პოლიტიკური ეპონომიის აქტუალური ამოცანა.

ეპონომიკური აზრის ისტორია გვიჩვენებს, რომ ძველი ეპონომიკური იდეები დავიწყებას არ ეძლევა. ცხოვრება პერიოდულად დღის წესრიგში აყენებს წინარე პერიოდში არსებული ეპონომიკური იდეების ახლებურად გამოყენების საჭიროებას. ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ ძველი ეპონომიკური მოძღვრებები ახალი ძალით წარმოჩნდება ხოლმე სხვადასხვა სიტუაციაში. აქედან გამომდინარე, დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს დიადი თეორიული მემკვიდრეობის ცოდნა და მისი სათანადო რეალიზაციით საკაცობრით პროგრესისთვის ხელის შეწყობა.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური ეპონომია, თეორია, განვითარება, ანტუან მონკრეტიენი.

### პოლიტიკური ეპონომიის საწყისებთან

ამ მიმართებით ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს ფრანგი ეკონომისტი, მერკანტილისტი სერ დე ვატევილ ანტუან მონკრეტიენი, რომელმაც ეკონომიკურ ლიტერატურაში პირველმა შემოიტანა ტერმინი «პოლიტიკური ეპონომია». 1615 წელს რუანში გამოიცა მისი „პოლიტიკური ეპონომიის ტრაქტატი“, რომლითაც ა. მონკრეტიენმა მტკიცედ დაიმკიდრა საპატიო აღგილი ეკონომიკური აზრის ისტორიაში. არც მანამდე და არც მას შემდეგ სხვა ეკონომიკური ნაშრომი მას არ შეუქმნია. ის ძირითადად იზიარებდა უან ბოდენის იდეებს. თავისი ეკონომიკური შეხედულებებით, ა. მონკრეტიენი გარდამავალი ფიგურა იყო აღრეულ და გვიანდელ მერკანტილიზმს შორის [1].

## **ჯემაღლ ხარისხოვანი**

ა. მონკრეტიული პოლიტიკური ეკონომიკით დაინტერესდა ინგლისში ყოფნის დროს (1605-1609წ.). მან იქ ნახა ქვეყანა უფრო განვითარებული მეურნეობითა და ბურჯუაზიული ურთიერთობებით. შემდგომში ინგლისურ წესრიგს აზრობრივად საფრანგეთის სინამდვილეს უსაღაგებდა. საფრანგეთში დაბრუნებულ მონკრეტიულს მტკიცედ სწამდა ეროვნული მრეწველობის და ვაჭრობის განვითარების აუცილებლობა. მისი «ტრაქტატი» ითვალისწინებდა მთავრობის დარწმუნებას ფრანგი მრეწველებისა და ვაჭრების ყოველმხრივი მფარველობის უცილებლობაში. ქვეყნის მეურნეობა მას წარმოდგენილი ჰქონდა სახელმწიფოს მართვის ობიექტად. ქვეყნის სიმდიდრის წყაროდ იგი საგარეო ვაჭრობას, განსაკუთრებით - ხელოსნეური ნაწარმის ექსპორტს მიიჩნევდა. მონკრეტიულის აზრით, ხელოსნები აუცილებელი პატივისცემით უნდა სარგებლობდნენ [2, გვ. 26-27]. ამასთან, იგი თანაუგრძნებლივ გლეხობასაც და სახელმწიფოსაგან მათვის მეტ ყურადღებას მოითხოვდა [3, გვ. 91-92].

როდესაც ა. მონკრეტიული „პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატს“ უწოდებდა თავის თხზულებას, ის არ ფიქრობდა იმაზე, რომ სახელს არქმევდა ახალ მეცნიერებას. უბრალოდ ის მოქმედებდა იმ ეპოქის შესაბამისად, რომელშიც იგი ცხოვრობდა. ასეთი სულისკვეთებით იყო გაფლენილი ადორდინების ეპოქის პარტია, როცა ანტიკური კულტურის მრავალი იდეა და ცნება აღდგებოდა, ხელახლა გაიაზრებოდა და ახალ ცხოვრებას იწყებდა. ა. მონკრეტიულმა იცოდა ქსენოფონტესა და არისტოტელესთან რა შინაარსი ჰქონდა სიტყვებს- ეკონომიას და ეკონომიკას. ეს სიტყვები ბერძნულად აღნიშნავდნენ ოჯახისა და პირადი მეურნეობის მართვას.

ა. მონკრეტიულს პოლიტიკური ეკონომია წარმოუდგენია, როგორც სამეურნეო წესების ერთობლიობა. როგორც ა. ანტიკინი აღნიშნავს, ა. მონკრეტიულის განზრახვა იყო სწორედ მეურნეობის, როგორც სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობის აყვავება. ა. მონკრეტიულის შემდეგ ა. სმითამდე

პოლიტიკური ეკონომია განიხილებოდა უპირატესად, როგორც მეცნიერება ქვეყნის მეურნეობის შესახებ. ა. სმითის დროს მისი შინაარსი გაფართოვდა და იგი იქცა მეცნიერებად საერთოდ მეურნეობის კანონების შესახებ [2, გვ. 28-29].

მე-19 ს. ბოლოს ტერმინი „პოლიტიკური ეკონომია“ შეიცვალა ტერმინით „ეკონომიკა“ (ინგლ.-economics), როდესაც ა. მარშალმა გაამოაქვეყნა წიგნი „ეკონომიკის პრინციპები“ (1890წ.).

იგი მოიცავს ცოდნის მრავალ დარგს ეკონომიკური პროცესების შესახებ. ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკული ფუნქცია განსაკუთრებით ტევადი გახდა კეინზური რევოლუციის შემდეგ. უ. ს. ჯევონსი, კ. მენგერი, ფ. ფ. ვიზერი, პ. სამუელსონი, კ. რ. მაკონელი. ს. ლ. ბრიუ, გ. მენქიუ ცდილობები შეარბილონ პოლიტიკური ეკონომიკის სოციალური სიმბაფრე შედეგად, “პოლიტიკური ეკონომიკის” ცნება შეიზღუდა. როგორც აკადემიკოსი ვ. პაპავა აღნიშნავს, ა. მარშალმა ტერმინ „ეკონომიკისით“ ჩაანაცვლა ტერმინი „პოლიტიკური ეკონომიკა“. პოლიტიკური ეკონომიკია, არა ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ მეცნიერებათა შემსწავლელ დისციპლინათა რიცხვში შევიდა... მაგრამ ტერმინი „ეკონომიკისი“ ქართულ ენაში სრულფასოვნად ფეხმოკიდებულად ჯერჯერობით ვერ ჩაითვლება [4, გვ.17-19]. ქართველი ეკონომისტები:[19-22] ჯ. პაჭკორია, გ. შეუბლაძე, რ. ასათიანი, კ. ლეიიშვილი, ე. მექვაბიშვილი არ იზიარებენ „ეკონომიკისის“ დამკვიდრებას ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში. უკანასკნელი ავტორი აღნიშნავს, რომ „ახალი მიმართულებით თეორიული კვლევა-ძიების დაწყება და კვლევის პროცესში მიღებული შედეგების სინთეზირება, სტრუქტურიზება და ორგანულ მთლიანობად ინტეგრირება, თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიკის ჩარჩოებში, არის უაღრესად აქტუალური და პერსპექტიული ამოცანა[5, გვ.134].

ამ მიმართულებით წინ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯია აკად. ვ. პაპავას მიერ თსუ-ში დაფუძნებული მუდმივმოქმედი სემინარი „პოლიტეკონომიკური საუბრების“[6, გვ. 6]. ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2014 წ. რუსულიდან ქართულ ენაზე თარგმნილ ი.ს. იადგაროვის წიგნში „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“, ფიგურირებს ტერმინი „პოლიტიკური ეკონომიკა“[7].

### პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება

წინამდებარე სტატიაში უფრო მეტ აქცენტს გავაკეთებთ „პოლიტიკური ეკონომიკის ტრაქტატის“ შინაარსობრივ მხარეზე. ამ ნაწარმოებში ა. მონკრეტიულის ამოცანაა მთავრობისათვის რეკომენდაციების მიწოდება საფრანგეთის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის. იგი საჭიროდ თვლილი ინგლისის მაგალითით ესარგებლათ, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. თავის ნაშრომში ა. მონკრეტიული დაწვრილებით ჩერდება მანუფაქტურების განვითარების საკითხებზე, ეხება ვაჭრობას, ზღვაოსნობას და სახელმწი-

## ՀԵԱԾ ՏԱՐԱԾՈՒՅԹՆԵՐԸ

ფოს ეკონომიკურ პოლიტიკას, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა მრეწველობის აღმავლობისათვის. ამასთან, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიულ სწავლებას.

ა. მონკრეტიული აზრით: „ადამიანთა კეთილდღეობა სიმდიდრეშია, ხოლო სიმდიდრე შრომაში. ამასთან, მრეწველობის მქონე ქვეყანა მდიდარია.“ იგი გმობდა ფუფუნებას უცხოური საქონლის ხარჯზე. მაგრამ იწონებდა საშინაო წარმოებას, რადგანაც იგი ქმნიდა სამუშაო ადგილებს და „მოგება რჩებოდა ქვეყანაში“[8, გვ.180]. მისი რეკომენდაციებით უნდა შექმნილიყო უცხოური ტიპის საწარმოები; გაუმჯობესებულიყო ქვეყნის მრეწველობის პროდუქციის ხარისხი; დაეცვათ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები უცხოელთაგან[8, გვ.180]. უცხოელებს ის ადარებდა ტუმბოს, რომელიც სიმდიდრეს გადაქახავდა საფრანგეთიდან[9, გვ. 373].

როგორც ყველა მერკანტილისტი, ა. მონკრეტიულიც სიძლიდიდრედ თვლიდა ფულს, კეთილშობილ ლითონებს-ოქროს და ვერცხლს. მისი აზრით, ვაჭრობა გამდიდრების უმოკლესი გზაა. იგი ერთმანეთს ადარებს საგარეო და საშინაო ვაჭრობას. მისი აზრით, ორივე მეტად სასარგებლოა სახელმწიფო-სათვის. მაგრამ სახელმწიფოს მოგებას აძლევს, ამდიდრებს ოქრო-ვერცხლით ავსებს და განადიდებს მხოლოდ საგარეო ვაჭრობას.

ამასთან, მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, ა. მონკრეტიენი მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მატერიალურ სიმდიდრეებს, რომელთაც მიაკუთნებდა პურს, მარილს, ღვინოს და ა.შ. ასეთ სიმდიდრეს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ოქროსა და ვერცხლის სამადნეებს. ოქროსა და ვერცხლის სიმრავლე, მარგალიტების და ბრილიანტების რაოდენობა კი არა, არამედ ცხოვრებისათვის საჭირო საგნების არსებობა ხდის ქვეყანას მდიდრად [გვ. 181]. ა. მონკრეტიენი, სხვა მერკანტილისტებისაგან განსხვავებით, გამოდიოდა ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით.

თავისი პროგრამის მთავარ ამოცანად ა. მონკრეტიული თვლიდა უზრუნველეყოთ თითოეული მოქალაქე სამუშაოთი და პურით[8, გვ. 181]. როგორც აკადემიკოსი ა. სილაგაძე აღნიშნავს: „მონკრეტიული ერთ-ერთი პირველი იყო რომელმაც გამოხატა თანამედროვე წარმოდგენა, რომლის თანახმადაც, საზოგადოებაში ერთობლივი ცხოვრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის სხვადასხვა დარგის საქმიანობას საქონელთა წარმოებისა და განაწილების ფორმით. თანამიმდევრულად განავითარა ეს აზრი და მონკრეტიული მიზნები

ძალზე თანამედროვე დასკვნამდე, რომ წარმოების და ვაჭრობის განვითარებისთვის ხელშეწყობა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანებს ამოცანად გვევლინება[3, გვ.92]. პროფ. რ. გოგოხია მიუთითებს, რომ: „ჩვენი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური სიდუხეჭირე და მანკიერებანი მოგვიტანა...“ უხილავი ხელის“ იმედით „ხილული ხელის“ მოკვეთამ...ეკონომიკურ პროცესებში, განსაკუთრებით რადიკალური გარდაქმნის პერიოდში, სახელმწიფოს აქტიური ჩარევა აუცილებელია...წარმატებული ეკონომიკური გარდაქმნა საზოგადოებაში შეუძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს აქტიური და თანმიმდევრული ჩარევის გარეშე[23, გვ. 20-22].

ერთ-ერთი პირველი პრობლემა, რომელსაც მონკრეტიენი ეხება, არის პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. იგი პრიმატს ანიჭებს ეკონომიკას, ვინაიდან „პოლიტიკის ხელოვნება განპირობებულია ეკონომიკით“. მისი აზრით, პოლიტიკა დამოკიდებულია ეკონომიკაზე, ხოლო სახელმწიფოებრივი ორგანიზმის კეთილდღეობა -მისი შემადგენელი ელემენტების კეთილდღეობაზე. ამიტომ, გონიერი მმართველი, მისი თქმით, თავის ქვეშევრდომთა კეთილდღეობაზე, მათ გამდიდრებაზე უნდა ზრუნავდეს. „პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატში“ საქმის ცოდნით არის განხილული ფრანგული მრეწველობის სხვადასხვა დარგი, იმდროინდელი მდგომარეობის და პერსპექტივის გათვალისწინებით. ა. მონკრეტიენის აზრით, ეროვნული მრეწველობის დარგების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს: 1. უპირველეს ყოვლისა, მრეწველობა აუცილებელია სამრეწველო პროდუქტთა დასამზადებლად, „საგანთაოვის ფორმის მისანიჭებლად“. იგი ქმნის საქონელს, რომელიც ქვეყანაში ოქროს და ვერცხლს იზიდავს; 2. მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს და განაპირობებს ვაჭრობის განვითარებას;

3. მრეწველობის განვითარება სახელმწიფოს შესაძლებლობას აძლევს მასში ჩააბას გაღატაკებულ ადამიანთა მასები, გააჯანსაღოს სახელმწიფო ორგანიზმი და შეამციროს დანაშაულებები.

ა. მონკრეტიენს ფიზიკური და სოციალური სასიათის სნეულებათა განკურნვის საუკეთესო საშუალებად ადამიანთა სამრეწველო საქმიანობაში ჩაბმა მიაჩნდა.

ზემოთ ჩამოთვლილი სარგებლობიდან, რაც სახელმწიფოსთვის მრეწველობას მოაქვს, ა. მონკრეტიენი პირველ ადგილზე საქონლისა, და შესაბამისად, სიმდიდრის შემქნენას აყენებდა. იგი სიმდიდრეს ადარებდა სისხლს, ხოლო მრეწველობის განვითარებას აძლევდა სახელმწიფოს მისანიჭებლად, საგანთაოვის ფორმის მისანიჭებლად. იგი საქონელს, რომელიც ქვეყანაში ოქროს და ვერცხლს იზიდავს; 2. მრეწველობის განვითარება ხელს უწყობს და განაპირობებს ვაჭრობის განვითარებას;

## Хემალ სარიტონაშვილი

ელობას- გულს. ამასთან დაკავშირებით ა. მონკრეტიენ იპროტექციონისტული ღონისძიებების მომხრეა. „ტრაქტატი“ თავიდან ბოლომდე პროტექციონისტული სულისკვთვებითაა გაქვდენთილი[11, გვ.49-51]. ა. მონკრეტიენი გამოვიდა საბაჟო პროტექციონიზმის მომხრედ, მოითხოვდა მაღალი ბაჟების დაწესებას უცხოურ საქონელზე , რათა მათ იმპორტს ხელი არ შეეშალა ეროვნული წარმოებისათვის[10]. როგორც პროფ. გ. თოდუა მიუთითებს: „განვითარებად ქვეყნებში პროტექციონიზმი გამოიყენება ეროვნული მრეწველობის შექმნისათვის[24, გვ. 36].

### მონკრეტიენი და თანამედროვეობა

დაბოლოს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც მონკრეტიენის, ასევე ყველა ცნობილი ეკონომისტის თეორიული მემკვიდრეობა, მეტ-ნაკლები ზომით გამოყენებულ უნდა იქნეს ახალი საზოგადოებრივი სისტემის მშენებელ ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით საქართველოში, რომელიც ბევრი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დგას. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ როგორც აკად. ვ. პაპავა თავის პოლიტეკონომიურ საუბრებში მიუთითებს: „ხშირად ხდება, როცა ტრანზაქციული ხარჯები არ არის ცნობილი და მოვლენებს მხოლოდ პოსტფაკტუმ ვაფასებთ...ამის მიზეზი სხვა გარემოებებთან ერთად ისიცაა, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ხშირად წინ უსწრებს ეკონომიკურ თეორიებს და სახელმწიფოს მიერ თეორიული მოდელის შეურჩევლობას, არასასურველ შედეგებამდე მივყავართ. როდესაც მოდელი არ არის არჩეული, ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს: 1) თეორიის არ არსებობა; 2) თავად მოდელის ჩამოუყალიბებლობა და 3) ცოდნის არ არსებობა“ [6, გვ.6]. იგივე ასპექტით, საკამათოა ნობელიანტ გ. ფრიდმანის შეხედულება, იმის შესახებ, რომ ეკონომიკური მოძღვრებების შესწავლის დროს უნდა მივმართოთ „ავტობიოგრაფიებს, ბიოგრაფიებს... სტიმული მივცევ აფორიზმების, მაგალითების გამოყენებას და არა სილოგიზმებს(დედუქციური დასკვნა)“ ან თეორემებს[13, გვ. 51]. თუმცა აღიარებულია, რომ „ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი ცენტრალური ცნებაა „თეორია“[7, გვ. 34].

კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ ობობა ბუზის დასაჭერა აბლაბუდას ქსელს ისეთი სიმეტრიულობით აბამს, რაც გამოცდილ ინჟინერსაც კი შეშურდებაო. მაგრამ, ის ამას ინსტიქტურად აკეთებს. მისგან განსხვავებით, როდესაც ადამიანი

რაიმე საქმეს იწყებს, მას წინასწარ გაიაზრებს, სათანადო გეგმას ადგენს და მის რეალიზაციას ახდენს.

რეალური სიტუაციის გაუფალისწინებლად რომელიმე მოდელის ტრაფარეტული არჩევა შედეგიანი ნამდვილად ვერ იქნება. ამ ფონზე, მე ყოველთვის მისაღწევად საგვარდ მიმაჩნდა საბაზრო ეკონომიკის ის მოდელები, რომელთა დანერგვასაც ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში. მე, პირადად, რეკომენდაციას ვუწვდი ეგვიპტურ[25], თურქულ[26] და ჩინურ[11] მოდელებს, რომლებიც გაანალიზებული მაქვს ჩემს პუბლიკაციებში.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ა. მონკრეტიუნის თეორიიდან ჩვენთვის ბევრი რამ შეიძლება იყოს გასაზიარებელი. ამაშია დიადი თეორიული მემკვიდრეობის როლი. როგორც პროფ. რ. გოგოხია აღნიშნავს „ მსოფლიო ეკონომიკის კანონზომიერებათა ცოდნა და გათვალისწინება დიდ სარგებლობას მოუტანს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც ... საქართველოსათვის მეტად სასარგებლო იქნება მსოფლიოს ეროვნულ მეურნეობათა მაკროეკონომიკური მოდელების არსის, განვლილი ისტორიული გზების, სპეციფიკური მახასიათებლების, თანამედროვე პრობლემებისა და პერსპექტივების მეცნიერული ანალიზი და თეორიული განზოგადება[23, გვ. 7]. პირველ რიგში აქტუალურია ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. მათ შორისაა მრეწველობის განვითარების იდეაც, რადგანაც ეს არის თანამედროვე ეკონომიკის ყველაზე ფუნდამენტური დარგი[12, გვ. 105]. თავის დროზე ილია ჭავჭავაძე გულისტკივილს გამოხატავდა იმის გამო, რომ ჩვენში მრეწველობა კუს ნაბიჯით მიღიოდა წინ. „ამ ყოვლად და მრავალგვარად მდიდარ ქვეყანაში, საცა ათასგვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრეწველობა დიდს ხელს მისცემს მრეწველობასა და ქვეყანასაც გაამდიდრებსო... საითაც გინდა მიიხედეთ და ყველგან ნახავთ, რომ ჩვენებურ ფულიანებს არც გონება უქრით, არც თვალი, რომ დაინახონ და ნამდვილ წყაროს სიმდიდრისას ხელი ჩაავლონ თავის სახეიროდ ცალკე და ქვეყნის საკეთილდღეოდ ერთობ“ [14, გვ. 267-268].

ერთ საუკუნეზე მეტი გავიდა ილია ჭავჭავაძის ამ ნააზრევიდან და დღესაც ჩვენში იგივე სიტუაციაა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ წინარე პერიოდში საქართველოში ფუნქციონირებდა: მრეწველობის სამინისტრო; ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო; კვების მრეწველობის სამინისტრო; მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო; ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და ა.შ. 700 მსხვილი სამრეწველო საწარმო უზრუნვე-

## **ჯემალ სარიშონაშვილი**

---

ლუოფდა მტკიცე ეკონომიკის არსებობას. მათ გაუქმებასთან ერთად, გაქრა სამუშაო ადგილებიც. როგორც საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა ილია II, 2015 წ. საშობაო ეპისტოლეში, აღნიშნა: „მდგომარეობის ნაწილობრივ გამოსწორება სამუშაო ადგილების შექმნასა და ანაზღაურების გაუმჯობესებას შეუძლია. თუ ეს განხორციელდა, დიდად შეეწყობა ხელი ცხოვრების ასე თუ ისე ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას “[15, გვ. 5]. კურსის აღება მხოლოდ ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარებაზე, არასაკმარისია.

სოფლის მეურნეობის გამოცხადებაც პრიორიტეტულ დარგად საჭიროა დროის გარკვეულ მონაკვეთში, მაგრამ არა მუდმივად. საერთაშორისო ვაჭრობაში მოქმედებს ფასების „მაკრატელი.“ სამრეწველო პროდუქცია იყიდება მონოპოლიურად მაღალი ფასით, ხოლო აგრარული პროდუქტები და ნედლეული მონოპოლიურად დაბალი ფასით. ფასებს შორის სხვაობა მაქსიმალურ მოგებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს, განვითარებად ქვეყნებს კი სიღატაკისათვის განწირავს. „მესამე სამყაროს“ ქვეყნებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია საექსპორტო ინდუსტრია მათოვის შეუძლებელია სოფლის იდილიაში დაბრუნება, “აღნიშნავს ნობელიანტი პოლ კრუგმანი[16, გვ.187].

პროფ. გ. თოდუა აღნიშნავს, რომ „განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორი ინდუსტრიალიზაციის გადამწყვეტი ფაქტორია. მას ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლიმ მეურნეობის გარდაქმნასა და მოდერნიზაციაში[24, გვ.363].

როგორც ამერიკელი ეკონომისტი ს. დაგერი მიუთითებს: „მდიდარი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა შორისაა მსოფლიო ბანკიც, მსოფლიოს 2,7 მლრდ დარიბი ადამიანისათვის ყოველწლიურად 55 მლრდ-ზე მეტს დოლარს ხარჯავს. თუმცა, როგორც ბევრი ეკონომისტი აღნიშნავს, ამ ფულით დაფინანსებული პროექტების შედეგი ჯერჯერობით შთამბეჭდავი არ არის... ამ მნიშვნელოვანმა ფაქტმა მრავალი კრიტიკოსი გაუჩინა მსოფლიო ბანკს. უდიდეს ორგანიზაციას, რომელიც განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის წინააღმდეგ მიმართულ პროგრამებს ახორციელებს. მათ ბუნებრივად გაუჩნდათ უკმარისობის გრძნობა. მხოლოდ იმის განსაზღვრა, სად რამდენი მილის სიგრძის გზა გაიყვანეს, რამდენი სკოლა ააშენეს ან რამდენი მიკროსექსები გასცეს, საკმარისი არ არის. საჭიროა იმის განსაზღვრაც, რამდენად დაეხმარა ეს ყველაფერი დარიბ ადამიანებს უკეთესი და უფრო ხან-

გრძლივი ცხოვრების მოწყობაში-აცხადებენ ისინი. მსოფლიო ბანკი, უზარმაზარი ორგანიზაცია, რომელშიც 1200-ზე მეტი დოქტორი მუშაობს, ნელ-ნელა იწყებს ასეთი კრიტიკოსებისათვის ყურის გდებას[17, გვ.540-541]. ცხადია, განვითარებად ქვეყნებს ადარ აწყობთ სიღატაცის ეკონომიკა, მათ უნდათ განვითარების ეკონომიკა. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „როდესაც უცხოელები ქვეყნაში ინვესტირებას ახდენენ, ასე იმიტომ იქცევიან, რომ ამ ინვესტიციებიდან უკუგებას ელიან. უცხოური ინვესტიციები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთ-ერთი გზაა. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციების სარგებლობის ნაწილი ისეგ უცხოეთში ბრუნდება-აღნიშნავს გ. მექეუ“[18, გვ. 533-534].

საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდის მიუხედავად, მეგაეკონომიკის უმთავრესი მონაწილე ეროვნული სახელმწიფოებია[23, გვ. 27]. საქართველო ვერ განვითარდება მსოფლიო ცივილიზაციის შარაგზის გარეშე. ამასთან, ეროვნული პოტენციალის სათანადოდ გამოყენება კარგად წაადგება საქმეს.

### **ლიტერატურის სიახლოესი**

1. <https:// wikipedia. Org/wiki/Монкретье>, Антуан, де
2. ანიკინი, მეცნიერების სიჭაბუკე, თბ., 1989.
3. სილაგაძე, ეკონომიკური დოქტორინები, თბ., 2010.
4. პაპავა, არატრადიციული ეკონომიკისი, თბ., 2011.
5. მექვაბიშვილი, ეკონომიკისი, ეკონომიკური თეორია თუ პოლიტიკური ეკონომიკის დაბრუნება? ქურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 1, 2007.
6. პოლიტეკონომიური საუბრები, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 22.XII. 2014. 16.
7. ი. ს. იადგაროვი, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 2014.
8. История экономической мысли, Под . ред. И. Д. Удадьцова и Ф. Я. Полянского ч. 1. М., 1961.
9. Всемирная история экономической мысли,Под. Ред. В. Н. Черковеца ч. 1. М., 1987.
10. Титова Н. История экономических учений. М., 1997.
11. ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, ნაწ.1, თბ., 1997.
12. ჯ. ხარიტონაშვილი, სტრატეგიული კურსი ინდუსტრიალ-

## **Хამაღლ ხარისხონაშვილი**

---

- იზაცია. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე“. „შრომების კრებული“, ბათუმი, 2011.
13. Фридмен М. Методология позитивной экономической науки, тж.еиси, 1994. Т.2. вып.4.
14. о. ჭავჭავაძე, ჩარჩული ფული და ჩვენი მრეწველობა, თხ. გ. 7, თბ., 1958.
15. ილია II, 2015წ. საშობაო ეპისტოლე. 2015წ. 7 იანვარი. გახ. „რეზონანსი“, 8. I. 2015.
16. პოლ კრუგმანი, გულები და თავები. გახ. „ნიუ-იორქ თაიმსი“, 2001წ. 22 აპრილი.
17. ციტატა მომაქვს გ. მენქიუს წიგნიდან „ეკონომიკის პრინციპები“, თბ., 2008(ჯ.ხ.).
18. ს. დაგერი, მსოფლიო ბანკის კითხვა: მართლა ვებმარებით ღარიბებს? წყარო; „ნიუ-იორქ თაიმსი“, 2004წ., 28 ივლისი. ციტატა მომაქვს გ. მენქიუს წიგნიდან: „ეკონომიკის პრინციპები“, თბ., 2008.
19. გ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008.
20. რ. ასათიანი, ეკონომიკური თეორია და ეკონომიკის, თბ., 2005.
21. პ. ლეიიაშვილი, ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე, თბ., 2002.
22. ჯ. პაჭკორია „,ეკონომიკისი“ თუ ერთიანი პოლიტიკური ეკონომიკა? ზუგდიდი, 1994.
23. გ. შუბლაძე, საბაზრო ეკონომიკის აქტუალური საკითხები, თბ., 2004.
24. რ. გოგოხია, შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები, თბ., 2004.
25. გ. თოდუა, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, ნაწ. 1, თბ., 2004.
26. ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკური რეფორმების ეგვიპტური გამოცდილება, ქურნ. „სოციალური ეკონომიკა“, 1, 2001.
27. ჯ. ხარიტონაშვილი, ალტერნატივის ძიება გარდამავალი და განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში, ქურნ. „პავპასიის მაცნე“, 1, 2001.

**Antoine de Montchretien (1575-1621), the Founder of „Political Economy“ (440 years from the birth)**

**J. KHARITONASHVILI**

A. Montchrestien was the first who coined the term “political economy” in economic literature. In 1615 in the city of Rouen in France he published the book “Treatise on Political Economy,” with which he gained firmly his proper foothold in the history of economic thought. Political economy basically was considered by A. A. Montchrestien as a science about state economy. In the noted work A. Monkretieni set the task of exploring remedies for economic upturn in France. A. Montchrestien attached a great importance to the state economic policy. In his opinion, policy depends on economy and the welfare of state organism – on the welfare of its composite elements. Therefore, a wise ruler, according to his view, should take care about the well-being and enrichment of his subordinates.

A. Montchrestien worked out a series of measures for industrial upturn, crafts and trade development. He arrived at the main conclusion that the promotion of the development of production and trade is the most important objective. In the work “Treatise on Political Economy” there is a detailed discussion on various fields of French industry in view of that time situation and perspective. To A. Montchrestien, the development of the fields of industry has a great importance: 1. First of all, industry is necessary for manufacturing industrial products, “to give a shape to the items.” It produces goods which attracts gold and silver to a country; 2. Industrial development promotes and spurs trade development; 3. The development of industry provides an opportunity for government to involve impoverished masses of people in it, to bring a state organism into a healthy state and to reduce crime. A. Montchrestien considered that the involvement of people in industrial activities was the best remedy for recovery from diseases of physical and social character. From the above listed benefits brought to the state by industry, A. Montchrestien put goods and accordingly, acquisition of wealth in the first place. He compared wealth with blood, and industry with heart.

\*\*\*\*\*

Finally, it should be stressed that the theoretical heritage of Montchrestien and other famous economists as well should be employed more or less in all countries building a new societal system, especially in

Georgia, which faces many unsolved problems. At that, it should be taken into consideration that as academician V. Papava indicates in his political and economical discussions: “it happens frequently when transaction costs are not definite and the developments are assessed post factum... the reason is that, along with other circumstances, economic policy frequently precedes economic theories and non-selection of theoretical model by government drives us to undesirable consequences. When the model is not selected, it is caused by some factors: 1) nonexistence of theory; 2) the model is not formed and 3) nonexistence of knowledge.” By the same aspect, M. Friedman’s view, a Nobel Prize Laureate in Economics, is a controversial issue; according to Friedman, in studying economic history we should apply for “autobiographies, biographies.... to stimulate the use of aphorisms, examples and not syllogisms (deductive reasoning) or theorems. However it is acknowledged that one of the central concepts in economic sciences is “theory.”

From A. Montchrestien’s theory can be shared many things. First of all this is an issue of interdependence of economy and policy. Among them there is also an idea of the development of industry, because industry is the most fundamental sector of modern economy. To take the course only to the development of infrastructure and tourism is insufficient. It is necessary also to declare agriculture as a prioritized sector for a certain period of time, but not permanently. Export industry is important for developing countries – impoverishment economy doesn’t suit them any more, they want developmental economy.

**Keywords:** Political Economy, theory, development, industry, Antoine de Montchretien.

**JEL Classification:** B40, B41, B49.

**აგრძელების სექტორის  
განვითარების ხელშემწყობა  
ეკონომიკური კოლიტიკა  
საქართველოში**

**გულნაზ ერქომაიშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თუშ-ის  
ასოცირებული პროფესორი**

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიღარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. აგრარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კვების უზრუნველყოფა წარმოადგენს [1, გვ.180]. ამისათვის მნიშვნელოვანია: საკვები პროდუქტების წარმოების უსაფრთხოების ხელშეწყობა; ფიტო და ზოო-ვეტერინარული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა; განსაკუთრებული შემთხვევებისთვის საკვები პროდუქტების სამთავრობო რეზერვების შექმნა; წყალდიდობის საწინააღმდეგო ქმედებათა ხელშეწყობა; სოფლისა და სასოფლო ადგილების გარემოს დაცვა; წყლისა და გარემოს დაბინძურების შემცირება; ზღვის დაცვა, მისი ფლორისა და ფაუნის ჩათვლით. უმნიშვნელოვანესი მიზანია სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეკონომიკის განვითარება.

საქართველოს აგრარულ სექტორს, სახელმწიფოს სწორი პოლიტიკითა და ხელშეწყობით, შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და გავიდგს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობის პროდუქციით. ამ აქტუალური საკითხის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ეხება წინამდებარე სტატია, რომლის სათაურშიც გამოკვეთილია კვლევის მიზანი.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, სოფლის მეურნეობა, ეკონომიკური პოლიტიკა, სტატეგია.

მსოფლიო ბაზარზე დღითი-დღე იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე. საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ამის განხორციელების სერიოზულ შესაძლებლობას იძლევა. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა, რაოდენობრივად და ხარისხობრივად, ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი, უცხოეთში უნდა მოიპოვოს. საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მოიცავს ხედვას, თუ როგორ უნდა გამოიყრებოდეს ეს სექტორი პერსპექტივაში. იგი მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

## გულისა მრევაიშვილი

• საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

- ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება;

- ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;

• საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;

- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;

• აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება [2, გვ.52].

### საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული მდგომარეობის ანალიზი

2013 წლის მონაცემებით, საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის 54% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, თუმცა, ამ სფეროს წილი მშპ-ში მხოლოდ 9,3%-ს შეადგენს. შედარებისათვის: აშშ-ის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 1,6%, გერმანიაში – 2,9%, ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ – 5,0%. აშშ-ში ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126, გერმანიაში – 144, ევროკავშირის ქვეყნებში – 51 ადამიანს, ხოლო საქართველოში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი უჭირს. 2013 წლის მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე, კერძოდ, ყურძენზე - 130%, კარტოფილზე - 100%, სიმინდზე - 96%, რძე და რძის პროდუქტებზე - 91%, ცხვრისა და თხის ხორცზე - 85% ბოსტნეულზე - 75% [3].

დინამიკაში მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში 2006-2013 წლებში შემცირებულია მეცხოველეობის უმეტესი პროდუქციის წარმოება, მ.შ. ხორცეულის წარმოება, კერძოდ, პირუტყვის ხორცით უზრუნველყოფის მაჩვენებელია 39%, ხოლო ფრინველის ხორცით -18%. მკვეთრადაა შემცირებული ხორბლის წარმოება, რომლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მხოლოდ 12%-ია [4]. საერთოდ აღარ იწარმოება მთელი რიგი პროდუქტები. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ამის გამო ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება.

მთლიან ფართობში სახნაგ-საოესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში - 22,7%,

თურქეთში -27,7%, უკრაინაში კი - 56,1% [5]. ადსანიშნავია, რომ საქართველოში მეურნეობათა 75% ფლობს 1 ჰა-მდე მიწის ნაკვეთს, ამ ზომის მიწაზე კი თანამდეროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ფერმერულ მეურნეობათა ეს კატეგორია ორიენტირებულია მხოლოდ თვითუზრუნველყოფაზე და ისიც უჭირთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს საქართველოში უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, მას უამრავი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზი არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს ფინანსური დახმარება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე, დაზღვევის სისტემის განვითარება და სხვ.

2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობას ბიუჯეტიდან გამოეყო 40 მლნ ლარი, 2011 წელს - 86 მლნ, 2012 წელს - 119,9 მლნ, 2013 წელს 182,2 მლნ, ხოლო 2014 წელს - 265 მლნ.

აქედან უდიდესი ნაწილი - 217 მლნ ლარი უშუალოდ სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამაზე დაიხსარჯება, 27 მლნ - სურსათის უფნებლობაზე და მცხნარეთა დაცვაზე, 21 მლნ - მევნახეობა-მეღვინეობის განვითარებაზე. სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ბიუჯეტიდან თანხების გაზრდა უდავოდ მისასალმებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისა და დაზღვევის უზრუნველყოფა [6].

აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები, აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. კონკრეტული ბანკები, ამ უმნიშვნელოვანებს დარგზე საბანკო კრედიტების 2%-ზე ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნვენ, რაც უწინარესად უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ქართველ გლეხობასა და ფერმერებს ასეთი დახმარებები დღემდის არ ჰქონია.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელსაც დააფინანსებს „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“ და განახორციელებს „სოფლის მეურნეობის მართვის სააგენტო“. პროექტი ამოქმედდა 2013 წლის მარტიდან. პროექტის მიხედვით გაიცემა: უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისათვის 0%; შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისათვის – არაუმეტეს 8%-ის (საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით); შედავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის არაუმეტეს 3%-ის (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების

დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით) [7]. აღნიშნულ პროექტში 11 ბანკი და 2 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ჩაერთო და 2013 წლის მარტიდან 2014 წლის სექტემბრამდე 318 მლნ ლარის მოცულობის 14 100 აგროკრედიტი გაიცა. როგორც ბანკები აცხადებენ (TBC, კონსტანტა და სხვ.), პრობლემური სესხები ფაქტობრივად არ აქვთ. მსესხებლები უპრობლემოდ იხდიან თანხას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისა და სოფლად სიდარიბის შემცირების მიზნით ევროკავშირმა შეიმუშავა ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის, რომელიც 2013 წლის მარტში დაიწყო და 2016 წლის მარტამდე გაგრძელდება. პროექტის მთავარი პარტნიორებია სოფლის მეურნეობის სამინისტრო სხვა დარგობრივ სამინისტროებთან/სახელმწიფო სექტორსა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრებთან ერთად. იგი ხელს შეუწყობს მცირე ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, სოფლის მეურნეობის სექტორში ჩართული ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას. პროგრამის მიზანია გააძლიეროს მცირე ფერმერები, რომლებიც შესაძლოა ქვეყნაში სოფლის მეურნეობის ხერხემალი გახდნენ. სოფლის მეურნეობის განვითარება არის საფუძველი სურსათის უკნებლობის სისტემის განვითარებისათვის, რომელიც თავის მხრივ, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების (DCFTA) შესახებ მოლაპარაკების მთავარი ელემენტია. ბიუჯეტის ოდენობაა 40 მლნ ევრო [8].

სოფლის მეურნეობის კულტურების და განსაკუთრებით ხორბლეულის მეტი წილი გადაშენების გზაზეა. სპეციალისტების აზრით, საქართველოს აქვს რესურსი ხორბლეულის ის რაოდენობა აწარმოოს, რომელიც ძირითადად ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნას დაკამაყოფილებს. ეს ეხება არა მარტო ხორბლეულს, არამედ თითქმის ყველა სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტს.

სამკურნალო მცენარეებით ოდითგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფო ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი

სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული ქვეყნის რესურსები პოტენციალის აღეკვატური ნაწილის გამოყენება და სხვადასხვა სახის ინვესტიციები. ძალზე მცირება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში სოფლის მეურნეობის წილი 2007 წელს - 0,8%-ს, 2009 წელს - 1,2 %-ს, 2010 წელს - 1,1%-ს, 2011 წელს - 1,2%-ს, 2012 წელს - 1,8%-ს, 2013 წელს - 1,3%-ს შეადგენდა [10]. ეს გამოწვეულია იმით, რომ დარგი რისკიანი და დაბალმომგებიანია, აგრარული წარმოების შედეგები კვლავაც არაპროგნოზირებადია: გვალვა, წყალდიდობა, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები და მავნებლები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ამ მხრივ სასიკეთო ძვრები უკვე შეიმჩნევა. ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013 წლიდან საქმაოდ სერიოზული ოანხებია გამოყოფილი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რაც ფერმერებისათვის სტიმულია გრძელვადიანი საქმიანობის დაწყებისათვის, შესაბამისად, გაჩნდა რეალური მოთხოვნა აგროდაზღვევის სისტემის შექმნისა და განვითარებისათვის.

აგროდაზღვევა სოფლის მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც სტაბილურ გახდის მათ შემოსავლებს. აგროდაზღვევის ამოქმედება სოფლის მეურნეობის სექტორის მიმართ საფინანსო ინსტიტუტების ინტერესს გაზრდის. ფერმერისათვის ხელმისაწვდომი გახდება ფინანსური რესურსი, რაც დარგის სტაბილურ განვითარებას ხელს შეუწყობს. 2014 წლის სექტემბრიდან, აგროდაზღვევის სისტემის ჩამოყალიბების და განვითარების მიმართულებით, სახელმწიფოსთან ერთად ჩართულია კერძო სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

ამ ეტაპზე განხორციელდება მთავრობის მიერ სუბსიდირება 70%-დან 95%-მდე. როცა ხელშეკრულება გაფორმდება, ფერმერი ერთჯერადად გადაიხდის დაზღვევის ერთწლიანი პაკეტის ღირებულების 5-30%-ს. ამ პაკეტის ღირებულების სუბსიდირებისას სახელმწიფო ანაზღაურებს მაქსიმუმ 30 ათას ლარს ფიზიკური პირის შემთხვევაში, ხოლო 50 ათას ლარს - კომპერატივის შემთხვევაში. პროგრამის თანახმად, დაზღვევას ექვემდებარება სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავალი შემდეგ სტიქიურ მოვლენებზე: სეტყვა, ჭარბი ნალექი,

## გულნავ ერკომაიშვილი

ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის).

აგროდაზღვევის საპილოტე პროექტი 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა. მისი ბიუჯეტი ხუთი მლნ ლარია. პროექტში მონაწილეობს 4 სადაზღვევო კომპანია: ჯიპია ჰოლდინგი, ალდაგი, აი სი ჯგუფი და ირაო. სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან 6 ათასზე მეტი სადაზღვევო პოლისია გაცემული, რომლის თანხაც უკვე მდგრად დარჩე მეტია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის დაზღვევა 2014 წელს აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც გვალვაშ მოსავლის დიდი ნაწილი გაანადგურა.

ფერმერთა აზრით, თუ ხელისუფლებას რეალურად ფერმერთა დახმარება სურს, პირველ რიგში, მიწის დაუსაბუთებლად გაზრდილი გადასახადი უნდა შემცირდეს. მთავრობის 2010 წლის დადგენილებით, გაიზარდა სახნავ-სათეს მიწებზე გადასახადი, ხოლო საძოვრის გადასახადი 500%-ითაა გაზრდილი. ამან საბოლოოდ წელში გატეხა ფერმერიც, გლეხიც და ყველა ის ადამიანი, ვინც სოფლის მეურნეობასთანაა დაკავშირებული, რამაც გამოიწვია ქართული მიწების უცხოელებზე მიყიდვა.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი. 2012 წლის 26 ივნისს მოიხსნა ყოველგვარი აკრძალვა, უცხოელისა და უცხოეთში რეგისტრირებული იურიდიული პირების სასარგებლოდ, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შესყიდვის თაობაზე. მათ მიენიჭათ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე საკუთრების უფლება ყოველგვარი წინაპირების გარეშე. 2013 წლის 28 ივნისის კანონმდებლობით, 2014 წლის 31 დეკემბრამდე, ზემოთადნიშნულ პირებს შეუჩერდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვება. 2014 წლის 20 ოქტომბერს, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, კვლავ განხორციელდა ცვლილება აღნიშნულ კანონში და შეზღუდვა მოქმედდა საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს დ იმ უცხოელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, რომელთა საინვესტიციო პროექტი მოწონებული იქნებოდა მთავრობის მიერ. კანონში მოკლე ინტერვალით ხშირი ცვლილებები გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფოს ერთიანი დასაბუთებული პოლიტიკა ჯერ კიდევ არ გააჩნია.

საქართველოში არ არსებობს მიწის ნორმატიული ფასი. ის დადგენილია მხოლოდ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. მიწის ადმინისტრირების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი მნიშვნელოვანია არა მარტო მიწაზე სა-

კუთრების, არამედ შემდგომი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების თვალსაზრისით.

პირველი და უმთავრესი ხელშეწყობა გლეხისათვის მიწის გაზრდილი გადასახადის მოხსნა იქნებოდა. ვაუჩერები, რომელიც სოფლად დარიგდა, სოფლის მეურნეობას ვერ ააღორძინებს. სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის აუცილებელია წვრილგლებური მეურნეობების გაერთიანება, მათი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შეამქინიკატებით უზრუნველყოფა, მოსავლის დაბინავების და რეალიზაციის უზრუნველყოფა, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა.

წარმოებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პროდუქციის რეალიზაცია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ თვითონ ფერმერი დაიწყებს პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნვას, იგი ვერც თავის მეურნეობას განავითარებს და ვერც რეალიზაცია გამოუვა მომგებიანი. ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა. წვრილი გლეხები ან წვრილი გადამყიდველები, ყოველგვარი აღრიცხვის, სურსათის უგრძელობის და სხვა ნორმების დარღვევით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს შუალედური კომპანიები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეგროვებას, მომხმარებლებისათვის სასურველი სასაქონლო სახის მიცემას, უგრძელობის კონტროლს და ნორმალურ დისტრიბუციას.

### პკლევის ძირითადი შედეგები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია:

- ქვეყანაში აგროდაზღვევის სისტემის სწრაფი განვითარება;
- ფერმერებისათვის დაბალპროცენტიან და გრძელგადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობა;
- კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ხელშეწყობა;
- სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგება, მანქანა-ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება;
- ახალი ჯიშების გამოყვანის საცდელი სადგურების აღდგენა და ახალი სტანდარტებით ამოქმედება;
- სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;
- საშუალო სტრუქტურების შექმნა, რომელიც ფერმერს რეალიზაციონურებოთ დაკავშირებს;
- ფერმერების საკონსულტაციო მომსახურების ცენტრუ-

## გულნაზ მრეობაიშვილი

ბის გაფართოება და მომსახურების თანამედროვე ფორმათა დანერგვა, და რაც მთავარია, მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოების უზრუნველყოფა. ყოველივე ეს საფუძველს შექმნის ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებისთვის;

• აგრარული სექტორის სტრატეგიული დარგების განვითარებას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ამ დარგებმა უნდა შექმნას ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პოტენციალი. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციისა და შემოსავლების ზრდის საფუძველი გახდება.

\* \* \*

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. მსოფლიო ბაზარზე ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა დღითო-დღე იზრდება. ქართულმა პროდუქციამ პოპულარობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად ჯერ ადგილობრივ ბაზარზე, მერე კი უცხოეთში უნდა მოიპოვოს. ამისათვის აუცილებელია სწორი პოლიტიკის გატარება, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი გეგმის ორგანული ნაწილი უნდა იყოს.

### ლიტერატურის სია

1. რ. გველესიანი, ი. გოგორიშვილი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II. თბილისი, 2012;
2. გ.ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი, 2013;
3. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD –GEORGIA), 2013;
4. საქართველოს სოფლის მეურნეობა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2013;
5. ე. ხარაიშვილი, კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბილისი, 2011;
6. მ. ნაცვალაძე, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი. თბილისი, 2009;
7. M. Chavleishvili, G. Erkomaishvili, R. Seturidze , Strategic Tendencies of Food Safety in Georgia in Globalization Context. World Acad-

- emy of Science, Engineering and Technology, 27-28 June 2013, Paris , www.Waset.org;
- 8. www.moa.gov.ge - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
  - 9. www.geostat.ge- საქართველოს სოფლის მეურნეობა 2013;
  - 10. www.Eurostat.com – evrostat.

## **Economic Policy Contributing to the Development of Agricultural Sector in Georgia**

**G. Erqomaishvili**

The development of agricultural sector is one of the ways of poverty reduction and economic growth for developing countries.

According to the 2013 data, 54% of able-bodied population in Georgia is employed in agricultural sector, though the share of this sector in the GDP is only 9.3%. The self-sufficiency coefficient is high only for some products; in particular, for grapes it is 130%, potatoes - 100%, corn - 96%, milk and dairy products - 91%, mutton and goat meat - 85%, vegetables - 75%. During the years of 2006-2013 production of most of the livestock products declined including production of meat; namely, self-sufficient coefficient for beef is 39%, poultry – 18%. Sharply declined wheat production, its self-sufficiency coefficient is only 12%. A number of products are not produced at all. As a result, up to 80% of agricultural products consumed by Georgia's population are imported. The currency received in the country through the realization of products flows abroad that seriously hampers local production. Poverty and unemployment still remains an acute problem in the country.

The Georgian flora has always been rich in medicinal plants. Georgia can take a proper place in production and realization of medicinal plants in the international market. The state should encourage the production of ecologically pure products and attraction of interested foreign investors. The rational use of medicinal plant resources will contribute to Georgia's economic recovery, revenue growth from exports, creation of job places and reduction of the share of population being on the poverty threshold.

The low level of the crediting of agriculture hampers the development of agricultural sector. Less than 2% of bank credits are for this important sector of economy. Farmers receive special care almost in all developed countries that is expressed in making interest-free loans. Georgian peasants and farmers have not received such kind of support up to the present time. The project of preferential Agro-Credit was launched from March of 2013 and it will be funded by the Rural and Agricultural Development Fund and will be implemented by the Management Agency of Agriculture.

Since 2013 quite substantial funds have been appropriated for the

development of agriculture which is a good incentive for farmers to start long-term activities. Consequently, there arose a real need for the creation and development of agro-insurance system. The private sector and non-governmental organizations along with the state have been involved in the formation and development of agro-insurance system since 2014. At this stage, the subsidization will be carried out by the government from 70% to 95%. When the agreement is signed, farmers will pay 5-30% of the one-year package cost.

The foremost and great assistance for peasants would be their exemption from increased rents for lands. The vouchers, which were distributed in rural areas, cannot revive agriculture. For revival of agriculture it is necessary to unite peasants' small-sized farms, to provide them with agricultural technical devices and chemicals, to provide storage and realization of harvest, to create processing enterprises as well.

One of the important problems regarding production is the realization of products. In this respect, there is a woeful situation in Georgia.

For the development of agricultural sector it is necessary:

- rapid development of the agro-insurance system in the country;
- accessibility of low-interest and long-term loans for farmers;
- assistance to cooperatives and agricultural associations;
- provision of rural areas with small and medium-sized agricultural machinery; creation of the center for machines and tractors and realization of leasing;
- restoration of breeding test stations and putting them in motion by new standards;
- guaranteed purchase of farmers' product by the state;
- creation of intermediary structures that will connect farmers with vendors;
- expansion of advisory service centers for farmers; provision of the production based on scientific studies.

The development of the strategic fields of agricultural sector is in need of special assistance. These fields should create the country's main export potential. It is imperative to develop a strategy for penetrating the international markets, to form a wide marketing network and so on that will become a basis for the country's popularization and revenue growth.

Georgia's natural and climate conditions provide opportunities for producing ecologically pure products. The demand for such products is increasing day by day in the world market. First of all Georgian products should gain popularity quantitatively and qualitatively in the local market then abroad. For this it is necessary to pursue a correct policy and formulate a strategy for the development of agriculture.

**Keywords:** Georgia, agriculture, economic policy, strategy.

**JEL Codes:** Q10, Q11, Q13, Q18.

გადაუდებელი დაავალებაზის  
ფინანსერი ხელმისაწვდომობა  
საქართველოში

თენაზ გერულავა

მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი,  
ჯანდაცვის და დაზღვევის სკოლის დირექტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
მაპა გაბულები

ჯანმრთელობის ზარალების მართვის კონსულტანტი,  
სადაზღვევო კომპანია “ალდაგი”

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო  
პროგრამის შემოღების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობეს-  
და მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისადმი ფინანსური  
ხელმისაწვდომობა. ოუმცა, მიუხედავად ბაზისური პაკეტით  
უზრუნველყოფისა, სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდე-  
ბა სამედიცინო მომსახურების (მათ შორის გადაუდებელი)  
გარკვეული სახეები, მკურნალობისათვის საჭირო მაღალტე-  
ქნოლოგიური გამოკვლევები, ხოლო ზოგ შემთხვევაში პრო-  
გრამით განსაზღვრული ლიმიტი არ არის საკმარისი. აღნიშ-  
ნული უარყოფითად ზემოქმედებს პაციენტების ფინანსურ  
ხელმისაწვდომობაზე. ხელმისაწვდომობის გასაზრდელად  
საჭიროა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამებში გადაუდებ-  
ელ დაავადებათა ხოზოლოგიების ჩამონათვალის გაფართოება,  
ასევე მათი ჩართვა ისეთი ფინანსური ლიმიტით, რომ თავიდან  
იქნეს აცილებული პაციენტის კატასტროფული დანახარჯები.  
სტატიაში განხილულია გადაუდებელი ნეიროქირურგიული  
სერვისების ფინანსურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებუ-  
ლი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

**საკვანძო სიტყვები:** ჯანდაცვა, სამედიცინო მომსახურების  
ფინანსური ხელმისაწვდომობა, გადაუდებელი დაავადებები.

სამედიცინო მომსახურებაზე თანაბარი ფინანსური  
ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს უმნიშ-  
ვნელოვანები ამოცანაა. გადახდისუნარობის გამო ხშირად  
ადამიანები საჭიროების შემთხვევაში ვერ ღებულობენ სათა-

## **თანამის პერულამა, მაგა გაბულდანი**

---

ნადო სამედიცინო მომსახურებას. სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ბარიერების არსებობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამ ბარიერების მინიჭუმამდე დაყვანა ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

### **საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის შემოღება**

2013 წლამდე სახელმწიფო აფინანსებდა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების სამედიცინო მომსახურებას, რომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდებოდა. 2007 წელს ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამებით მოსახლეობის მხოლოდ 4.1 % იყო მოცული, ხოლო 2012 წლისთვის იგი 37.9 %-მდე გაიზარდა [9]. თუ ამას დაგუმატებო ინდივიდუალური და კორპორატიული სამედიცინო დაზღვევით მოცულ პირებს, მთლიანად ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევით მოცული იყო 1981123 ადამიანი (50,8 %) [9]. შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტს, დაახლოებით 2 მილიონზე მეტ ადამიანს არ გააჩნდა სამედიცინო დაზღვევა [9]. მათ საკუთარი ხარჯებით უნდა დაეფარათ მკურნალობის სრული ღირებულება, რაც არაიშვიათად იწვევდა კატასტროფულ დანახარჯებს.


ამასთან, 2013 წლის 28 თებერვლამდე, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე, გადაუდებელი (ურგენტული) მდგომარეობების დროს პროგრამული დახმარება მიეწოდებოდა მხოლოდ 0-დან 5 წლამდე და 60 წელს გადაცილებულ მოსახლეობას. ამ პირობებში 5-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობის დიდი ნაწილი არ ითვლებოდა მოქმედი სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით მოსარგებლებდ, რის გამოც მოკლებულნი იყვნენ საშუალებას მიეღოთ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება. აღნიშნული ზრდიდა დაავადებათა გართულებული შემთხვევების რაოდენობას და შესაბამისად, ლეტალობის რისკს.

2013 წლის 28 თებერვლიდან საქართველოში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლის მეშვეობით სამედიცინო დაზღვევის არმქონე 2 მილიონზე მეტ მოქალაქეს მიეცა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო სერვისებით სარგებლობის უფლება. დღეისათვის საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილია საბაზისო სამედიცინო მომსახურებით საყოველთაო ჯანდაცვისა თუ

სახელმწიფო და ნებაყოფლობითი სამედიცინო სადაზღვევო პროგრამებით, მათ შორის დაახლოებით 3.4 მლნ ადამიანი მოცულია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, 560 ათასი ადამიანი ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლება, ხოლო 546 ათასამდე პირს აქვს ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევა; ამასთან, ჯანდაცვის სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ასიგნებების მოცულობა 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, თოთქმის გაორმაგდა და 365 მლნ ლარიდან 634 მლნ ლარამდე გაიზარდა [1] (იხ. ნახ 1).

ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთა და სულ სამედიცინო სადაზღვევო პოლისის მფლობელთა პროცენტული წილი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში (2007-2012 წწ.) [2].

65b. 1.



## საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული სერვისები

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ფინანსდება პირველადი ჯანდაცვის რეოლის ოჯახის/უძნის ექიმის მომსახურება, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება, გეგმური ქირურგიული ოპერაციები, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, მშობიარობა [1].

გეგმური ამბულატორიული სამედიცინო მომსახურებით გათვალისწინებულია: ოჯახის ან უბნის ექიმის და ექთნის მომსახურება, საჭიროების შემთხვევაში, მათი მომსახურება ბინაზე (ანაზღაურდება 100%-ით); ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული პროფილაქტიკური აცრები; ექიმ-სპეციალისტების (ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, გინეკოლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, უროლოგი) მომსახურება), ოჯახის ან უბნის ექიმის დანიშნულებით (ანაზღაურდება 70%-ით); ექიმის დანიშნულებით ინსტრუმენტული გამოკვლევები.

## თენის კორულაცია, მაგა გაბულდანი

ბი, კერძოდ: ელექტროკარდიოგრაფია (ანაზღაურდება 100%-ით), მუცლის ღრუს ექოსკოპია (სისტემების მიხედვით, ტრანსაბდ-დომინურად), გულმკერდის რენტგენსკოპია/რენტგენოგრაფია (ანაზღაურდება 70%-ით); ექიმის დანიშნულებით კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები (სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზი პერიფერიულ სისხლში, კრეატინინი, ქოლესტერინი სისხლში, შრაგში ლიპიდების განსაზღვრა, განავლის ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პრო-ტრომბინის დრო), რომლებიც ანაზღაურდება 100%-ით, ხოლო დვიძლის ფუნქციური სინჯები და ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური სინჯი ანაზღაურდება 70%-ით.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ანაზღაურდება აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სტატუსის მისანიჭებლად საჭირო დიაგნოსტიკური გამოკვლევები, გარდა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევებისა; სამედიცინო ცნობის, დასკვნის და რეცეპტის გაცემა, გარდა სამსახურის დაწყებასთან დაკავშირებული, აგრომობილის მართვის მოწმობისა და იარაღის შეძენის ნებართვის მისაღებად წარსადგენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებისა [3].

გადაუდებელი ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება მოიცავს ისეთი გადაუდებელი მდგომარეობების მართვასა და სტაბილიზაციას, რომელიც არ საჭიროებს სტაციონარში 24 საათიან დაყოვნებას. ასეთია: ტრაჟები, მოტექნილობები, ჭრილობები, თერმულ დაზიანებები (დამწვრობა/მოყინვა), მოწამვლა/ინტოქსიკაცია, ცხვირიდან სისხლდენა, ალერგიის მართვა ანაფილაქსიური შოკის განვითარების რისკის დროს, შარდის შეგავება, მწვავე ლარინგიტი (კრუპი), გულ-სისხლდარღვთა დაავადებები (ჰიპერტონიული კრიზი, გულის რითმის დარღვევები) და სხვადასხვა სახის მწვავე ტკივილი. აღნიშნული გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება ანაზღაურდება სრულად, 100%-ით [3].

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს გეგმურ ქირურგიულ ოპერაციებს (მ. შ. დღის სტაციონარი) და მასთან დაკავშირებულ ყველა გამოკვლევას. გეგმური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების წლიური ლიმიტი შეადგენს 15000 ლარს, რომელიც ანაზღაურდება 70%-ით, ხოლო სრულად ანაზღაურდება 18 წლიმდე ასაკის მოსარგებლებისათვის კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები და მასთან დაკავშირებული დიაგნოსტიკური გამოკვლევები [3].

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს აგრეთვე ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობას, კერძო - ქიმიოთერაპიას, ჰორმონოთერაპიას და სივურ თერაპიას. წლიური ლიმ-

იტი შეადგენს 12 000 ლარს, ანაზღაურდება 80%-ით, ხოლო 18 წლამდე ასაკის მოსარგებლებისათვის მომსახურება ანაზღაურდება სრულად. პროგრამით გათვალისწინებულია მშობიარობის ანაზღაურება (ფიზიოლოგიური მშობიარობა - ლიმიტი 500 ლარი; საკეისრო კვეთა - ლიმიტი 800 ლარი) [3].

გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება ითვალისწინებს ისეთი მდგომარებების დაფინანსებას, როდესაც დაუყოვნებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გარეშე, მოსალოდნელია ორგანოს ან/და კიდურის დაკარგვა ან პაციენტის გარდაცვალება რამდენიმე საათში. გათვალისწინებულია გადაუდებელი ქირურგიული და თერაპიული დახმარების გაწევა. პროგრამა ასევე მოიცავს ინტენსიურ თერაპიასა და კრიტიკული მდგომარეობების მართვას. გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე შეადგენს 15 000 ლარს. 100 %-ით ანაზღაუდება ინტენსიური თერაპია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა და 450-ზე მეტი გადაუდებელი მდგომარეობა განსაზღვრული ნუსხის შესაბამისად. 70%-ით ანაზღაურდება ყველა სხვა გადაუდებელი და სასწრაფო მდგომარეობის მართვა [3].

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით განსაზღვრულია 24 გადაუდებელი ნეიროქირურგიული დაავადება, რომელთა სტაციონარული მომსახურება 100%-ით ანაზღაურდება; იგი მოიცავს ისეთ ნეიროქირურგიულ დაავადებებს, როგორიცაა: სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, იტრაკრანიალური სისხლჩაქცევა, ჰიდროცეფალია, თავის ტვინის ტრავმული დაავადებები [3].

### **სისხლის მიმოქცევის დაავადებების გავრცელების ტენდენციები**

აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბოლო წლებში აღინიშნებოდა სისხლის მიმოქცევის დაავადებების ზრდის ტენდენცია, რომელთა შორის მნიშვნელოვანი წილი უკავია ჰიპერტენზიულ, გულის იშემიურ და ცერებროვასკულურ დაავადებებს [2]. ცერებროვასკულური დაავადებები სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების სტრუქტურაში რიგით მე-3 ადგილს, ხოლო სიკვდილიანობის ძირითად მიზეზებს შორის მე-2 ადგილს იკავებს [6]. ცერებროვასკულარულ დაავადებებს შორის მეტი წილი უკავია თავის ტვინის ინფარქტს (38 %). ცერებროვასკულარული დაავადებებით ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი შეადგენს 163.6-ს ხოლო ლეგალობის მაჩვენებელი - 18.1 [6] (იხ. ცხრილი 1,2) [6].

## თენის კონკურსი, მასა გაბულდანი

სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზები  
საქართველოში. 2012 წ. [6]

ცხრილი 1

სიკვდილის ძირითადი მიზეზები	%
გულის იშემიური ავადმყოფობა	12.2
ცერებროვასკულური ავადმყოფობები	10.7
ავადობის და სიკვდილიანობის გარეგანი მიზეზები	3.5
შაქრიანი დიაბეტი	2.3
ტრაქეას ბრონქების და ფილტვების ავთვისებიანი სიმსივნეები	1.7
ნერვული სისტემის დაავადებები	1.2
ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	1.0
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	0.9
სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნეები	0.9
კუჭის ავთვისებიანი სიმსივნეები	0.9

ცერებროვასკულური ავადმყოფობები, სტაციონარული  
მომსახურება, 2012 წ. [6]

ცხრილი 2

	სულ	გ.ჭ. ბავშვები	ლეტა- ლობა (%)
ცერებროვასკულური ავადმყოფობები	7440	11	18.1
სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა	517	0	23.4
სხვა ინტრაცერებრული და ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევები	1467	9	28.3
თავის ტვინის	2830	0	17.7
პრეცერებრული და ცერებრული არტერიების ოპლუზია და სტენოზი, რომელთა შედეგად არ ვითარდება თავის ტვინის ინფარქტი	249	1	12.0
სხვა ცერებროვასკულური ავადმყოფობები	470	0	3.0

## გადაუდებელი ნეიროქირურგიული დაავადებების ფინანსური ხელმისაწვდომობის შესწავლა

გადაუდებელი ნეიროქირურგიული დაავადებების ფინანსური ხელმისაწვდომობის საკითხის გამოსაკვლევად შეირჩა თბილისის საუნივერსიტეტო კლინიკა „მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი“, ვინაიდან მიჩნეულია, რომ აღნიშნულ კლინიკას ერთ-ერთი საუკეთესო ნეიროქირურგიული განყოფილება აქვს ქვეყანაში. კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში 2014 წლის აპრილი-მაისის პერიოდში განხორციელდა ცენტრის მენეჯერების და სამედიცინო პერსონალის ჩადრმავებული ინტერვიუ, რის საფუძველზეც მოხდა მათი მოსაზრებების იდენტიფიცირება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ნეიროქირურგიულ კომპონენტთან დაკავშირებით.

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა ნეიროქირურგიული ცენტრში პოსპიტალიზებულ პაციენტთა ან პაციენტთან ურთიერთობის შეუძლებლობის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრების გამოკითხვა სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით. შერჩეული 220 პირიდან 200 ბენეფიციარმა (90.9%) განაცხადა თანხმობა კვლევაში მონაწილეობაზე. 20 პირმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე, მათ შორის 12 იუმამაკაცი და 8 ქალი. გამოკითხული რესპონდენტებიდან 123 იუმამაკაცი (61.5%) და 77 – ქალი (38.5%). 45 წლამდე ასაკის რესპონდენტი შეადგენდა 16%-ს, 45-დან 65 წლამდე 46%-ს, ხოლო 65 წელზე მეტი ასაკის - დაახლოებით 37.5%-ს (იხ. ცხრილი 3).

**რესპონდენტთა ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობა  
(ცხრილი 3)**

ასაკი	მამაკაცი 125 (62.5%)	ქალი 75 (37.5%)	სულ 200
45 წლამდე	21 (63.6%)	12 (36.4%)	33 (16.5%)
45 -65 წწ.	58 (63.1%)	34 (36.9%)	92 (46%)
65 წლის ზევით	44 (58.6%)	31 (41.4%)	75 (37.5%)

ნეიროქირურგებთან ჩატარებული ჩაღრმავებითი ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული გადაუდებელი ნეიროქირურგიული დაავადებების ჩამონათვალი შეზღუდულია და არ ფარავს ისეთ ნოზოლოგიებს, როგორიცაა: არტერიო ვენოზური მალფორმაციები თავისა და ზურგის ტვინში, თავისა და ზურგის ტვინის სიმსიგნები, დისკოგენური რადიკულიტები მიელოპათიასთან ერთად, სერხემლის მაღების პათოლოგიური მოტეხილობები. ასევე პროგრამა არ მოიცავს თავის ტვინის იფარქტს, პერიფერიული ნერვების ტრაგმულ დაზიანებების ქირურგიულ მკურნალობას.

ცერებროვასკულური დაავადებით პოსპიტულიზმის გაცემითა განაწილება ასაგის მიხედვთ (2014 წლის  
მაისი, იუნისი, ივლისი)

ცხრილი 4

პერიოდის მუნიციპალიტეტი	ასაგი						სულ %	%
	45 წლამდე	%	45 - 65	%	65 წელიდან მეტი	%		
ცერებრული არტერიული ტკლუბია, სტენოზი	4	7.1	26	46.4	26	46.4	56	28
თავის ტვინის სიმსიცე	1	2.7	16	43.2	20	54.1	37	18.5
თავის ტვინის სიმსიცე	11	33.3	15	45.5	7	21.2	33	16.5
თავის ტვინის სისხლძარღვების ანერიზმა	7	20.0	18	51.4	10	28.6	35	17.5
თავის სხვა ნაწილების და ჭრილობა	6	31.6	8	42.1	5	26.3	19	9.5
სხვა	4	20.0	9	45.0	7	35.0	20	10
სულ	33	16.5	92	46.0	75	37.5	200	100

დაცვის სამინისტროს წარმომადგენელებთან ჩატარებული ჩაღრმავებითი ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ ადრე არ-სებული სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით ფინანსდებოდა ყველა გადაუდებელი მდგომარეობა და დღევანდელი მდგომარეობისგან განხვავებით ნოზოლოგიების ჩამონათვალი არ იყო მკაცრად განსაზღვრული. შესაბამისად, წინათ პაციენტი ფინანსურად დაცული იყო ნებისმიერი გადაუდებელი მდგომარეობის შემთხვევაში.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში სტაციონარში ნამკურნალევ პაციენტთა დაავადებათა (ნოზოლოგიების) ჩამონათვალი საკმაოდ მრავალფეროვანია: სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, თავის ტვინის სისხლძარღვების ანევრიზმა, ტვინის ტრავმული შეშუპება, თავის ტვინის ინფარქტი განვითარებული ცერებრული არტერიების დაუზუსტებელი ოკლუზის ან სტენოზის გამო, წელის მაღის მოტებილობა, ჰიდროცეფალიის სხვა ფორმები, თავის სხვა ნაწილების დია ჭრილობა, იდავების ნერვის დაზიანება, ანევრიზმის სხვა ფორმები, ჰემორაგიული ინსულტი, ექსტრადურული და სუბდურული აბსცესი დაუზუსტებელი, ეპიდურული სისხლჩაქცევა, წელის და სხვა მაღთაშუა დისკების დაზიანება რადიკულოპათიასთან ერთად, თავის ტვინის ავთვისებიანი სიმსივნე დაუზუსტებელი, ინტრაცერებრული სისხლჩაქცევა ნათხემში, თავის და ზურგის ტვინის გარსების სიმსივნე, საფეთქლის წილის ავთვისებიანი სიმსივნე, თავის ტვინის შერყევა, ინტრაკრანიალური სისხლჩაქცევა (იხ. ცხრილი 4).

კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ გადაუდებელი ნეიროქიორუგიული დაავადებების სამკურნალოდ რესპონდენტებზე საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით ანაზღაურებული თანხა შეაღენდა მკურნალობის მთლიანი ღირებულების 81 %-ს, დანარჩენ 19% წარმოადგენდა ნებაყოფლობითი დაზღვევით ან თავად პაციენტის მიერ გადახდილ თანხას. რესპონდენტთა 45 %-ს მოუწია მკურნალობის ღირებულების გარკვეულ ნაწილზე თანხის ჯიბიდან გადახდა. მათ შორის, რესპონდენტთა 9 %-ის მიერ პირდაპირ გადახდილი თანხა შეადგენდა \$1500-ზე მეტს, 10 %-ის მიერ პირდაპირ გადახდილი თანხა მეტყველდა \$1000-დან \$1500-მდე, 12 %-ის - \$500-დან \$1000-მდე, 14 %-ის - \$50-დან \$500-მდე. რესპონდენტთა 13 %-ს არ დაუფინანსდა გადაუდებელი ნეიროქიორუგიული მკურნალობისათვის საჭირო მაღალტექნოლოგიური გამოკვ-

## **თენის კორულაცია, მაკა გაბულდანი**

---

ლევები (მაგ., კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტო-მოგრაფია). პაციენტთა 12 % დაზღვეული იყო ნებაყოფლობითი სამედიცინო დაზღვევით, შესაბამისად, მათი სამედიცინო მომსახურების ხარჯები დაფინანსდა კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ.

კვლევის შედეგებით ირკვევა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ლიმიტი (15 000 ლარი) პაციენტთა 9 %-ის მკურნალობისთვისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი. გამოკითხულთა 36%-ს მოუწია საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ღირებულების 30%-ის თანაგადახდა.

### **გადაუდებელი ნეიროქიორუგიული დაავადებების ფინანსური ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზები**

უველივე აღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისადმი ფინანსური ხელმისაწვდომობა. ოუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილია ბაზისური სამედიცინო მომსახურების პაკეტით, სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება გადაუდებელი ნეიროქიორუგიული ოპერაციების გარკვეული სახეები, ასევე არ ფინანსდება გადაუდებელ ნეიროქიორუგიული მკურნალობისათვის საჭირო მაღალტექნიკურობის გამოკვლევები (მაგ., კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია). საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გადაუდებელი ნეიროქიორუგიული მკურნალობისათვის განსაზღვრული ლიმიტი (15 000 ლარი - 8570 \$) არ არის საკმარისი. პაციენტთა გარკვეულ ნაწილს მოუწია მკურნალობის ღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდა (ზოგ შემთხვევაში იგი §2000-ს აღემატებოდა), რაც უარყოფითად ზემოქმედებს მათ ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე.

მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მიზანშეწონილია, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში გადაუდებელი ნეიროქიორუგიული ნოზოლოგიების ჩამონათვალის გაფართოება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ისეთი მაღალტექნიკური

ური კვლევების დაფინანსება, როგორიც არის კომპიუტერული და მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია. მნიშვნელოვანია გადაუდებელი ნეიროქირურგიული დაავადებების ჩართვა ისეთი ფინანსური ლიმიტით, რომ თავიდან იქნეს აცილებული პაციენტის კატასტროფული დანახარჯები.

### **ლიტერატურის სია**

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2013 წლის ანგარიში. <http://www.moh.gov.ge/files/angarishi-2013.pdf>

2. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში 2013. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

3. საქართველოს მთავრობის დადგენილება № 36. საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ. 2013 წლის 21 თებერვალი <http://ssa.gov.ge/files/2013/File/N36-2013.pdf>

4. სოციალური მომსახურების სააგენტო [http://www.moh.gov.ge/files/01\\_GEO/Banners/Left\\_Banners/failebi/sakoveltao.pdf](http://www.moh.gov.ge/files/01_GEO/Banners/Left_Banners/failebi/sakoveltao.pdf)

5. ლიბერალი საყოველთაო ჯანდაცვის ანაგომია <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/114468/>

6. სტატისტიკური ცნობარი 2012. არაგადამდები დაავადებების ტენდენციების ანალიზი 2011 წ <http://www.ncdc.ge/>

7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო პორტალი. <http://cloud.moh.gov.ge/Pages/SearchPage.aspx>

8. ჯანდაცვის განმტკიცების პროგრამა, 2014. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეფასება ბენეფიციარებისა და მომსახურების მიმწოდებლების ჭრილში საბოლოო ანგარიში. <http://www.moh.gov.ge/files/JAN-USID/1.pdf>

9. ვერულავა თენგიზ. უნივერსალიზმი და სელექტივიზმი - ჯანდაცვის ორი მიდგომა და საქართველო. უურნალი “ლიბერალი”, 13.05.2014.

<http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/118573/>

## of Universal Health Care Program

T. Verulava,  
M. Gabuldani

After introduction of the State Universal Healthcare Program in Georgia significantly has increased the financial access to the urgent health services, among them urgent neurosurgery services. The aim of the research was to study the financial accessibility to the urgent neurosurgery services. In-depth interview with the managers and medical personnel of the neurosurgery hospitals and direct interviews with the specially structured questionnaires with the patients or their family members have been applied. The Tbilisi University clinic “High Technology Medical Center” has been selected for the research. The results of the research showed that the financial accessibility of health services has significantly improved after the introduction of the State Universal Healthcare Program. Although, Program is not financing the specific types of the urgent neurosurgery services and neither high-technological diagnostic tests. The financial limit defined by the State Universal Healthcare Program for the neurosurgery care is not enough. Some patients had to pay the significant amount of the cost of medical care that negatively effects on their financial accessibility. In order to increase the financial accessibility it is necessary to expand the list of the urgent neurosurgery diseases covered by the State Universal Healthcare Program, and in urgent cases to finance the high-technological diagnostic tests. It is important to define the financial limits for the urgent neurosurgery diseases that will avoid the high costs for the patients.

**Keywords:** Health Care, Georgia, Financial Accessibility, Neuro-surgery Diseases, Emergency Diseases.

**JEL Classification:** I20, I28, I29.

სტრატეგიის უორმირებისა  
და კლირულების აქტუალური  
საკითხებაზ თანამედროვე  
ქართულ ირგვანიგაციისში

ნონა ქარქუბაშვილი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თსუ-ის დოქტორანტი

სტრატეგიის ფორმირების სხვადასხვა მეთოდი არსებობს, რომლებსაც გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, თუმცა, რა მეთოდითაც არ უნდა მოხდეს მისი ფორმირება, ორგანიზაციისთვის მთავარია სტრატეგია განხორციელდეს და არ დარჩეს მხოლოდ ფორმალურად შემუშავებულ დოკუმენტად. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მისი დეკლარირება და აღსრულების პროცესში მიმდინარე მართვა ორგანიზაციაზე მოქმედი შიგა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული გადაწყვეტილებები, პრიორიტეტული ამოცანები, დაწერილი სტრატეგია, სტრატეგიის აღსრულება, ორგანიზაციული სტრუქტურა, სტრატეგიის თანამშრომლებთან კომუნიკაცია, სტრუქტურის ფორმირება სტრატეგიიდან გამომდინარე.

სტრატეგია აღწერს, თუ როგორ აპირებს ორგანიზაცია დირექტულების შექმნას მისი აქციონერებისთვის, მომხმარებლებისა და ზოგადად მოქალაქეებისთვის [1, გვ.4] - რა არის ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულება, რატომ შეიქმნა, რა არის მისი მიზნები და როგორ აპირებს მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და დასახული მიზნების განხორცილებას.

სტრატეგიაზე ფოკუსირებული ორგანიზაციის შესაქმნელად საჭიროა შემდეგი პრინციპების გათვალისწინება [1, გვ. preface (xi)]:

- სტრატეგიის გადატანა ოპერატიულ მიზნებში;
- ორგანიზაციის მორგება/გადაწყვობა სტრატეგიაზე;
- სტრატეგიაზე მუშაობა უნდა გახდეს შეუწყვეტელი/მუდმივი პროცესი.

თანამედროვე ქართულ კომპანიებში სტრატეგიის ფორმირებისა და აღსრულების პრობლემების გამოვლენისა

## ნორა ქართულაშვილი

და შესწავლის მიზნით ჩატარდა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოში მოქმედმა 55-მა ორგანიზაციამ.

კითხვარები უშეალოდ გაეგზავნათ ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებს ან ისეთი სამსახურის ხელმძღვანელებს, რომლებიც ინფორმირებულები არიან კომპანიაში არსებულ მართვის სისტემებზე (მაგ.: დაგეგმვისა და კონტროლის სამსახურის ხელმძღვანელი).

კვლევისთვის შეირჩა ორგანიზაციები, რომლებიც ბაზარზე არსებობენ მინიმუმ 3 წელი და ჰყავთ მინიმუმ 50 თანამშრომელი.

აღნიშნული კრიტერიუმები გამოიყო იმისათვის, რომ ორგანიზაციაში არსებული პრობლემები არ იყოს მისი ახალგაზრდობით გამოწვეული და არსებულ მენეჯმენტს ჰქონდა დრო მართვის სისტემების ჩამოყალიბებისა და დანერგვისათვის. მცირე ზომის ორგანიზაციებში, სადაც დასაქმებულია 20-მდე თანამშრომელი, ხშირად სისტემური ხარვეზები არ არის ისეთი კრიტიკული, როგორც შედარებით მსხვილ ორგანიზაციებში.

აღნიშნული კვლევის პარალელურად ასევე ჩატარდა ორგანიზაციის რიგითი თანამშრომლების გამოკითხვა, რომელთა ათვისაც მომზადდა ცალკე კითხვარი. თანამშრომლებთან კვლევის ჩატარების მიზანი იყო ხელმძღვანელი პირების გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტმა თანამშრომელმა. კვლევა ჩატარდა იმავე ორგანიზაციებში, რომელთა ხელმძღვანელი პირების გამოკითხვაც მოხდა.

კვლევით გადამოწმდა, სტრატეგიის ფორმირებისა და აღსრულების კუთხით, ორგანიზაციებში არსებული სავარაუდო პრობლემების შესახებ შემდეგი ჰიპოთეზები:

1. ქართული კომპანიების უმეტესობას არ აქვს ჩამოყალიბებული სტრატეგია დოკუმენტური სახით (დაწერილი სტრატეგია);
2. ქართული კომპანიების უმეტესობას აქვს ფართე სტრატეგიული ფოკუსი;
3. არ აქვთ დასახული თვლადი პარამეტრები;
4. სტრატეგიის შემუშავების პროცესში არ არიან ჩართული ის ადამიანები, ვინც უშეალოდ პასუხისმგებელი იქნება სტრატეგიული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე;
5. სტრატეგიიდან გამომდინარე არ ხდება შესაბამისი ცვლილებების გატარება სტრუქტურაში;
6. არ ხდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების გადატანა გეგმებში და მისი შესრულების სისტემატური მონიტორინგი (არ არსებობს ანგარიშგების სისტემა);

7. თანამშრომლები ვერ ხედავენ მათ უშუალო გავლენას ორგანიზაციის წარმატებაში/სტრატეგიის განხორციელებაში (არ ხდება სტრატეგიის რეგულალური და სისტემური კომუნიკაცია რიგითი თანამშრომლებისათვის).

კვლევის შედეგები აღმოჩნდა საქმაოდ საინტერესო. ძირითადი ხარჯები, რაც სტრატეგიის ფორმირებისა და აღსრულების კუთხით გამოიკვეთა ქართულ ორგანიზაციებში, არის ის, რომ:

**კომპანიების გარკვეულ ნაწილს სტრატეგია არ  
აქვს ჩამოყალიბებული სრულფასოვნად და  
მომზადებული დოკუმენტის სახით**

ჩატარებული კვლევის შედეგად, მართალია, გამოკითხული კომპანიების 66%-მა აღნიშნა, რომ აქვს შემუშავებული ორგანიზაციის განვითარების 3 ან 5-წლიანი სტრატეგია (ის. გრაფიკი 1), თუმცა, აქედან გარკვეულმა ნაწილმა (დაახლოებით 10%-მა) მიუთითა, რომ:

- აქვთ მხოლოდ ხედვა, სავარაუდოდ საით უნდათ, რომ განვითარდეს კომპანია;


- შედგენილი აქვთ მხოლოდ ბიუჯეტი;

- განსაზღვრული აქვთ მხოლოდ მთავარი რამდენიმე მიზანი, რასაც წლის ბოლოსთვის უნდა მიაღწიონ;

- სტრატეგია არის ფორმალური, პრაქტიკაში 80% არ გადადის;

- სტრატეგია ფორმალურია, შემუშავების შემდეგ ძირითადად მხოლოდ დოკუმენტად რჩება.

სწორედ აღნიშნული კომენტარები გახდა საფუძველი გვევარაუდა, რომ ყველა მათგანს არ აქვს სტრატეგია სრულად შემუშავებული.



## ნორა ქარქუმიშვილი

სტრატეგიული დაგეგმვის მკაფიო განმარტება საშუალებას იძლევა გავმიჯნოთ ის ბიზნესდაგეგმვის, ბიუჯეტირებისა და მარკეტინგული სტრატეგიისაგან. სტრატეგიული არის გადაწყვეტილებები, რომლებიც მოქმედებს ორგანიზაციის განვითარებაზე გრძელვადიან პერიოდში და არ მოიცავს მიმდინარე თპერატიულ ქმედებას. ეს არის გადაწყვეტილებები, რომლებმაც შეიძლება განაპირობოს სრულიად განსხვავებული ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღებაზე, ზოგ შემთხვევაში, მოქმედებს ისეთი გარე ფაქტორები, როგორიცაა: მნიშვნელოვანი ცვლილებები ბაზარზე, სახელმწიფო რეგულაციები ან/და კონკურენტი ორგანიზაციების მიერ რადიკალური ცვლილებების გატარება. ზოგ შემთხვევაში კი ეს განპირობებულია შიგა ფაქტორებით – ხელმძღვანელი პირების ცვლილება, ორგანიზაციის ფინანსური სტრუქტურის შესუსტება, ტექნოლოგიური ცვლილებები და ა.შ.

ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმა უნდა მოიცავდეს:

- კომპანიის მთავარ დანიშნულებას (მისია) და ხედვას, მენეჯმენტის განაცხადს, როგორი უნდათ, რომ იყოს მათი კომპანია გარკვეული პერიოდის შემდეგ (მაგ.: 2016 წლის ბოლოს);

- სტრატეგიული დაგეგმვის პერიოდში ორგანიზაციის მიერ გადასაჭრელი ძირითად ამოცანებს პრიორიტეტულობის მიხედვით (მათი აქტუალურობა განვითარების ეტაპების მიხედვით);

- ღონისძიებებს და პროექტებს დასახული ამოცანების გადასაჭრელად – კონკრეტული ქმედებები, რომლებიც გადანაწილებული იქნება შესაბამის პასუხისმგებელ პირებზე და განსაზღვრული იქნება შესრულების ვადები.

სტრატეგიის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული რეალობა და კონკურენტული გარემო, ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები. ის, რისი კეთება შეუძლია მას სხვებზე უკეთესად, ვინ უნდა იყვნენ მისი ძირითადი მომხმარებლები და რა შეიძლება იყოს მისი მთავარი კონკურენტული უპირატესობა, რის გამოც მომხმარებლები მას მიანიჭებენ უპირატესობას სხვებთან შედარებით [2]:

ივინ იქნებიან კლიენტები;

ირა იქნება მთავარი პროდუქტები;

იროგორი იქნება სტრატეგიული კომპეტენციები;

იროგორი კადრები ეყოლებათ;

იროგორი რეპუტაცია ექნებათ.

სტრატეგიული გეგმა უნდა ასახავდეს მენეჯმენტის მიერ მიღებულ ძირითად გადაწყვეტილებებს ყველა მნიშვნელოვან

სტრატეგიულ საკითხთან დაკავშირებით.

მაგალითად „**თიბისი ბანქის**“ მისიაა ახალი შესაძლებლობების შექმნა ადამიანებისა და კომპანიების წარმატებისთვის. მენეჯმენტის ხედვა კი მის განვითარებასთან დაკავშირებით არის შემდეგი: „საუკეთესო თანამშრომლებით, ძლიერი ბრენდით და მრავალფეროვან ინოვაციურ არხებში გამორჩეული ხარისხით:

➤ ყველაზე დიდი ბანკი საშუალო და მაღალშემოსავლიანი ადამიანებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტებზე;

➤ ძირითადი მომსახურე ბანკი მსხვილი კომპანიებისთვის;

➤ ლიდერი ბანკი არარეზიდენტი დეპოზიტარების სეგმენტზე;

➤ რეგიონული მნიშვნელობის ბანკი“[3].

„ინვესტიციების“ (კაპიტალ ბანკის) მისია და მიზნებია: შექმნას ძლიერი, მდგრადი და საიმედო ფინანსური ინსტიტუტი კოლექტიური მუშაობით, კლიენტების, ბიზნეს პარტნიორების და დაინტერესებული პირების მხარდაჭერით.

ბანკის დაფუძნების და მისი განვითარების სტრატეგიის განსაზღვრისას, მისმა ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა შექმნა მოქნილი და დინამიკური საბანკო ინსტიტუტი, რომელიც მთლიანად აქმაყოფილებს ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების და ფიზიკური პირების მოთხოვნებს, უზრუნველყოფს ცივილიზებულ და ხელსაყრელ გარემოს საქმიანობებისთვის.

უფრო კონკრეტულად, ბანკი ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიზნების მიღწევისათვის:

- დაიცვას დაინტერესებული პირების და კლიენტების ბიზნესინტერესები;

- დააკმაყოფილოს და ორიენტირება მოახდინოს კლიენტის მოთხოვნებზე;

- შეინარჩუნოს მაღალი ხარისხის საბანკო მომსახურების დონე ფინანსურ ზრდასთან ერთად;

- უზრუნველყოს მომსახურების ხარისხი და ბანკის მდგრადობა;

- უზრუნველყოს ფინანსური საიმედოობა და სტაბილური განვითარება;

- დააკმაყოფილოს მოთხოვნის დონე ბანკის მართვის და შიდა კონტროლის მექანიზმებში;

- აწარმოოს გამჭვირვალე საბანკო ოპერაცია საერთაშორისო სტანდარტების და გამოცდილების შესაბამისად [4].

„ლეგი ჯგუფის“ მისია და მიზნებია მისი შეთავაზება იყოს მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი, იყოს ცნობადი, ინოვაციური და მუდამ სიახლეზე ორიენტირებული კომპანია; დაიმკვიდროს და შეინარჩუნოს ლიდერის პოზიციები ბაზარზე; დაიმსახუროს მომხმარებლის ნდობა, რათა მომხმარებლები მუდამ კმაყოფილები იყვნენ მომსახურებით.

„ლეგი ჯგუფი“ 10 წელზე მეტია არსებობს საქართველოს ბაზარზე. გააჩნია საკუთარი წარმოებები თბილისსა და გორში, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით. მასში დასაქმებულია 100-ზე მეტი სპეციალისტი. კომპანია აწარმოებს შემდეგი ტიპის პროდუქციას: გოფრირებული მუჟაო, ხის ყუთები, დამხმარე შესაფერი მასალები, ქადალდი და ა.შ. [5].

ფარმაცევტული კომპანია „ჯიბისის“ მიზანია საზოგადოების ჩართვა ჯანმრთელობის გაუმჯობესების პრეცესში მისი კეთილდღეობის მისაღწევად. მისი ფასეულობებია მზრუნველობა, კეთილშობილება და ოპტიმიზმი. ორგანიზაციას ხედვა ფორმულირებული აქვს შემდეგნაირად: „მრავალფეროვანი საშუალებებით აქტიური, ჯანსაღი ცხოვრების წესის სტიმულირება და ხელშეწყობა. მომხმარებლების საჭიროების მაქსიმალური უზრუნველყოფა მუდმივ პროგრესულობაზე, ინოვაციურობასა და ზრუნვაზე დაყრდნობით [6].“

ერთ-ერთი ხარვეზი, რაც კვლევისას გამოიკვეთა არის ის, რომ ორგანიზაციების ნაწილს არ აქვს დაწერილი სტრატეგია. სტრატეგია დოკუმენტური (წერილობითი) სახით მომზადებული აქვს გამოკითხული კომპანიების მხოლოდ 58%-ს.

სტრატეგია, როდესაც არ არის დაწერილი და მიღებული დოკუმენტის სახით, მიღწეული შეთანხმებები და დასახული მიზნები სხვადასხვაგვარად აღიქმება ცალეპული მენეჯერის მიერ და რთულდება სტრატეგიის გადახედავა და ანალიზი განსაზღვრული პერიოდულობით, რისი მიღწევა უნდოდა ორგანიზაციას და რას მიაღწია ან როგორ მოხდა სტრატეგიული ამოცანების გადახაწილება - ვინ რაზე იყო პასუხისმგებელი. ამიტომ მნიშვნელოვანია სტრატეგია არ იყოს გააზრებული მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმების დონეზე და მოხდეს მისი დოკუმენტის სახით დაფიქსირება, როგორც კომპანიის საქმიანობის ძირითადი ორიენტირისა. ეს ამარტივებს სტრატეგიის შემდგომ გადახედვას, შესაბამის თანამშრომლებამდე ძირითადი გადაწყვეტილებების მიტანას და მიღწეული შედეგების შეფასებასაც.

## ნაკლებად ხდება სტრატეგიის დეპლარიზება და თანამშრომლებთან მისი სათანადოდ კომუნიკაცია

კვლევის შედეგებიდან საინტერესოა თანამშრომლებთან სტრატეგიის კომუნიკაციის საკითხებიც. გამოკითხული ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების 93%-მა აღნიშნა, რომ ხდება კომპანიის განვითარების სტრატეგიის თანამშრომლებთან კომუნიკაცია სხვადასხვა მეთოდით. თუმცა, განსხვავებული შედეგები მივიღეთ თანამშრომლების გამოკითხვით – 63%-მა აღნიშნა, რომ მათთვის არ არის ცნობილი ორგანიზაციის სტრატეგია, 30%-მა – ცნობილია ორგანიზაციის სტრატეგია, ხოლო 7%-მა აღნიშნა, რომ ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული სტრატეგია.

ხელმძღვანელი პირებისა და თანამშრომლების გამოკითხვის შედეგებს შორის განსხვავება მიუთითებს იმაზე, რომ თანამედროვე ქართულ ორგანიზაციებში არ ხდება თანამშრომლებთან სტრატეგიის სათანადო კომუნიკაცია. შესაძლოა, უბრალოდ ეს არ ხდება შესაბამისი მეთოდით, ფორმით და პერიოდულობით, რაც ამცირებს თანამშრომლებში იმის აღქმას რა ინფორმაციას აწვდიან, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ინფორმაცია მათთვის, რატომ უნდა იცოდნენ ეს ან/და ამას აქვს ერთჯერადი სახე, რის გამოც დროთა განმავლობაში ავიწყდებათ.

სტრატეგიის კომუნიკაცია არ უნდა იყოს ერთჯერადი და მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად მოხდეს შესხენება ამის შესახებ.

სხვადასხვა კომპანიის გამოცდილების მიხედვით, ისინი ვინც ყურადღებას აქცევენ საკუთარი სტრატეგიის კომუნიკაციას თანამშრომლებთან, ახერხებენ არსებული ხედვის უკუთხესად რეალიზებას. ეს საშუალებას იძლევა გაადვილდეს მისი აღსრულება და მხოლოდ სტრატეგიის დაგეგმვის გუნდი არის იყოს მონაბეჭდილი, რომ მისი რეალიზება მოხდეს.

თანამშრომლებს სჭირდებათ იცოდნენ, რომ კომპანიას სადაც მუშაობენ, აქვს ცხადი სტრატეგია და მენეჯმენტს კარგად ესმის საით მიჰყავს ის. ეს ეუბნება თანამშრომლებს, თუ სად მიდის კომპანია, როგორია პრიორიტეტები და როგორ შეესაბამება მათი საქმე კომპანიის სამომავლო გეგმას.

გარდა ამისა, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებს ესმოდეთ კომპანიის სტრატეგია. თანამშრომლებს, რომლებსაც ესმით სტრატეგია, ყოველდღიურად იდებენ უკუთხეს და ისეთ გადაწყვეტილებებს, რაც შეესაბამება კომპანიის გრძელვადიან ხედვას.


## ნაკლებად ხდება სტრუქტურის ფორმირება სტრატეგიიდან გამომდინარე

სტრატეგიის განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პირობაა შესაბამისი სტრუქტურის არსებობა. პრიორიტეტები ამოცანები სწორად უნდა იყოს გადანაწილებული მმართველ გუნდს შორის, ხოლო პასუხისმგებლობები ცხადად გამიჯნული. სასურველია, ერთ დირექტორს არ ჰქონდეს ჩაბარებული რამდენიმე პრიოროტეტები ამოცანა, რადგანაც ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა და დახარჯული რესურსი, ცალკეული ამოცანის გადაჭრაზე, მცირდება.

მიუხედავად სტრუქტურის მნიშვნელობისა კომპანიის გამართულ ფუნქციონირებასა და განვითარებაში, ორგანიზაციის წარმატების სამ ძირითად ფაქტორს შორის ის დაასახელა მხოლოდ 27%-მა, ხოლო გამოკითხულთა 89%-მა აღნიშნა, რომ მათ ორგანიზაციაში მენეჯერებს/დირექტორებს ჩაბარებული აქვთ ორი ან მეტი სტრატეგიული ამოცანა.

ასევე, გამოკითხული კომპანიების 91%-მა აღნიშნა, რომ სტრატეგია შეცვალა ბოლო ორი წლის განმავლობაში, ამავე რაოდენობამ აღნიშნა, რომ შეცვალა სტრუქტურა, მაგრამ აქედან მხოლოდ 42%-მა აღნიშნა, რომ სტრუქტურის ცვლილების მიზეზი იყო სტრატეგიის ცვლილება. სხვა შემთხვევებში, ამის მიზეზი იყო კომპანიის მენეჯმენტის ან დამფუძნებლების ცვლილება, სტრუქტურის არსებულ კადრებზე მორგება და სხვა (იხ. გრაფიკი 2).

**რა 0ზო როგორი სტრუქტურის ცვლილების მიზანი?**



ეს იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ შეიძლება ორგანიზაციებში გარკვეული ცვლილებებია სტრატეგიის შეცვლის შედეგად, მაგრამ ნაკლებად ხდება სტრუქტურის შემუშავება სტრატეგიიდან (პრიორიტეტული ამოცანებიდან) გამომდინარე, არ ხდება სტრუქტურის მორგება სტრატეგიიაზე.

ორგანიზაციულ სტრუქტურასა და სტრატეგიას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლის მიზნით ბევრი კვლევა არის ჩატარებული. ერთ-ერთი ყველაზე ადრეული კვლევის თანახმად, ახალ სტრატეგიას განხორციელებისთვის აუცილებლად სჭირდება სრულიად ახალი სტრუქტურა თუ არა, მინიმუმ განახლებული მაინც [8]. ბევრი ორგანიზაციის მენეჯმენტი ეთანხმება ამ კლასიკურ მოსაზრებას, მათ შორის არიან ისეთი კომპანიები, როგორიცაა: Channon, Wrigley, Shell Group, General Electronic, Pan Canadian Petroleum Ltd, Rumelt da a.S.. ისეთი sakonsultacio kompaniebi, rogoricaa: McMohan & Bane, Troy, Raphael, Crampton.

ამ მიმართულებით ჩატარებულმა ყველა დანარჩენმა კვლევამ განამტკიცა თეორია იმის შესახებ, რომ სტრუქტურა ეფუძნება სტრატეგიას (Structure Follows Strategy) და საბოლოო ჯამში ეს გახდა მსოფლიო მასშტაბით მიღებული წინადადება.

სტრატეგია არის ორგანიზაციის განვითარების თეორიული მოდელი, რომლის პრაქტიკაში გადასატანად აუცილებელია შესაბამისი მექანიზმის შექმნა და მართვა. სწორედ ამიტომ, სტრატეგიის აღსრულების ერთ-ერთი მთავარი პირობა არის მისი შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება. სტრუქტურაში სწორად უნდა იყოს გადანაწილებული პასუხისმგებლობა სტრატეგიული ამოცანების გადაჭრაზე, რომ მან შეძლოს და ხელი შეუწყოს მის რეალიზებას. თუ სტრუქტურაში ყოველდღიურად არ იმუშავა იმ სამუშაოების შესრულებაზე, რაც საჭიროა სტრატეგიული ამოცანების გადასაჭრელად, მისი განხორციელება დამოკიდებული გახდება ცალეპული პირების მოტივაციაზე, მათ პასუხისმგებლობის გრძნობასა და ინიციატივებზე, ორგანიზაციაში არ იქნება დანერგილი სტრატეგიის განხორციელების სისტემური მიღვომა.


მთლიანობაში, კვლევის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ ქართული კომპანიების ხელმძღვანელი პირები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სტრატეგიის შემუშავებას, მინიმუმ იმას, რომ ორგანიზაციას ჰქონდეს განვითარების ორიენტირები. ეს ჩანს არა მარტო საერთო შედეგებიდან, არამედ კვლევის ფარგლებში დასმული კონკრეტული შეკითხვიდანაც. ხელმძღვანელ პირებს ვთხოვთ მოქნიშნათ, მათი აზრით, კომპანიის წარმატებისთვის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი - სტრატეგიას ხმა მისცა 71%-მა (იხ. გრაფიკი 3).

სტრატეგიის ფორმირებასა და აღსრულების კუთხით გადამოწმებული დანარჩენი ჰიპოთეზები არ დადასტურდა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- ქართული კომპანიების უმეტესობას პროდუქტების/მომსახურების მიხედვით განსაზღვრული ჰყავს მიზნობრივი მომსარებელი – მომსმარებლების ფართო სპექტრზე ორიენტირება და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მცდელობა იშვიათად არის ეფექტური. როგორც წესი, საერთო ნიშნის მიხედვით მომსმარებლების ჯგუფებად დაყოფა და სპეციალურად მათზე მორგებული პროდუქტების/მომსახურების შეთავაზება უფრო ეფექტურიანი და მომგებიანია ხოლმე ორგანიზაციებისათვის.

გამოკითხული კომპანიების 82%-ს პროდუქტებისა და მომსახურების მიხედვით განსაზღვრული ჰყავს მიზნობრივი მომსმარებელი, თუმცა, ერთ-ერთმა ორგანიზაციამ კომენტარის ველში მიუთითა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები არ აქვთ ფორმალიზებული;

### რა მიმართ კომპანიის დარღატების მიზნობრივი გარემონტირებული მიზანია?



აქვთ დასახული თვლადი პარამეტრები (რაოდენობრივი/გაზომვადი მიზნები, რა კონკრეტულ მაჩვენებლებს უნდა მიაღწიონ) – იმისათვის, რომ ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნები იყოს ეფექტური, ერთ-ერთი მახასიათებელი, რასაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ, SMART [7, გვ.113] კონცეფციას მიხედვით, არის სწორედ ის, რომ მიზნები იყოს გაზომვადი. კომპანიამ არ უნდა დაისახოს ისეთი ზოგადი მიზნები, როგორიცაა, მაგალითად, გაყიდვების ან შემოსავლების ზრდა, წარმობის გაფართოვება და ა.შ.

მიზნების განსაზღვრისას სასურველია თვლადაი პარამეტრების დასახვა, მაგალითად, 2016 წლის ბოლოს ორგანიზა-

ციის წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს 50 მლნ დოლარს. ბანკის შემთხვევაში შესაძლებელია მიზნის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით – ჩვენი მიზანია ჯამური აქტივების მოცულობით, ბანკს დამკვიდრებული პქონდეს ადგილი საქართველოს ბანკების ხუთეულში.

გამოკითხული კომპანიების 82%-ს დასახული აქც რაოდენობრივი/გაზომვადი მიზნები (რა კონკრეტულ მაჩვენებლებს უნდა მიაღწიოს განსაზღვრულ პერიოდში);

• სტრატეგიის შემუშავების პროცესში თავიდანვე, განხილვისა და მსჯელობის ეტაპიდან, ჩართული არიან ის ადამიანები, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელია სტრატეგიული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე – როდესაც სტრატეგიის შემუშავებისას განხილვებსა და მსჯელობებში არ არიან ჩართული ის თანამშრომლები, ვინც უნდა აღასრულოს მიღებული გადაწყვეტილებები ისინი ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობენ მის წარმატებით განხორციელებაზე იმიტომ, რომ თავად არ მიუღიათ ეს გადაწყვეტილებები. ასეთ შემთხვევაში უფრო თამამად აცხადებენ, რომ რადაცა არ იყო გათვალისწინებული ან სულაც გადაწყვეტილება არ იყო სწორი. ისინი ნაკლებად გრძობენ და აღიარებენ საკუთარ წვლილს მის წარუმატებლად განხორციელებაზე.

მეორე მხრივ, ეს იწვევს იმასაც, რომ მოცემული გადაწყვეტილებები ბოლომდე გააზრებული შეიძლება არ იყოს იმ თანამშრომლების მიერ, რომლებმაც შემდეგ ის უნდა აღასრულონ. ამიტომ, საჭიროა სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩართული ის ადამიანები, რომელთაც შემდეგ აკისრიათ ამ გადაწყვეტილებების პრაქტიკაში რეალიზაციის პასუხისმგებლობა. ამ კუთხით ძალიან ეფექტურია სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც სწორედ ასეთი თანამშრომლებით უნდა დაკომპლექტდეს. მსგავსი მიღვომა ამარტივებს და უფრო ეფექტიანს ხდის მიღებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების განხორციელებას.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული კომპანიების 82%-ს სტრატეგიის შემუშავების პროცესში თავიდანვე, განხილვისა და მსჯელობის ეტაპიდან, ჩართული პყავს ის ადამიანები, ვისაც ევალება დასახული ამოცანების გადაწრა.

კვლევის შედეგებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სტრატეგიის ფორმირების კულტურა თანამედროვე ქართულ ორგანიზაციებში ნელ-ნელა მკვიდრდება და მენეჯერები აქტიურობენ ამ მიმართულებით, თუმცა, ნაკლებ კურადღებას აქცევენ იმას, რომ ეს ყველაფერი იყოს ფორმალიზებული, სრულფასოვანი და დეკლარირებული.

აღსრულებას რაც შეეხება, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი - სტრატეგიის აღსრულებისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურა [8], რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიის განხორციელებას. სამწუხა-აროდ, სტრატეგიის შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირების მიმართ ქართველი მენეჯერები ნაკლებ ყურადღე-ბას იჩენენ.

### ლიტერატურის სია

1. Robert S. Kaplan, David P. Norton, Strategy Maps, Harvard Business School Press, 2004;
2. პაპუნა ტოლიაშვილი, „უკეთესი მომავალი იწყება ხედ-ვით, ქურნალ „სტრატეგია და ორგანიზაციის“ საუკეთესო სტატიების კრებული - გენერატორის ბრძოლა წარამტებისთ-ვის, 2012წ.;
3. <http://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/mission-vision>
4. <http://www.investbank.ge/ge/about-bank/our-mission-and-goals>
5. <http://www.legigroup.ge/indexmain.php>
6. <http://www.gpc.ge/>
7. Bob Nelson, Peter Economy, The Management Bible, 2005. p.113;
8. A. Chandler, Strategy and Structure: chapters in the history of the Industrial-Enterprise, THE MIT PRESS, 1962;

### The Topical Issues of Strategy Formation and Its Execution in the Modern Georgian Organizations

N. Karkuzashvili

There are various methods of forming the strategy with its positive and the negative sides; however, in any case of its formation, the main thing is the implementation of the strategy.

With the aim of identifying and studying the formation and execution of the strategy in modern Georgian companies, the special research was conducted with the participation of 55 organizations' officials and more than 100 employees.

For research purpose were selected the organizations, that exist in the market for at least 3 years and have at least 50 employees.

The noted criteria were applied for the purpose, that the problems existing in the organization were not due to its management inexperience and it had enough time for the formation and introduction of management systems. In small-sized organizations where there are employed up to 20 employees, the systemic flaws are not frequently so critical as compared with large organizations.

Along with the noted survey there was conducted also the poll of ordinary employees of the organization; a separate special questionnaire was designed for them. The goal of the research conducted on the staff was the verification of the survey results of the officials. More than one hundred employee participated in the survey. The survey was conducted in the same organization where the officials were polled.

The main issues that were highlighted in the Georgian organizations in the aspect of formation and execution of the strategy, are that, first of all, some companies have not formed a real strategy fully and documentary prepared yet; The second is that, there is no strategy for the declaration and relevant communications with co-workers; and the third, it is uncommon to make structure out of the strategy (priority objectives), as a result the structure does not fit the strategy.

When the strategy is not formulated and adopted in the form of document, the achieved agreements and set goals are perceived by separate managers in different ways and the strategy review and analysis is complicated in a certain periodicity, what did organization want to achieve and what did it achieve or how the strategic objectives were distributed – who was responsible and for what. Therefore, it is important that the strategy not be well-thought-out only at the level of agreement and be fixed in the form of document as the main reference point for the company's activity. This simplifies further revision of the strategy, bringing the basic decisions to the relevant co-workers and assessment of the achieved results as well.

Of the research results the communication issue of the strategy with the staff is also interesting. 93% of the officials of surveyed organizations noted that communication with the staff of company's development strategy is established by various methods. However, we got different results through the survey of the staff; 63% of the respondents noted that they are not familiar with the organization's strategy.

The difference between the survey results of the heads and staff indicates that there are not established proper communications of strategy with staff in the modern Georgian organizations. Perhaps it merely doesn't work out by the relevant method, form and periodicity that reduces the employees' perceptions of what information they are provided with, how important is this information for them, why they should know about it or if has a one-time form, for what they forget it over time.

One of the main conditions for the implementation of the strategy is the existence of appropriate structure. The prioritized objectives should be distributed correctly among the management team and responsibilities should be clearly differentiated. It is desirable that several prioritized objectives are not assigned to one director, because in this instance the responsibility and spent resources are reduced in solving an objective.

Despite the importance of the structure for company's perfect functioning and development, only 27% of respondents named it among three main factors in the success of organization.

Taking all the above noted into consideration will contribute to the substantial improvement of management and increase of effectiveness.

**Key words:** Georgia, company, strategy, communication.

**JEL Classification:** L20, L21, L22.

საქართველოს სამოავტორო  
კერსაეჭივები ასოცირების  
შეთანხმების პროცესტი

ნათები დაღვეულიშვილი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის დოქტორანტი

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა სელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რაც სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ასოცირებისათვის. გამომდინარე აქედან, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოსა და ევროკავშირს შორის სამომავლო პერსპექტივების ანალიზი.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ონოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის“ შეთანხმებაა, რამდენადაც მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავდით, მოიცავს დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტებს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DC FTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოებების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, საქართველო, მრავალმხრივი შეთანხმება, ორმხრივი შეთანხმება, ასოცირება, სუსტი და ძლიერი მხარეები.

**ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება – საქართველოს სამოქმედო ორიენტირი**

ზოგადად, არსებობს ურთიერთობანამშრომლობის ორი სახის ფორმატი, რასაც ევროკავშირი გვთავაზობს:

მრავალმხრივი თანამშრომლობა (Multilateral track) – მრავალმხრივი გზა წარმოადგენს ჩარჩოს, რომლის ფარგლებში ევროკავშირი და აღმოსავლეთ პარტნიორები ერთად, ჯგუფურად მუშაობენ საერთო ამოცანების გადაჭრაზე მრავალმხრივი ფორმატი ემსახურება აღმოსავლეთ სამეზობლოს მიზნების განხორციელებას ოთხი თემატური პლატფორმის (დემოკრატია, მართვისა და სტაბილურობის სრულყოფილი სისტემა; ეკონომიკური ინტეგრაცია და კონვერგენცია ევროკავშირის დარგობრივ ეკონომიკურ პოლიტიკასთან, თავისუფალი საგაჭრო ზონების შექმნის ჩათვლით; ენერგეტიკული უსაფრთხოება და

## ნათია დაღებულები

ადამიანთა შორის კონტაქტების განვითარება) და 6 ფლაგმანი ინიციატივის საშუალებით<sup>1</sup>.

ორმხრივი თანამშრომლობა (Bilateral track) – ორმხრივი თანამშრომლობის მიზანია ევროკავშირსა და თითოეულ აღმოსავლეთ პარტნიორს შორის ურთიერთობის გადრმავება. ამის მიღწევა ხდება ორმხრივი შეთანხმებების, მაგალითად, ასოცირების შესახებ შეთანხმების, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების, ვიზების გამარტივების შესახებ ორმხრივი დიალოგის, სხვადასხვა სფეროში (ეკონომიკა, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი, კულტურა და ა. შ.) უფრო მჭიდრო ორმხრივი თანამშრომლობის და ტექნიკური დახმარების საშუალებით [9].

ასოცირების შესახებ შეთანხმება ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზანდისახას მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. ასოცირების შესახებ შეთანხმება სამართლებრივად სავალდებულოა.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ჩაანაცვლებს 1996 წელს ხელმოწერილ „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ (Partnership and Cooperation Agreement - PCA) და შექმნის საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ სამართლებრივ ჩარჩოს. PCA-სთან შედარებით, „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ითვალისწინებს თანამშრომლობის უფრო გადრმავებას საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ყველა პრიორიტეტული მიმართულებით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის მოლაპარაკებები „ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე“ ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში (ხოლო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტზე - 2011 წლის დეკემბერში). მოლაპარაკებების პროცესში გაიმართა 15 პლენარული სესია შეთანხმების პოლიტიკურ ნაწილზე, 6 რაუნდი - ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობის სივრცეზე და 100-მდე ვიდეო-კონფერენცია დარგობრივი თანამშრომლობის საკითხებსა და DC FTA-ზე. მოლაპარაკებები დასრულდა 2013 წლის ივლისში. მოლაპარაკებების პროცესში ჩართული იყო საქართველოს კერძა შესაბამისი სამინისტრო და უწყება.

ასოცირების შესახებ შეთანხმება პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დაგენორი: პოლიტიკური თანამშრომლობა (პრეამბულა; კარი I-III; VIII) დარგობრივი თანამშრომლობა (კარი V-VII) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი

<sup>1</sup> ფლაგმანი ინიციატივების წყალობით ხდება სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტიდან დაფინანსების მოპოვება და კერძო სექტორიდან ინკუსტიციების მოზიდვა.

ვაჭრობის სივრცე (DC FTA) (კარი IV). შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოვებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

აღსანიშნავია, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება არ ითვალისწინებს ევროკავშირში გაწევრიანებას, თუმცა, შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან (acquis)<sup>1</sup> დაახლოვების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს.

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოვების სამოქმედო გეგმაა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს.

ევროკავშირი ე.წ. აღმოსავლეთის მეზობლებს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, მოლდოვა, ბელორუსი) „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში სთავაზობს უნიკალურ შანსს, ევროკავშირის აქტიური ფინანსური და ინსტიტუციონალური მხარდეჭერის ფონზე, გახდნენ ევროკავშირთან უპრეცედენტო ურთიერთთანამშრომლობის მონაწილეები. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ევროინტეგრაციის პროცესები აღნიშნულ 6 ქვეყანაში მიმდინარეობს უკიდურესი დაბაზულობის ფონზე, რაც გამოწვეულია რუსეთის ფედერაციის ინტერვენციით ქვეყნების შიდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებეში. რუსეთმა პარალელურად პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შესთავაზა ე.წ. რუსეთ-ყაზბეგ-ბელორუსის საბაჟო კავშირი, რაც 2025 წლისთვის ევროკავშირის ანალოგს უნდა წარმოადგენდეს. საბაჟო კავშირის წევრობა გამორიცხავს როგორც ევროპულ არჩევანს, ისე ევროპასთხ სავაჭრო ურთიერთობებს, ვინაიდან ევროკავშირი გაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის განიხილება, როგორც „მესამე ქვეყანა“, რომელზეც ვაჭრობის საკმაოდ მაღალი ტარიფები ვრცელდება.

აქედან გამომდინარე, რუსეთის წნევს ვერ გაუძლეს აღმოსავლეთის პარტნიორების ქვეყნების ნაწილმა და ბელორუსმა უარი განაცხადა ევროინტეგრაციაზე და გახდა ერთერთი დამფუძნებელი საბაჟო კავშირის; სომხეთმა ასევე უარი განაცხადა ევროინტეგრაციაზე; აზერბაიჯანმა შეაჩერა აქტიური მოლაპარაკებები და საბაჟო კავშირში გაწევრიანებაზე მკაფიო უარი არ განუცხადებია (აზერბაიჯანი ასოცირების შეთანხმების მხოლოდ პოლიტიკურ ნაწილზე ახორციელებდა მოლაპარაკებებს, თავისუფალ ვაჭრობას არც გეგმავდა ევროკავშირთან, ვინაიდან არ წარმოადგენს ვაჭრობის მსოფლიო

1 *acquis communautaire* - ევროკავშირის სამართლებრივი აქტების ერთობლიობა.

## ნათია დაღებულიშვილი

ორგანიზაციის წევრს); უკრაინის მოვლენებმა მკაფიოდ აჩვენა მსოფლიოს ევროპულ-რუსული ინტერესების შეჯახების მთვარი სიძრვავე, ხოლო საქართველო და მოლდოვა გახაგრძობენ ევროპულ გზას, თუმცა ამ შემთხვევაშიც რუსეთის მხრიდან მოსალოდნელია „გაძქტიურება“.

### ასოცირების შეთანხმების SWOT ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეები)

ყოველივე ზემოაღნიშნული განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს ქართული საზოგადოების სწორი დამოკიდებულებებისა და შეხედულებების ქონას ევროინტეგრაციის გარშემო, ასევე სიღრმისეულ ანალიზს მოსალოდნელი დადებითი ოუზარყოფითი თანმხლები პროცესების შესახებ (იხ. სქემა).

### ასოცირების შეთანხმების SWOT ანალიზი

S - ძლიერი მხარეები	W - სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"><li>- სტაბილურობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა რეგიონში</li><li>- დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა</li><li>- ტარიფებისა და კვოტების გარეშე გაჭრობა ევროკაგშირთან (გარდა მცირედი გამონაპლისებისა)</li><li>- „არასატარიფო ბარიერების“ მოხსნა</li><li>- „ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების“ შემცირება</li><li>- კანონმდებლობის პარმონიზება ევროპავშირის რეგულაციებთან</li><li>- კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა</li><li>- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა</li></ul>	<ul style="list-style-type: none"><li>- კვოტა ნიორზე<sup>1</sup></li><li>- გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი<sup>2</sup></li><li>- „შესვლის ფასი“<sup>3</sup></li><li>- „ლიად რჩება ევროპავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების პროგრესულ განვითარება მომავალში“</li></ul>

<p><b>O - შესაძლებლობები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ვაჭრობის ზრდა</li> <li>- მშპ-ს ზრდა</li> <li>- გაონომიკური ზრდა</li> <li>- დასაქმების ზრდა</li> <li>- ინვესტიციების ზრდა</li> <li>- მმართველობისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მეტი გამჭვირვალობა</li> <li>- ჩართულობის ზრდა</li> <li>- მომსმარებელთა დაცვის უკეთესი სტანდარტები</li> <li>- სოფლის მეურნეობის მოდერნიზება</li> <li>- შრომის პირობების გაუმჯობესება</li> <li>- კონკურენციის დაცვა</li> </ul>	<p><b>T - საფრთხეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ურთიერთობის დაბაბუა რუსეთთან</li> <li>- მოკლევადიან პერიოდში მცირე სარგებელი დაკისრებულ გალდებულებებთან შედარებით</li> <li>- სენსიტური სექტორების კრიზისი გარდამავალ პერიოდში</li> <li>- ქართველი ფერმერების ნაწილი დაზარალდება DCFTA-ის ამოქმედების შედეგად</li> <li>- ევროკავშირიდან იმპორტის ზრდა</li> </ul>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შესახებ შეთანხმება ხსნის ევროპულ ბაზარზე ქართველი ფირმების შესვლის შესაძლებლობას და გააჩნია არაერთი უპირატესობა, შეთანხმება მაინც არაა ორმხრივად „ვაჭრობა ტარიფებისა და კვოტების გარეშე“ და გამოიყენება ევროპული ბაზრის დაცვის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა კვოტა, ე.წ. შესვლის ფასი და გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი.

დღეს, ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს მთლიანი ექსპორტის 25-26% მოდის [6]. შეთანხმების ფარგლებში განსახორციელებელი რეფორმები საქართველოს ევროკავშირის სტანდარტებთან დააახლოებს და ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტს გააადგილებს. მოსალოდნელია, რომ დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გაზრდის საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტს 12%-ით და ევრო-

## **ნათებ დაღელიშვილი**

კავშირიდან იმპორტს – 7.5%-ით. პროგნოზირებულია, რომ ამ სივრცის წყალობით მშპ ყოველწლიურად 4.3%-ით გაიზრდება – 292 მლნ ევრო ქვეყნის შემოსავლის სახით [3, გვ. 250]. იმ პირობით, თუ რეფორმები წარმატებით განხორციელდება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ევროკავშირი დაეხმარება საქართველოს და მის ეკონომიკურ აგენტებს რეფორმების შემუშავება-განხორციელებაში, გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებული მაჩვენებელი რეალობასთან ახლოსაა. მართალია, 2012 წელს საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში შევერხება აღინიშნა და ეს სხვადასხვა ბიზნესმა ნამდვილად იგრძნო, მაგრამ მსოფლიო ბანკის პროგნოზებით, ეს დროებითი ვარდნა იყო და მომდევნო წლებში საქართველოს ეკონომიკა ისევ დაიწყებს ზრდას და მოსალოდნელია, რომ 2014 და 2015 წლებში მშპ-ის ზრდა 6.3%-ის ტოლი იქნება, ხოლო 2016 წელს – 6.5%-ს გაუტოლდება. ყოველივე ეს კი ხდეს შეუწყობს ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის პროცესს.

### **ასოცირების შეთანხმების მოსალოდნელი შედეგები**

უფრო სიღრმისეულად თუ განვიხილავთ, ასოცირების შესახებ შეთანხმების გაფორმება ხდეს შეუწყობს:

- ეკონომიკური რეფორმების პროცესს და ქმედითი, ფუნქციონირებადი და ეფექტური საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, ექსპერტული მოსაზრებები და დანერგონ საუკეთესო პრაქტიკა ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო ფინანსები, ფინანსური, მონეტარული და სავალუტო სექტორის პოლიტიკა და ეკონომიკური სტატისტიკა.

- სახელმწიფო სექტორის შიდა ფინანსური კონტროლისა და გარე აუდიტის განვითარებას. კერძოდ, ერთობლივი პროგრამების შექმნის, ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის, ასევე, პერსონალის გაცვლისა და ტრეინინგის გზით მოხდება ფუნქციონალურად დამოუკიდებელი შიდა აუდიტის მექანიზმის შემუშავება და განვითარება.

- საგადასახადო სფეროში ეფექტუანი მმართველობის გაძლიერებას, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავების, ვაჭრობის განვითარებისა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

- ეროვნული სტატისტიკის სისტემის შესაძლებლობების განვითარებას დროული, საერთაშორისო დონეზე შედარებადი და საიმედო სტატისტიკური მონაცემების უზრუნველყოფის გზით.

- ევროკავშირთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომ-

ლობის განვითარებას, ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვას, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვას.

• საქართველოს ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებას, მათ შორის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოვებას და თანამშრომლობის განვითარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მოძიება, მოპოვება და ტრანზიტი, განახლებადი ენერგია და ენერგოუზებტიანობა. ასევე, შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შესაძლებლობას.

• გარემოს დაცვის სფეროში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, რაც მიზნად ისახავს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, დაცვას, გაუმჯობესებასა და რეაბილიტაციას. მხარეები ვალდებულებას იღებენ, შეიმუშაონ ბუნების დაცვის ერთობლივი პროგრამები, უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და დაიცვან გარემო საწარმოო დაბინძურებისაგან. საკანონმდებლო დაახლოვება განხორციელდება გარემოს დაცვის ისეთ სექტორებში, როგორიცაა: ჰაერისა და წყლის ხარისხი, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და გარემოს სტრატეგიული შეფასება.

• კლიმატური ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ მხრივ, საქართველო და ევროკავშირი განავითარებენ ნახშირბადის დაბალი შემცველობის ტექნოლოგიებს და ხელს შეუწყობენ მათ გამოყენებასა და გავრცელებას.

• მრეწველობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას, რაც გულისხმობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. შესაბამისად, ევროკავშირის ბაზარზე სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ზრდას და ამ ბაზარზე ქართული სამრეწველო პროდუქციის დამკვიდრებას; კორპორაციული სამართალის, საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტის და კორპორაციული მმართველობის სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ბრუნვისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ზრდას.

• ფინანსური მომსახურების, საბანკო და სადაზღვევო სფეროებში თანამშრომლობის განვითარებას, რაც გულისხმობს ლია საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ფინანსური მომსახურების რეგულაციის შემუშავებას, ინვესტორების ეფექტიან და ადექვატურ დაცვას და დამოუკიდებელი და ეფექტიანი

## ნათია დაღებულიშვილი

---

ზედამხედველობის მექანიზმის შექმნას.

• ლექტორონული კომუნიკაციების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, ეროვნული მარეგულირებლის დამუჯიდებლობისა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ამასთან, შეთანხმება ასევე ითვალისწინებს, ელექტრონული კომუნიკაციების სექტორში პროდუქტისა და მომსახურების ბაზრების განსაზღვრას, გადაწყვეტილებების გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შექმნას და პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და კონფიდენციალურობის უფლების უზრუნველყოფას.

• ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. დაგეგმილი დონისძიებები მიზნად ისახავს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის ზრდასა და ტურისტული ნაკადის მატებას.

• სოფლის მეურნეობის სფეროში ევროპული სტანდარტებისა და ნორმების ეტაპობრივ დანერგვას. ასევე, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარებას; სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ევროპაშირის რეგულაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად დაგეგმვას, შეფასებასა და იმპლემენტაციას. ამასთან, მოხდება წარმოების მოდერნიზაცია და სოფლის მეურნეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

• მეთევზეობის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, არსებული რესურსების კონსერვაციის, სწორი მართვის, კონტროლის, მონაცემთა შეგროვების და უკანონო თევზჭერის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ასევე, მხარეები ხელს შეუწყობენ შავი ზღვის რეგიონალურ თანამშრომლობასა და თევზჭერის შესაბამის რეგიონალურ ორგანიზაციებთან ურთიერთობებს.

• თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო კვლევებისა და ტექნოლოგიების სფეროში. მხარეები ვალდებულებების იდებენ, განახორციელონ ინტელექტუალური საკუთრების უფლების სათანადო და ეფექტუანი დაცვა, შექმნან ერთობლივი კვლევითი პროგრამები, ჩატარონ ტრენინგები და გაცვლითი პროგრამები მეცნიერების, მკვლევარებისა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი პერსონალისათვის.

• მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რაც გულისხმობს: შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწას და ევროპავშირის შესაბამისი სტანდარტების დანერგვას, საქართველოსა და ეგროკავშირის მომხმარებელთა უფლებების დამცველ დამოუკიდებელ ასოციაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებას, ინფორმაციისა და გამოცდილების ურთიერთობაცვლას; დასაქმების, სოციალური დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას. საქართველო მოახდენს ეტა-

პოპრივ საკანონმდებლო დაახლოვებას ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად. ამ მიზნით, შემუშავდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი დასაქმების პოლიტიკა, სამუშაო უსაფრთხოების ნორმები და ანტიდისკრიმინაციული და სოციალური დაცვის მექანიზმები. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სოციალური ჩართულობა და გენდერული თანასწორობა.

- ჯანდაცვის სისტემის მოდერნიზებას და ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას. კერძოდ, ჯანდაცვის სფეროში რეფორმების გაგრძელებას, ერთობლივი პროგრამების შექმნასა და მაღალი ხარისხის ჯანდაცვის უზრუნველყოფას. საკანონმდებლო დაახლოვება მოხდება ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ადამიანური რესურსების განვითარება, მმართველობისა და დაფინანსების სრულყოფა, ეპიდემიოლოგიური დაკვირვება და გადამდებ დაავადებათა კონტროლი, საგანგებო სიტუაციების მიმართ მზაობა, ხელოვნურ ნივთიერებათა ხარისხი და უსაფრთხოება და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია და კონტროლი.

- განათლების ხარისხის ამაღლებას და ამ მიზნით, საკანონმდებლო ჰარმონიზაციას, კვალიფიკაციებისა და კომპეტენციების ერთიანი ჩარჩოს შექმნას და საგანმანათლებლო კრედიტების (ქულების) ევროპული სისტემის შემოღებას.

- კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც გულისხმობს კულტურის პოლიტიკის შესახებ დიალოგის წარმოებას, კულტურული მრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას, ხელოვნებისა და ხელოვანთა მობილურობის მხარდაჭერას, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადოდ დაცვას, ქვეყნის სიცოცხლის უნარიანი განვითარების უზრუნველსაყოფად.

- აუდიოვიზუალურ და მედიის სფეროებში ევროპული სტანდარტების ეტაპობრივ დანერგვას, მედიის დამოუკიდებლობის ზრდას, პროფესიონალთა ტრენინგებს, მხარეებს შორის ინფორმაციის რეგულარულ გაცვლასა და კინოსა და ტელევიზიის სფეროებში თანაწარმოებების წახალისებას.

- სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების გაზიარებასა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ამ მიზნის განსახორციელებლად, მხარეები ხელს შეუწყობენ ჯანსაღი ცხოველების წესის დამკვიდრებას, სპორტის სოციალური და საგანმანათლებლო ფასეულობების განვითარებასა და სპორტსმენთა მობილურობას. ასევე, მიიღებენ პრევენციულ ზომებს დოპინგის გამოყენების, სპორტში რასიზმისა და ძალადობის გავრცელების წინააღმდეგ.

• ევროკავშირისა და საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგისა და თანამშრომლობის გადრმავებას; მხარეები ვალდებულებას იღებენ სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის და, გამჭირვალე და რეგულარული დიალოგის გზით უზრუნველყონ მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეობა.

• ქმედითი და ეფექტიანი რეგიონალური განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას რეგიონალური განვითარების პროცესში ჩართულ ყველა მხარეს შორის პარტნიორობის კონსოლიდაციისა და თვითმმართველობების გაძლიერების გზით. ასევე, მხარეები შეიმუშავებენ რეგიონალური განვითარების ერთობლივ პროგრამებს.

• ბუნებრივი და სელენური კატასტროფების მართვის სფეროში თანამშრომლობის გადრმავებას. მხარეები ვალდებულებას იღებენ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში უზრუნველყონ კოორდინირებული დახმარება. ასევე, მოახდინონ ინფორმაციის რეგულარული გაცვლა, მათ შორის, საგანგებო სიტუაციების დროს მესამე ქვეყნისათვის გაწეული დახმარებების შესახებ.

• საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პროგრამებსა და საგენტოებში, რაც ევროკავშირთან დარგობრივი თანამშრომლობის გადრმავების ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ევროკავშირის პროგრამებში მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას რეფორმების განხორციელების პროცესში. ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვებასა და სხვადასხვა სექტორში საუკეთესო ეპროცესი გამოცდილების გაზიარებას.

\* \* \*

ასოცირების შეთანხმებით გაწერილი ევროკავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიკური დაახლოების პროცესი რეგულირდება ასოცირების დღის წესრიგის მეშვეობით, რაც წარმოადგენს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას. ამჟამად, მხარეთა შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ასოცირების დღის წესრიგის შეთანხმების მიზნით.

## ლიტერატურის სია

1. ხადური ნ., ბუში კ., ვუახლოვდებით ევროპას? ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ეკონომიკური პრობლემების კვლევის ცენტრი. თბილისი, 2010, გვ. 5-142;
2. აღმოსავლეთის პარტნიორობა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი (წI შდ), თბილისი, 2011, გვ. 192;
3. Trade Sustainability Impact Assessment in support of negotiations of a DCFTA between the EU and Georgia and the Republic of Moldova. CASE, ECORYS. Rotterdam, 2012, p. 250;
4. Partnership and Cooperation Agreement between the European Communities and their Member States. Europaen Commission. Brussels 1999.
5. Emerson M., Noutcheva G., Popescu N., European Neighbourhood Policy Two Years on: Time Indeed for an ‘ENP plus’. CEPS Policy brief. NO.126. 2007;
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
7. EU-Georgia Association Agreement, [http://eeas.europa.eu/georgia/assoaagreement/assoaagreement-2013\\_en.htm](http://eeas.europa.eu/georgia/assoaagreement/assoaagreement-2013_en.htm)
8. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში - [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm)
9. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე საქართველოსა და ევროკავშირს შორის, საკითხაზი მასალა, [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap\\_aa/dcfta\\_guide\\_2014\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/dcfta_guide_2014_ka.pdf)
10. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სიტყვარი - [http://www.enpi-info.eu/main.php?id=403&id\\_type=2](http://www.enpi-info.eu/main.php?id=403&id_type=2)
11. ვროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარარტი <http://www.ei-lat.ge/vin-vin-aris/saqarth-velos-da-evrokavshiris-urthierthobebis-qronologja.html?lang=ka-GE&start=16>
12. Eastern Partnership Civil Society Forum - Georgian National Platform - <http://eapnationalplatform.ge/>

## **Future Prospects of Georgia in the Context of the Association Agreement**

**N. Daghelishvili**

The Association Agreement (AA) aims to deepen political and economic relations between Georgia and the EU. This includes the setting up of a Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA), which is a core part of the Agreement.

The Association Agreement is expected to bring many benefits to Georgia by giving firms access to the world's largest market. This will create business opportunities, bring better goods and services, and boost competitiveness. The EU will work with the Georgian Government and businesses to achieve reform, and help upgrade goods and industries to the necessary standards. As a result, the European importers will save €10.8million on duty reductions whereas the Georgian importers will have an extra €84.2 million of saved customs duties annually.

**Keywords:** The European Union, Georgia, a multilateral agreement, bilateral agreement, association, strengths and weaknesses.

**JEL Classification:** D70, D71, D72.



## გიორგი ღალაძე ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის პროფესორი

აღნიშნული სტატია წარმოადგენს ავტორის კვლევის ობიექტს უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, რა განაპირობებს კონკურენტულნარიანობას, როგორ შეიძლება ამ ფაქტორების შესწავლა და მათზე ზემოქმედების მექანიზმების აღწერა. რესურსები, როგორც კონკურენტულნარიანობის წყარო, დიდი ხანია განიხილება მეცნიერულ პუბლიკაციებში. რამდენად შესაძლებელია სხვა კუთხიდან შევხედოთ რესურსებს და გავიაზროთ მასზე კონკურენტულნარიანობის დაფუძნების საკითხი – სწორედ ასეთ ხედვას წარმოადგენს რესურსული პირამიდის ცნება. რესურსი, როგორც კონკურენტულნარიანობის წყარო, განიხილება ორგანიზაციის ხედვიდან გამომდინარე. ასევე, ძალიან საინტერესოა კონკურენტულნარიანობის ისეთი ასპექტის კვლევა, როგორიცაა საკანონმდებლო ბაზა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა საგაჭრო რეჟიმების გამოყენება საერთაშორისო ვაჭრობაში კონკურენტული უპირატესობის მისაღებად.

**საკვანძო სიტყვები:** კონკურენტულნარიანობა, რესურსების კლასიფიკაცია, რესურსული პირამიდა, საგაჭრო რეჟიმები, ორგანიზაციის ხედვა კონკურენტულნარიანობის მიღწევაში.

**რესურსებისა და კონკურენტული უპირატესობის ურთიერთობის მიზანისას**

კონკურენტული უპირატესობის კვლევა ყოველთვის წარმოადგენდა იმ ტიპის კვლევას, რომელშიც თეორიული და პრაქტიკული ასპექტები უაღრესად გადაჯაჭვულია ერთმანეთზე. ცხადია, კონკურენტული უპირატესობის წყაროების გამოკვლევა საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს მიაღწიონ კონკურენტულ უპირატესობას კონკრეტულ ბაზარზე. საკითხის უაღრესად მაღალი პრაქტიკული ფასეულობა წარმოადგენდა კვლევების სტიმულირების წყაროს. სტრატეგიული მენეჯმენტი გარკვეული ზომით დაეყრდნო საერთაშორისო ვაჭრობაში აღიარებულ აბსოლუტური და ფარდობითი უპირატე-

## გირეგი დადანიძე

სობის თეორიულ პოსტულატებს. ცხადია, ეს მიღომა თავი-დანვე წარმოადგენდა რესურსებზე ორიენტირებულ მიღომას და სწორედ რესურსები აღიქმებოდა, როგორც კონკურენტული უპირატესობის მიღწევის მთავარი წყარო და ინსტრუმენტი. ამ მოსაზრებას თანამედროვე პირობებშიც ყავს უამრავი მხ-არდამჭერი, კერძოდ ბევრი აგზორი კონკურენტულ უპირატე-სობას განსაზღვრავს რესურსების საფუძველზე. ვინაიდან არ არსებობს ორი კომპანია, რომლებსაც აქვთ აბსოლუტუ-რად იღენტური რესურსები, სწორედ რესურსები განაპირობებს ეკონომიკური რენტის შექმნის შესაძლებლობას. რესურსების შეზღუდულობა, იმიტორების შეუძლებლობა, მათი ფასეულო-ბა წარმოადგენს კონკურენტული უპირატესობის ფორმირების საფუძველს [1]. ცხადია, ამ განსაზღვრებაში ძალიან ბევრი რამ არის რაციონალური. ამდენად არ დააყოვნა ამ მიმართულებით კვლევების განხორციელებამ და ძალიან ბევრი საინტერესო და ახალი მიგნება გამოაშვარავდა.

პირველ რიგში, ავტორებმა დაიწყეს რესურსების კლა-სიფიკაცია. შემცნების ნებისმიერ თეორიაში კლასიფიცირება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს. კლასიფიკაცია საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ სხვადასხვა ხასიათის რესურსები, შევისწავლოთ რესურსების გამოყენებისა და მათი ფორმირების საკითხები. ცხადია, ეს მიზნად ისახავდა განსაზ-ღვრულიყო ამა თუ იმ რესურსის გამოყენების კონკრეტული მექანიზმები. ორგანიზაციის რესურსები შესაძლებელია გან-ვიხილოთ, როგორც მისი ფინანსური, ფიზიკური, ადამიანური და ორგანიზაციული აქტივები, რომელიც გამოიყენება პროდუქ-ციისა ან მომსახურეობის შესაქმნელად და მომხმარებლებზე მისაწოდებლად. ფინანსური რესურსები მოიცავს ორგანიზა-ციის კაპიტალს, აქტივებს, ვალდებულებებს და ა.შ. ფიზიკური რესურსები მოიცავს მანქანა-დანადგარებს, საწარმოო სიმ-ძლავებს, შენობებს, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს თა-ვის ოპერაციებში. ადამიანური რესურსები მოიცავს ყველა-ნაირ გამოცდილებას, ცოდნას, დასკვნების გამოტანის შესაძლე-ბლობასა და ყველაფერს სხვას რაც უკავშირდება ადამიანებს. ორგანიზაციული რესურსები კი მოიცავს ფირმის ისტორიას, ურთიერთობებს, ნდობას და რასაკვირველია ორგანიზაციულ კულტურას, რომელსაც ატრებენ თრგანიზაციის წევრები. ასევე აქ შედის ორგანიზაციის კონტროლისა და ანგარიშგების სის-ტემები, საკომპენსაციო პრლიტიკა.

ცხადია, გარდა ამ ზოგადი კლასიფიკაციისა, აუცილე-ბელი იყო ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც განსაზღვრავს რესურსების მონაწილეობას კონკურენტული პოზიციების

ფორმირებაში. თავიდანვე დიდი ყურადღება ეთმობოდა რესურსების იმიტირების შესაძლებლობებს. სწორედ ამის საფუძველზე განისაზღვრა კ.წ. ფიზიკური (tangible) და არაფიზიკური (intangible) რესურსები. ფიზიკურ რესურსებს მიეკუთვნება მიწა, წყალი, ნედლეული და ა.შ. არაფიზიკურ რესურსებს მიეკუთვნება სავაჭრო მარკა, ტექნოლოგია, კომპანიის იმიჯი და ა.შ. ცხადია, თავიდანვე მოხდა ამ ორი ტიპის რესურსების შედარება ისეთი პარამეტრების მეშვეობით, როგორიცაა იმიტაცია, შეზღუდულობა და ა.შ. ავტორთა უმრავლესობა შეთანხმდა, რომ არაფიზიკური რესურსების იმიტაცია ან შეცვლა უფრო რთულია, ვიდრე ფიზიკური რესურსების. ამდენად კონკურენტული უპირატესობა აგებული არაფიზიკურ რესურსებზე უფრო მდგრადია, შესაბამისად ორგანიზაციებისათვის, რომლებიც კონკურენტულ უპირატესობას სწორედ ასე აგებდნენ, კონკურენტული უპირატესობა საკმაოდ მდგრადია და მათ კონკურენტებს უხენს სერიოზულ პრობლემებს. ცნობილი ბრენდების კონკურენტული უპირატესობა ეფუძნება არა მათ მიერ გამოყენებულ ნედლეულს ან ტექნოლოგიას, არამედ ბრენდის იმიჯს. ცხადია, მკვლევართა დიდი ნაწილი თავიდანვე მიუთითებდა იმ მნიშვნელოვან საკითხზე, რომ რესურსი არ შეიძლება განვიხილოთ ვაკუუმში. რესურსი ყოველთვის განიხილება გარკვეული მიმართებით, ერთი მხრივ, დარგის (საბაზრო) სტრუქტურასთან, ხოლო მეორე მხრივ, კონკურენტებთან. ფირმის რესურსები არაა ღირებული ვაკუუმში, ის ღირებულია, როცა მას შეუძლია გარკვეული შესაძლებლობების გამოყენება ან გარკვეული საფრთხეების ნეიტრალიზება. პორტერის და მისი თანაგუნდელების მიერ შედგენილი მოდელები შეიძლება გამოვიყენოთ, რათა მოხდეს პოტენციური შესაძლებლობების და საფრთხეების გამოყოფა, სადაც ფირმის ხელო არსებული რესურსები ან ახდენენ შესაძლებლობის გამოყენებას ან საფრთხის შემცირებას [2].

ძალიან საინტერესოა, რომ ეს მიღგომა თავიდანვე ერთმანეთისაგან მიჯნავს რესურსს ზოგადად და რესურსს კონკრეტულად. განვიხილოთ ასეთი მაგალითი: წყალი როგორც სპეციფიკური რესურსი, მნიშვნელოვანია ყველა იმ ბიზნესისათვის, რომელიც სითხის ჩამოსხმას უკავშირდება (მოიაზრება ყველა გამაგრილებელი სასმელი, დაბალ- ალკოჰოლური სასმელები და ა.შ.). ამ შემთხვევაში წყალი წარმოადგენს რესურსს, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობას. განვიხილოთ დვინის წარმოება, სადაც წყალი საჭიროა ზოგადად და არა როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, აქ ვითარება მთლიანად

## მორჩი და ლანგი

იცვლება და ცხადია, წყალი ვერ უზრუნველყოფს, თუნდაც რაიმე ტიპის კონკურენტულ უპირატესობას დვინისათვის. ასეთი მაგალითები შეგვიძლია უსასრულოდ მოვიყვანოთ, აქედან გამომდინარე რესურსი განხილული უნდა იქნეს კონკრეტულ საბაზრო ვითარებასთან მიმართებით. ასევე შეგვიძლია განვიხილოთ იაფი, კვალიფიციური მუშა-ხელის საკითხები. ცხადია ეს რესურსი მნიშვნელოვანია, მაგრამ რომელ სფეროზე ბში? იმ დარგებისათვის, რომლებიც ამზადებენ, ტექნოლოგიურად მარტივ ყოველდღიური მოხმარების საქონელს, ცხადია, ეს რესურსი წარმოადგენს უმნიშვნელოვანებს, რათა მიღწეული იქნას დანახარჯებში ლიდერობის პოზიცია. ნებისმიერი ახალი კონკურენტი, რომლებიც შეეცდება ამ სფეროში შემოვიდეს, იძულებული იქნება მოიძიოს წარმოების ყველაზე დაბალი დანახარჯებით წარმართვის შესაძლებლობები. აქედან, გამომდინარე ეს რესურსი ასეთი ტიპის პროდუქციის წარმოებისათვის აუცილებელია. განვიხილოთ, ისეთი პროდუქციის წარმოება, სადაც ძალიან მნიშვნელოვანია ხარისხობრივი პარამეტრები, მომხმარებელთა განსაკუთრებული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევაში იაფი სამუშაო ძალა აღარ წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს, რადგანაც ის ვერ უზრუნველყოფს კონკურენტული პროდუქციის წარმოებას. საბოლოო ანგარიშით მივდივართ, იმ მარტივ დასკვნამდე, რომ რესურსის ფასეულობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ორგანიზაციის მიდგომით ან თუნდაც ხედვით. თავისთავად არსებული რესურსი არ წარმოადგენს ფასეულობას, ფასეულია ის, თუ როგორ ხედავს ორგანიზაცია ამ რესურსიდან გარკვეული საქონლის ან მომსახურების შექმნას. თავისთავად არსებობს რესურსი, რომელსაც ერთი ორგანიზაცია იყენებს, ხოლო, მეორე ვერ ან არ იყენებს. ამდენად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ის პირობები, რომლებიც ახდენენ რესურსზე დაფუძნებული კონკურენტული უპირატესობის ფორმირებას.


განვიხილოთ ისეთი რესურსი, როგორიცაა იაფი სამუშაო ძალა. ეს რესურსი ყველასათვის ხელმისაწვდომია, თუ იქმნება იმ ტიპის პროდუქტი ან მომსახურება, სადაც ძალიან მაღალია ხელით შრომის წილი. შესაბამისად, საჭიროა გარკვეული ორგანიზაციული მიდგომების გამოყენება, რომ ეს რესურსი ვაქციოთ კონკურენტული უპირატესობის წყაროდ. წარმოვიდგინოთ იგივე რესურსი, მაგრამ უკვე გაცილებით უფრო მაღალგენერაციული პროდუქციის ან მომსახურების წარმოებაში. ცხადია, რომ მუშა ხელის წილი საერთო დანახარჯებში იქნება მცირე, ამდენად კონკურენტული უპირატესობის მიღწევისათვის აუცილებელია პროდუქციის ან მომსახურების ძალიან დიდი ოდენობით წარმოება და მიწოდება. ეს კი უპვე

შესაძლებელი იქნება, თუ ორგანიზაციას გააჩნია შესაბამისი ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსები. ასევე აუცილებელია, პროდუქციის სირთულის ხარისხის ზრდასთან ერთად ტექნოლოგიური პროცესების მართვის შესაძლებლობების არსებობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იაფი მუშა ხელის ქვეშ ყველგან მოიაზრება მუშა ხელის ფასი დათვლილი გამოშვებული ერთეულის მიმართ.

ცალკე უნდა განვიხილოთ, რესურსი რომელიც არსებობს ორგანიზაციის ხედვიდან გამომდინარე. ორგანიზაცია მიზნად ისახავს მომხმარებელს მიაწოდოს ყველაზე მაღალი ხარისხობრივი პარამეტრების მქონე პროდუქცია, აქედან გამომდინარე ის პოულობს ყველაზე მაღალი ხარისხის მომწოდებლებს, ორგანიზაციაში ნერგავს ხარსისხის კონტროლის ყველაზე მოწინავე სისტემებს, ახდენს პროდუქციის ან მომსახურების დაყვანას მომხმარებლებზე მათოვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი მეთოდების გამოყენებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ეს კომპონენტი (ყველაზე მაღალი ხარისხის მქონე მომწოდებლები, ხარისხის კონტროლის ყველაზე მოწინავე სისტემები და ა.შ.) დამოუკიდებლად არსებობს, როგორც რესურსები. თუმცა კონკურენტული უპირატესობის წყაროდ ისინი ხდებიან, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ორგანიზაცია იღებს გადაწყვეტილებას მოახდინოს ამ რესურსებზე დაფუძნებით კონკურენტული უპირატესობის მიღწევა. ასევე უნდა განვიხილოთ ის აუცილებელი მომენტი, რომელიც უკავშირდება არსებული რესურსის კონკურენტული უპირატესობის წყაროდ გარდაქმნის პროცესს. შესაძლებელია, ორგანიზაციამ მოახდინოს ყველა ელემენტის შექრწყმა, მაგრამ ვერ მიიღოს კონკურენტული უპირატესობა, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს ტექნოლოგიურ ან მომხმარებელთა მიერ პროდუქციის ან მომსახურების აღქმის საკითხებს.

შესაბამისად ვიღებთ, რესურსულ პირამიდას. უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რესურსული პირამიდა აჩვენებს, მხოლოდ პოტენციალს და არა უკვე წარმოქმნილ საბაზრო კონკურენტულ უპირატესობას.

#### რესურსული პირამიდა



## პირობი ღადანიძე

ცხადია, პირამიდის ფუძეში განლაგებულია ყველასათვის ხელმისაწვდომი რესურსები. ცნება - “ყველასათვის ხელმისაწვდომი”, ცხადია პირობითია, თუმცა იგი განსაზღვრავს ვითარებას, როცა რესურსი არსებობს და მისი ფლობა ან განკარგვა არ უკავშირდება დამატებით ბარიერებს.

შემდეგ დონეზე არსებობს რესურსები, რომლებიც მხოლოდ გარკვეული ტექნიკო-ტექნოლოგიური პირობების დადგომისას ხდება კონკურენტული უპირატესობის წყარო. ცხადია, თუ თქვენ აწარმოებთ საყოფაცხოვრებო ელექტრო ტექნიკას, აუცილებელია ძალიან დიდი მასშტაბები, რათა ამ ტიპის წარმოებამ მოიტანოს გარკვეული დადებითი შედეგები. უნდა არსებობდეს ძალიან დიდი ოდენობით საწყისი ფინასური კაპიტალი, რომლის ინვესტირება იძლევა შესაძლებლობას წარმოების მოცულობა იყოს ორიენტირებული მხოფლიო ბაზრის მოთხოვნებზე და მიღწეული იქნეს ფარდობითი ეკონომიკა პროდუქციის ერთეულზე.

პირამიდის წვეროში განლაგებულია რესურსები, რომლებიც დამოკიდებულია ორგანიზაციის ხედვაზე. მხოლოდ ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული პირობების შემთხვევაში ეს რესურსები შესაძლებელია გადაიქცეს კონკურენტული უპირატესობის წყაროდ.

რა პრაქტიკული გამოყენება შეიძლება პქონდეს რესურსულ პირამიდას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, რამდენიმე პირობის გათვალისწინება, კერძოდ: ა) ორგანიზაცია არის ლიდერი, მისი კონკურენტული უპირატესობა ნათელია; ბ) ორგანიზაცია აგებს დარგში კონკურენტულ ბრძოლას; გ) ორგანიზაცია ფიქრობს განახორციელოს ინვესტირება ახალ დარგში. განვიხილოთ, თითოეული ეს შემთხვევა ცალკელ.

ლიდერი ორგანიზაციისათვის რესურსული პირამიდა წარმოადგენს ორმაგი დანიშნულების ინსტრუმენტს. ერთი, ორგანიზაცია აფასებს, რამდენად შესაძლებელია იგივე რეზულტატების მიღწევა კონკურენტულ ბრძოლაში ახალი რესურსების ჩართვით. მეორე, ორგანიზაცია აფასებს, რა შეიძლება გამოიყენონ კონკურენტებმა მის წინააღმდეგ ახალი რესურსების ჩართვით და როგორი უნდა იყოს პასუხი. ახალი რესურსების ძიება კონკურენტული პოზიციების გამყარებისათვის წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს მდგრადი კონკურენტული უპირატესობის შექმნისათვის.

ორგანიზაციისათვის, რომელიც აგებს დარგში კონკურენ-

ტულ ბრძოლას, რესურსებით პირამიდა წარმოადგენს პოტენციურ შესაძლებლობას მოქებნოს კონკურენტისაგან განსხვავებული რესურსი, რომელზეც აიგება კონკურენტული უპირატესობა. ერთი და იმავე რესურსებით ოპერირების შემთხვევაში, რთულია კონკურენტული უპირატესობის მიღწევა. მაგ. ორ ორგანიზაციას პყავს ერთი და იგივე მომწოდებლები, რომელთა პროდუქციის რეალიზაციას ახდენენ შიგა ბაზარზე. რასაკირველია, შედეგი დამოკიდებული იქნება არა მომწოდებლებზე, არამედ სხვა ფაქტორებზე, მაგ. უფრო ხელსაყრელი მდებარეობა მომხმარებლებისათვის. ახალ მომწოდებლებზე გადასვლა ვერ იქნება მდგრადი კონკურენტული უპირატესობის წყარო, ვინაიდან იგივე შეიძლება გააკეთოს კონკურენტმა, ხოლო ექსპლუზიური მომწოდებლების პრაქტიკა, უკვე სრულიად ახალ ვითარებას ქმნის, სადაც უნდა შეიზღუდოს მომწოდებელთა რაოდენობა, ამავდროულად გაიზარდოს ერთი მომწოდებლიდან მიღებული პროდუქციის რაოდენობა და ასორტიმენტი.

ორგანიზაციისათვის, რომელიც ფიქრობს ახალ დარგში შესვლას, რესურსებით პირამიდა ასევე საქმაოდ კარგი ინსტრუმენტი იქნება შეფასებისათვის. კერძოდ, ორგანიზაციამ უნდა შეაფასოს უკვე არსებული მოთამაშეების მიერ გამოყენებული რესურსები, ასევე მის ხელით არსებული რესურსების ახალ დარგში გამოყენების შესაძლებლობა, ან მიიღოს გადაწყვეტილება დარგში ახალი რესურსების გამოყენებაზე. ცხადია, რესურსებით პირამიდა ქმედითი ინსტრუმენტი იქნება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოყენება კარგადაა შერწყმული დარგის ანალიზის მოდელებითან. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ხდება კონკურენტული უპირატესობის წყაროს განსაზღვრის რესურსებით და დარგობრივი მიღებობის კომპლექსური გამოყენება, რაც აადვილებს დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის შესაძლებლობას.

### საგაჭრო რეჟიმები – კონკურენტული უპირატესობის მიღწევის რეალური იარაღი

გლობალიზაციის პროცესმა სრულებით ახლებურად წარმოაჩინა ორგანიზაციების ინტერნაციონალიზაციის საკითხები. ასევე სრულიად ახლებურად უნდა იქნას განხილული კონკურენტუნარიანობის საკითხები. ამ მიმართულებით კვლევების წარმოებისას საინტერესო მიგნებას წარმოადგენდა ეწ. უპსალას მოდელი [3].

## მორჩილი დაზანიძე

ამ მოდელის მიხედვით ორგანიზაციები იწყებენ აქტიურ მოქმედებას შიგა ბაზრებზე, იღებენ გამოცდილებას, აღწევენ გარკვეულ ეკონომიას მასშტაბებზე და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ აქტიურად საექსპორტო ოპერაციებს. ცხადია, ამ მოდელის აყვალისწინებდნენ არსებულ რეალობას, სხვადასხვა ორგანიზაციის გამოცდილებას და ამის საფუძველზე აყალიბდნენ ამ მიღგომებს. XX საუკუნის 70-იან წლებში ძალიან ძლიერი იყო შიგა ბაზრის დაცვის თეორიები, ცხადია, ამ თეორიების მიხედვით დაცული შიგა ბაზარი წარმოადგენდა იმ მოედანს, რომელზეც ორგანიზაციები იძენდნენ გამოცდილებას და მხოლოდ ამის შემდეგ ახდენდნენ საგარეო ბაზრებზე ინტერნაციონალიზაციას. ამ მოდელს ძალიან ხშირად იყენებდნენ პოლიტიკური მიზნებისათვის, რადგანაც ის წარმოადგენდა კარგ დასაბუთებას შიგა ბაზრის “დაცულობის” იდეების რეალიზაციისათვის. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპმა მთლიანად შეცვალა ამ მიღგომების რეალისტურობა. წარმოშვა რამდენიმე პრაქტიკული პრობლემა, კერძოდ, მოხდა ლიბერალიზაციის იდეების ფართო გავრცელება, შიგა ბაზრების შეზღუდულობამ გამორიცხა მხოლოდ ასეთი ბაზრისათვის კონკურენტული პროდუქციის წარმოების შესაძლებლობები.

ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო აქტიურად განიხილება კანონმდებლობის, როგორც კონკურენტული უპირატესობის წყაროს საკითხი. ძალიან საინტერესოა ამ საკითხზე გამოთქმული მოსაზრებები, რომ კანონმდებლობა განიხილება ორგანიზაციის წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორად. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა უნდა განვიხილოთ, როგორც ბიზნესის რეაქტიული ფაქტორი, რომელიც ჩართულია სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში [4].

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ამ მიღგომას განვავრცობთ სახელმწიფო პოლიტიკაზე, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მქონე ორგანიზაციების ფორმირებას. ამ შემთხვევაში, ალბათ, ძალიან საინტერესოა საქართველოდან რეექსპორტის განხორციელების შესაძლებლობები და მათი მხარდამჭერი საკანონმდებლო ინიციატივები.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა განიხილებოდა, როგორც საქართველოს ბუნებრივი უპირატესობა და პირველ რიგში უურადება ექცევლა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უპირატესობა რეალურად რეალიზებულია მომსახურების ექსპორტში,

სადაც წამყვანი ადგილი უკავია სატრანსპორტო მომსახურების ექსპორტს. რამდენად შესაძლებელია გეოპოლიტიკური მდებარეობის გამოყენება, ასევე სხვა საქონლის ექსპორტის ზრდისათვის. გეო-პოლიტიკური მდებარეობა პირველ რიგში მიანიჭებს რეექსპორტის ზრდის შესაძლებლობაზე. ზოგადად რეექსპორტი შესაძლებელია მომგებიანად განხორციელდეს მხოლოდ გარკვეული პირობების არსებობისას. ცხადია, რეექსპორტი შესაძლებელია მომგებიანი იქოს თუ არსებობს შემდეგი პირობები: а) რეექსპორტი პირდაპირ ექსპორტზე უფრო იაფია; б) რეექსპორტის განმახორციელებელი ქვეყანა იყენებს თავის მდებარეობას და ახდენს ამ საქმიანობაში ჩართული კომპანიების წახალისებას; გ) რეექსპორტის ქვეყანა ქმნის რეექსპორტთან დაკავშირებული სპეციფიური ოპერაციების განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში ჩატარების შესაძლებლობას. გარდა ამისა, აუცილებელია ხელშემწყობი ბუნებრივი პირობების არსებობა. ასეთ პირობად შეიძლება ჩაითვალოს რეექსპორტის განმახორციელებელი ქვეყნის მდებარეობა საქონლის მოძრაობის უმოკლეს სატრანსპორტო გზაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მოცულობის შიგა ბაზრის მქონე ქვეყნები ხშირად მიმართავენ რეექსპორტის პრაქტიკას. ამ შემთხვევაში ხდება რეექსპორტის წახალისება, რათა შეიქმნას მდგრადი სამუშაო ადგილები. საქართველოს ხელისუფლება ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადაგმას შეუდგა 2010 წლიდან. საქართველოს გეო-პოლიტიკური მდებარეობითან გამომდინარე, პირველ რიგში, ყურადღება მიექცა მეორადი მსუბუქი ავტომობილების მოძრაობა ხდება დასავლეთიდან (აშშ, ევროპა) აღმოსავლეთისაკენ. ამ შემთხვევაში საქართველო ობიექტურად წარმოადგენს შეა აზიის და საქართველოს სახმელეთო მეზობელი სახელმწიფოებისათვის (სომხეთი, აზერბაიჯანი) საუკეთესო ადგილს მეორადი ავტომობილების აკუმულირებისათვის. რა ნაბიჯები უნდა გადაედგა სახელმწიფოს, რათა ხელი შეეწყო რეექსპორტის ოპერაციების სტიმულირებისათვის? ცხადია, პირველ რიგში უნდა განსაზღვრულიყო რა სპეციფიკური ზომებია მისაღები რეექსპორტის ამ კონკრეტული მიმართულების გასააქტიურებლად. ქართულ კომპანიებს უნდა ჰქონოდათ საქმაოდ კარგი შესაძლებლობები მანევრირებისათვის. ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანი იყო განბაჟების 45 დღიანი ვადის გახანგრძლივება. ამ მიზნით საქართველოს ფინანსთა მინისტრმა 2010 წლის 31 დეკემბერს გამოსცა ბრძანება 993, რითაც მოხდა 90 დღიანი

## გიორგი ლალაშვილი

ვადის განსაზღვრა. ასევე აუცილებელი იყო რე-ექსპორტის ოპერაციების გაწევის დანახარჯების შემცირება. ამ მიზნით მოხდა რე-ექსპორტის ოპერაციებიდან მიღებული მოგების გადასახადებისაგან განთავისუფლება. ამ ეტაპზე საქართველოს საგადასახადო კოდექსი ადგენს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსს (მუხლი 24’), რაც ანთავისუფლებს რე-ექსპორტის ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას, მოგების გადასახადიდან (მუხლი 99, 1 პუნქტი, “ქ” ქვეპუნქტი) [5]. ამდენად საკანონმდებლო გადაწყვეტილებებით შეიქმნა კონკურენტული უპირატესობის საფუძველი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ასეთი კონკურენტული უპირატესობა ვერ იქნება მდგრადი, რადგანაც სხვა სახელმწიფოებსაც შეუძლიათ შეცვალონ საკანონმდებლო რეგულაციები და ამდენად, კონკურენტული უპირატესობა იყარება. სწორედ ეს მოხდა სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევებში, როდესაც საკანონმდებლო ცვლილებების შემდგება არსებული კონკურენტული უპირატესობა დაიკარგა, რაც გამოიხატა რე-ექსპორტის მკვეთრ შემცირებაში. ეს რეალურად აჩვენებს თუ რამდენად მოწვლადია ასეთ საკანონმდებლო საკითხებზე დამოკიდებული კონკურენტული უპირატესობა.

უახლესი ისტორიის განხილვისას, რე-ექსპორტის ბიზნესის სწრაფი განვითარების ანალოგს წარმოადგენს არაბთა გაერთიანებული ემირატები (აგე), ქვეყნიდ კი დუბაიში მოქმედი თავისუფალი სავაჭრო ზონა. აღსანიშნავია, რომ აგე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანი საგარეო სავაჭრო პარტნიორი გახდა, და მასზე მოდის საქართველოს მთლიანი იმპორტის 2-3%. მიზნობრივი ბაზრების თავისებურებებიდან გამომდინარე, პრაქტიკულად რე-ექსპორტის ოპერაციების განვითარებისას საქართველომ კონკურენცია სწორედ დუბაის უნდა გაუწიოს. რეალისტური შეფასებით, ეს ნაკლებად განხორციელებადი პროექტია უახლოეს მომავალში. მნელი წარმოსადგენია, რომ საქართველოში შექმნილი სავაჭრო კომპანიები საბოლოო მომხმარებელს შესთავაზებენ უფრო ხელსაყრელ ფასებს, ვიდრე ეს ფასებია დუბაიში. ამდენად, უნდა ვითიქროთ მსუბუქი ავტომობილების მსგავსი მეორადი მოხმარების პროდუქციის რეალიზაციაზე. ანალოგიურ პარამეტრებს (მეორადი მოხმარების შესაძლებლობა, მეორადი მოხმარების პირობებშიც მაღალი ფასი) აკმაყოფილებს ავეჯი. ამდენად, მიზანშეწონილია შეფასდეს ამ მიმართულებით რე-ექსპორტის განვითარების შესაძლებლობები და გარკვეული პოტენციალის აღმოჩენის პირობებში, გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები. აქვე უნდა იქნას განხილული საქართველოში ავეჯის რესტავრაციისა და

აღდგენის შესაძლებლობები. გათვალისწინებული უნდა იქნეს ისიც, რომ ხის გარკვეული დეტალების აღგილზე წარმოება შესაძლებელია საკმაოდ კონკურენტული ფასებით აღგილობრივი ნედლეულის არსებობის პირობებში. ზოგადად ავეჯის ცალკეული დეტალების წარმოება შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდის მნიშვნელოვან მიმართულებად.

რა თქმა უნდა, რეექსპორტის განვითარება არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მეორადი მოხმარების საქონლის რეექსპორტით, ამ შემთხვევაში კომბინირებულად უნდა იქნას განხილული რეექსპორტის, სპეციალური სავაჭრო ზონების, ამწყობი საწარმოების და ზოგადად თავისუფალი ეკონომიკური ზონების კომბინირების საკითხები. საქართველოს რეალობაში მხარდაჭერა უნდა ქონდეს ყველა ამ მიმართულებას, ვინაიდან ცალკეულ სასაქონლო პოზიციებზე შესაძლებელია განსხვავებული პირობების გამოყენებით მოხდეს გარკვეული კონკურენტული უპირატესობების მიღწევა. საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას, როგორც კონკურენტულ ფაქტორს, უნდა დაემატოს რეგიონში შექმნილი უნიკალური პოლიტიკური ვითარება. თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს შემთხვევაში, საქართველოა ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც გააჩნია სრულფასოვანი ეკონომიკური კავშირები ყველა მეზობელთან. ეს უნიკალური მდგომარეობა შეიძლება გამოყენებული იქნეს და საქართველომ რეალურად შეასრულოს რეგიონული, არა მხოლოდ სატრანსპორტო პაბის, არამედ სავაჭრო პაბის ფუნქციაც. მიზანშეწონილია შეფასდეს ყველა შესაძლო პარტნიორის იმპორტის სტრუქტურა და განვითარების ტენდენციები და ამის საფუძველზე მოხდეს კონკრეტული მიმართულებების აქტივიზაცია. განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს იმ სასაქონლო პოზიციებს, სადაც მეზობელ სახელმწიფოებში მთავრობის ჩარევა შედარებით ნაკლებია და ამდენად შესაძლებელია მათ ბიზნეს წრეებთან პირდაპირი კონტაქტების გააქტიურება. რეექსპორტის განვითარება არ წარმოადგენს მხოლოდ რამოდენიმე საკანონმდებლო აქტის მიღებას, აუცილებელია კონკურენტული კლასტერების ფორმირება, სადაც ერთდროულად რეალიზებული იქნება სხვადასხვა უპირატესობა, რაც ხელს შეუწყობს რეექსპორტის განვითარებას. საკანონმდებლო თვალსაზრისით სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი იძლევა საერთო ფონს რეექსპორტის შემდგომი განვითარებისათვის. ამდენად, მიზანშეწონილია კონკრეტული ქვეყნების სპეციფიკის გათვალისწინებით

## მორიგი და ლანგი

მოვახდინოთ კონკურენტული კლასტერების ფორმირება და მათი განვითარების ხელშეწყობა.

ასევე, ცალკე უნდა განვიხილოთ ექსპორტის ხელშეწყობი საკანონმდებლო ინიციატივები. რასაკვირველია, ექსპორტის ხელშეწყობა უნდა განვიხილოთ საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო არეალის ფორმირების შესახებ ხელშეკრულების ფონზე. ცხადია, სწორედ ეს შეთანხმება განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას უახლოესი პერიოდისათვის. ცხადია, უახლოეს მომავალში ექსპორტის ზრდა ევროკავშირის ბაზარზე მოსალოდნელია ახალი საექსპორტო პროდუქტების ზრდის საშუალებით, რაც თავის მხრივ წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის შედეგს. ამდენად, მიზანშეწონილია ერთად განვიხილოთ ლონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხელს უწყობს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას და ასევე ახალისებს საექსპორტო პოტენციალის უფრო უკეთ რეალიზაციას. ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია განისაზღვროს, თუ რომელი გადაწყვეტილებები იქნება მიმართული საერთო ფონის შექმნაზე და რომელი დამატებითი და ამდენად სპეციფიკური. ვინაიდან ამ ეტაპზე შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს, თუ საქართველოს საექსპორტო პროდუქციის რომელი სასაქონლო ჯგუფები იქნება ყველაზე მაღალი საექსპორტო პოტენციალის მატარებელი, მიზანშეწონილია ფონზე გადაწყვეტილება იყოს ზოგადად ექსპორტიორთა წახალისება. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ექსპორტორიენტირებული კომპანიებისათვის მოგების რეგრესიული გადასახადის დაწესებით. მოგების რეგრესიული დაბეგვრის მექანიზმი სტიმულს აძლევს ექსპორტორიენტირებულ კომპანიებს პქონდეთ კიდევ უფრო მაღალი საექსპორტო მოცულობები. კონკრეტული საგადასახადო განაკვეთები და საგადასახადო ზღვრები შესაძლებელია განისაზღვროს ემპირიული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებას, აქ მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს შერჩევითი მიღეომა, ანუ განისაზღვროს დარგობრივი ან რეგიონული პრიორიტეტები და მათი გათვალისწინებით დაწესდეს დამატებითი შეღავათები. პრიორიტეტების განსაზღვრა, ცხადია, უნდა წარმოადგენდეს ერთიანი ეკონომიკური პლაიტიკის შემადგენელ ნაწილს. დღევანდელი ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სასოფლო ტიპის დასახლებებში სიღარიბის აღმოფხვრას. ამდენად, ლოგიკური იქნება პრიორიტეტების აგება რეგიონული

ჭრილით, ხოლო კონკრეტული შედაგათების მოცულობა უნდა განისაზღვროს გამომდინარე შექმნილი მდგრადი სამუშაო ადგილებიდან. ასეთი პაკეტი საკანონმდებლო შედაგათებისა შექმნის პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და მდგრადი სამუშაო ადგილების შექმნის დამატებით სტიმულებს. მიზანშეწონილია საქართველოში გატარდეს საერთო საკონონმდებლო ცვლილებები და არ განხორციელდეს, ცალკეულ ტერიტორიებზე სპეციალური გამოყოფილი ტერიტორიების შექმნა. მიზანშეწონილია მთელი საქართველო იქცეს საინვესტიციოდ უფრო მიმზიდველ ქვეყნად, ნაცვლად ცალკეული თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირებისა.

დაბოლოს, განვიხილოთ ისეთი მძლავრი კონკურენტული ბრძოლის ინსტრუმენტი, როგორიცაა პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები. ცხადია, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან მნიშვნელოვანი სტიმულია, ამავდროულად აუცილებელია ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრირება, ანუ გადასვლა საბაჟო კავშირზე. ეს ყველა პოტენციურ ინვესტორს, რომელსაც აინტერესებს ევროკავშირის ბაზარი, მისცემს დამატებით სტიმულს, რომ განახორციელოს ინვესტირება საქართველოში. ამის პარალელურად ძალიან მნიშვნელოვანია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების მიღწევა აშშ-სთან. ეს ასევე ძალიან ძლიერი სტიმული იქნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდისათვის. გამომდინარე საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და საექსპორტო შესაძლებლობებიდან, საქართველოსათვის ასევე ძალიან საინტერესოა სპარსეთის ყერის თანამშრომლობის საბჭოს წევრ სახელმწიფოებთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ინიცირება. სწორედ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, რეექსპორტის წახალისება და ექსპორტის ხელშემწყობი საგადასახადო სისტემის ფორმირება უნდა გახდეს რეალური ინსტრუმენტი მდგრადი კონკურენტული უპირატესობის ფორმირებისათვის საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისათვის.

### ლიტერატურის სია

- 1.Besanko,D., Dranove, D., &Shanley, M.1999,Economics of strategy. New York:Wiley.
2. Jay B.Barney, Looking inside for Competitive Advantage; Academy of Management, Vol. 9; 1995.
3. Johanson & Vahlne, 1977 Journal of International Business Studies (JIBS).
4. G.J. Siedel, Using the Law for Competitive Advantage; San-Francisco:Jossey-Bass, 2002.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ობ., 2013წ.


### In the Quest for Competitive Advantages

**G. Gaganidze**

In the article the author addresses the study of the issues of competitive advantage, has offered an idea of the resource pyramid with which the resources are classified according to the vision of the organization. The article describes the practical significance of this vision and analyzes the legislation as an opportunity for using the source of competitive advantage. The question is discussed in the context of the Georgian economic reality. The author has emphasized the importance of contributing trade regimes for the growth of re-export.

**Key words:** competitiveness, resources classification, resource pyramid, trade regimes, organizational vision, competitive advantage.

**JEL Classification:** O10, O15, O16.



მარა გოგიერთი,  
ეკონომიკის აკად. დოქტორი,  
ივ. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის  
მოწვევლი დექტორი

სტატიაში გაანალიზებულია ინფლაციისა და პროცენტის არსებული თეორიული მოდელები. წარმოჩენილია პროცენტის ნორმის ქცევა ინფლაციის პირობებში და პროცენტის შიგა ნორმის დაცვის აუცილებლობა. ყურადღება გამახვილებულია ინფლაციის პრობლემის დინამიკურ ასპექტსა და მასთან კონკურირებად კეინზიანურ მოდელზე დაფუძნებულ „ინფლაციური გარღვევის“ მიდგომაზე. დასაბუთებულებულია, რომ მნიშვნელოვანია პროცენტის ნორმისა და ინვესტიციების მოცულობის რეგულირება ისეთი პრობლემების დასაძლევად, როგორიცაა უმუშევრობა და სავალუტო კრიზისი.

**საკვანძო სიტყვები:** ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი, მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორია, სავალუტო კრიზისი.

სხვადასხვა თეორიული სქემა პროცენტის ნორმას ანიჭებს განსხვავებულ და გარკვეული თვალსაზრისით, შეუთავსებად როლს, რაც განაპირობებს საკვლევი პრობლემის აქტუალურობას. კვლევის მიზანია ინფლაციისა და პროცენტის ნორმის არსებული თეორიული მოდელების გაანალიზება. დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია ისეთი ურთიერთდაკავშირებული ამოცანები, როგორიცაა – პროცენტის ნორმის ქცევის შეფასება ინფლაციის პირობებში და მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიის არსისა და პროცენტის შიგა ნორმის დაცვის აუცილებლობის წარმოჩენა. ფულის თეორიისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილია უცხოელი და ქართველი ავტორების ბევრი საინტერესო ნაშრომი, თუმცა, ამჯერად, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ ინფლაციის პრობლემის დინამიკურ ასპექტსა და მასთან კონკურირებად კეინზიანურ მოდელზე დაფუძნებულ „ინფლაციური გარღვევის“ მიდგომაზე.

**პროცენტის ნორმის ქცევის შეფასება  
ინფლაციის პირობებში**

თანამედროვე ჩიკაგოს სკოლის სწავლების თანახმად, ინფლაციის პრობლემას აქვს დინამიკური ასპექტი, რომელიც დაკავშირებულია ფასების დონის ცვლილების ტემპთან. ინფლაციური გარდვევების უმარტივესი მოდელი კი გულისხმობს, რომ ფულს არა აქვს არსებითი კავშირი ინფლაციასთან [1, გვ. 598]. ინფლაციური გარდვევების კეინზიანური მოდელი გვაძლევს გავაკეთოთ რიგი სპეციფიკური დაშვება ფულის ბაზარზე მრუდების ფორმირების თაობაზე. კეინზის ზოგადი წანამდგრებით ინფლაცია იწვევს ნომინალური განაკვეთების ზრდას ფულის ბაზრის აღმოცენებული უწონასწორობის საპასუხოდ. აქ ნომინალური განაკვეთზე გავლენას ახდენს ფასების დონის ცვლილება და არა ინფლაციის ტემპი, ხოლო თვით განაკვეთი გავლენას ახდენს რეალურ და ნომინალურ საკასო (ფულად) ნაშთებზე მოთხოვნაზე. პირიქით, კეიგენის მოდელში ნომინალური ან რეალური საპროცენტო განაკვეთი არ ზემოქმედებს ფულზე მოთხოვნაზე კეიგენმა და მისმა მიმდევრებმა ყურადღება გაამახვილეს გარემოებაზე, რომ არა მხოლოდ ფასების დონე ახდენს გავლენას ნომინალურ ფულად ნაშთებზე მოთხოვნაზე, არამედ ამ დონის ცვლილების ტემპიც, სხვაგვარად, ინფლაციის ტემპი ზემოქმედებს რეალურ ფულად ნაშთებზე მოთხოვნაზე. გოლდმენმა კი შეცვალა კეიგენის მოდელი იმ მხრივ, რომ უკვე ადარ იგულისხმებოდა, რომ ფულის ბაზარი ყოველთვის წონასწორობაში იმყოფება, რაც შეეხება ფრიდმენის მოდელს, იგულისხმება, რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი გავლენას ახდენს ნომინალურ საკასო ნაშთებზე მოთხოვნაზე, მაგრამ რადგან ეს მოდელი პრინციპში დაკავშირებულია გრძელვადიანი წონასწორობის პირობებთან, საპროცენტო განაკვეთი განიხილება მასში როგორც კონსტანტა.

თეორიული სქემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ პროცენტის ნორმის ქცევა ინფლაციის პირობებში, გამოიყვანება ირვინგ ფიშერის შრომებიდან. სხვა საკითხებთან ერთად, ის ცდილობდა გამოევალია ინფლაციის ზემოქმედება ნომინალურ საპროცენტო განაკვეთზე. ამ ანალიზის დროს ის განსაზღვრავდა ნომინალურ განაკვეთს, როგორც პროცენტის

რეალური ნორმისა და ინფლაციის მოსალოდნელი ტემპის ფუნქციას.

ფიშერი განმარტავდა ამ მიმართებას პროცენტის ნომინალურ და რეალურ ნორმებს შორის, როგორც წონასწორულს და გრძელვადიანს იმის გამო, რომ როგორც მსესხებლები, ისე კრედიტორები მოელიან ვალის ძირითადი თანხის რეალური ღირებულების შემცირებას ინფლაციის შედეგად. ფიშერმა წამოაყენა იგივე არგუმენტები, რაც კეიიგნმა და ფრიდმენმა. გრძელვადიანი წონასწორობის მდგომარეობაში ფულადი მასის ზრდის ტემპის ამაღლება გამოიწვევს ინფლაციის ტემპის იდენტურ ზრდას და, შესაბამისად, ინფლაციის მოსალოდნელი ტემპისა და პროცენტის ნომინალური განაკვეთის იდენტურ ზრდას.

ამ მსჯელობისას იგულისხმება, რომ პროცენტის რეალური განაკვეთი არ იცვლება ფულადი მასის ზრდის ტემპის ცვლილებისას, სხვა სიტყვებით, მიღება ფულის ნეიტრალურობის წანამდლვარი. ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური მოდელები არ ამყარებს ამ ვარაუდს, რადგან ამ ტიპის მოდელებზე ფულადი მასა, ყველაზე სხვადასხვაგვარი დაშვებისას, გავლენას ახდენს კაპიტალის ზღვრულ პროდუქტზე.

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ფიშერის მიღგომა ნომინალური საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრის პრობლემისადმი დაკავშირებულია ინფლაციისათვის ნომინალური პროცენტის დომინირებადი ან ერთადერთი დეტერმინანტის როლის მიერთვნებით. ასეთია იოხესა და კარნოვსკის თეორია, რადგან მათი ემპირიული შრომა დაფუძნებულია ტოლობაზე, სადაც ნომინალური განაკვეთის ერთადერთ ამხსნელ ცვლადს ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ანალოგიური მიღგომა პროცენტის ნომინალური განაკვეთის განსაზღვრისადმი ძევს კეიიგნის შრომის საფუძველშიც. ყველაზე საინტერესო შედეგი, რომელიც გამომდინარეობს კეიიგნის მოდელიდან, არის იმის შესაძლებლობა, რომ ინფლაცია ვითარდება ნომინალური ფულადი ნიშნების პროპორციული შემანარჩუნებელი გაზრდის გარეშე. შესაბამისად, თუმცა მოდელი გამოიყვანება ტრადიციული რაოდენობრივი თეორიიდან, ის მოიცავს იმის შესაძლებლობას, რომ ფულადი მასის ნაზარდი არ წარმოადგენს ჰიპერინფლაციის აუცილებლების პირობას.

## მას გოგონია

ეს მოდელები უურადღებას ამახვილებს მხოლოდ ფასობრივ ექსპექტაციებზე და, ამგვარად, აფერხებს  $r$ -ზე რეალური შემოსავლის, ფასების დონის და ნომინალური ფულადი მასის ზემოქმედების კეინზიანურ ანალიზს.

რიგი ავტორებისა, მაგალითად, დერბი, ფელდსტეინი და ეპსტეინი შეეცადნენ გაეერთიანებინათ კეინზიანური ეფექტები დაკავშირებული  $r$ -ზე ზემოქმედებასთან (რეალური ნაშთებისა და რეალური შემოსავლისა), და ფიშერის ეფექტი (ინფლაციური ექსპექტაციებისა). ამ მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$r = f\left(p^e, \frac{M}{p}, \bar{y}\right)$$

ზოგიერთი გარდაქმნის შემდგომ ეს მოდელი გახდა საფუძველი ემპირიული გათვლებისათვის. მკვლევარი ეკონომისტების – კარის, პეზადონის და სმიტის შეფასებები აღმოჩნდა ძალზედ მგრძნობიარე წანამძღვრებისადმი იმის თაობაზე, როგორ ფორმირდება ექსპექტაციები, მაგრამ ამასთან ერთად, მათ მოგვცეს რიგი დასკვნა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს ვიგარაუდოთ, რომ ფასობრივი ექსპექტაციების ეფექტი ადემატება სხვა ეფექტებს [2]. ეს შედეგები შეესაბამება სტანდარტულ თეორიულ მოდელს, რადგან ფრიდმენის ნაშრომის შემდგომ (1968წ.) ჩვეულებრივი გახდა ვარაუდი, რომ რადგან სიდიდე  $y$  წინასწარ განსაზღვრულია მისი ზრდის გრძელვადიანი ტენდენციით, ფულადი მასის ცვლილებები თავდაპირველად ახდენს დეპრესიულ ზემოქმედებას  $r$ -ზე.  $r$ -ის შემცირება იწვევს  $M/p$ -ს შემცირებას მის საწყის დონემდე, ამასთან ერთად  $p$ -ს ზრდა ცვლის ინფლაციურ მოლოდინებს –  $p^e$ , რომელიც დადებით გავლენას ახდენს  $r$ -ზე. თუ  $M$ -ის ერთდროული გაზრდის ნაცვლად განვიხილავთ  $M$ -ის ზრდის ტემპის მუდმივ ამაღლებას, მაშინ ფასების დონე გაიზრდება იმავე ტემპით, როგორც  $M$ , ინარჩუნებს რა უცვლელად  $M/p$  უწინდელ დონეს, მაგრამ ზრდის გრძელვადიანი წონასწორობის მდგომარეობაში  $p^e$ -ს იმავე სარისხით, რომლითაც ამაღლდა  $M$ -ის ზრდის ტემპი. შედეგად მსგავს მოდელებში, პროცენტის ნომინალური განაკვეთის მთავარი დეტერმინანტის სახით გამოდის ინფლაციის მოსალოდნელი ტემპი, რომელიც თავის მხრივ, განისაზღვრება  $M$ -ის ზრდის ტემპით.

## პროცენტის ნორმა, ინგესტიციები და საგალუტო კურსი

კეინზის კრიტიკა მიმართული იყო ჩაურევლობის ძირითადი დოქტრინის თეორიული საფუძლების იმ მტკიცების წინააღმდეგ, რომ პროცენტის ნორმა და ინგესტიციების მოცულობა ავტომატურად დგება ოპტიმალურ დონეზე. ამ მცდარი თეორიის გავლენით ლონდონის სიტმა თანდათან გამოიმუშავა წონასწორობის შენარჩუნებისათვის ყველაზე საშიში ტაქტიკა, რომელიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, და სახელდობრ, საბანკო პროცენტის რეგულირება უცხოური ვალუტების მკაცრ პარიტეტთან შეხებაში. ეს ნიშნავდა, რომ პროცენტის შიდა ნორმის შენარჩუნება, სრულ დასაქმებასთან შეთავსებადი, სრულად გამოირიცხებოდა, რამდენადაც პრაქტიკაში შეუძლებელია საგადამხდელო ბალანსის უგულებელყოფა, ამიტომ გამოიმუშავეს კონტროლის საშუალება, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ დაეცვათ პროცენტის შიდა ნორმა, იგი ბრმა სტიქიის სამსხევერპლოზე მიიტანა. ბოლო დროს ლონდონელმა პრაქტიკოს-ბანკირებმა ბევრი ისტავლეს და თითქმის დაიმედება შეიძლება, რომ დიდ ბრიტანეთში მეტად აღარ სარგებლობენ საბანკო პროცენტის რეგულირების მეთოდით საგადამხდელო ბალანსის დაცვისათვის ისეთ პირობებში, როცა ამას შეუძლია წარმოქმნას უმუშევრობა ქვეყნის შიგნით [3, გვ. 370].

მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის თეორიის თანახმად (purchasing power parity theory), მსოფლიოში შეინიშნება მკაცრი შესაბამისობა ორ ქვეყანას შორის საპროცენტო განაკვეთების ცვლილებისა მათი ინფლაციის ტემპის გრადიუნტონან. მაგალითად, თუ A ქვეყანაში ინფლაციის ტემპი 5%-ია, ხოლო B ქვეყანაში – 3%, მაშინ მათი ინფლაციის ტემპების გრადიუნტია 2%. საპროცენტო განაკვეთი A ქვეყანაში იქნება 2%-ით მაღალი, ვიდრე ანალოგიური განაკვეთი B ქვეყანაში, ანუ ეროვნული ვალუტა A გაუფასურდება 2%-ით ეროვნულ ვალუტა B-თან მიმართებით [4, გვ. 186].

კრიზისი, რომლის დროსაც ვალუტა, რომელსაც შეეძლო გადარჩენილიყო, გაუფასურებულია, დღეისათვის მწვავე თემაა. მაგრამ ყველა თანხმდება, რომ საკმაოდ სანდო ვალუტაზე არასოდეს განხორციელდება შეტევა, ხოლო საკმაოდ არასანდო – ყოველთვის შეტევის საშიშროების საფრთხის ქვეშ იქნება [5, გვ. 152].

## **მათა გოგონია**

---

რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მით უფრო ძლიერია გამოსაშვები პროდუქციის ფაქტობრივ და პოტენციურ მოცულობას შორის გარღვევის გადიდების ტენდენცია. დარიბი საზოგადოება ამჯობინებს თავისი პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოხმარებას, ასე რომ ინვესტიციების ფრიად მოკრძალებული დონეც კი საკმარისი იქნება სრული დასაქმების უზრუნველყოფისათვის, მაშინ როცა მდიდარმა საზოგადოებამ უნდა მოქებოს მნიშვნელოვნად ფართო შესაძლებლობები ინვესტორებისათვის, რათა მისი უფრო მდიდარი წარმომადგენლების დაგროვებისადმი მიდრეკილება შეთავსებული იქნება დარიბი წევრების დასაქმებასთან.

\*\*\*

სავსებით ნათელია, რომ ვალუტის კურსის სიმტკიცეს განაპირობებს ძლიერი ეკონომიკა. რაც შეეხება პროცენტის ნორმასა და ინვესტიციების მოცულობას, ის ოპტიმალურ დონეზე ავტომატურად არ დგება. პროცენტის ნორმის რეგულირების საშუალებით კი შესაძლებელია უმუშევრობის პრობლემის დაძლევა.

### **ლიტერატურის სია**

- 1.Харрис Л., Денежная теория, М., 1990.
- 2.Carr J., Pasando J.E. and Smith L.B. Tax Effects, Price Expectations and the Normal Rate of Interest. – Economic Inquiry, Vol. 14, June, 1976, p. 259-269.
- 3.კეინზი ჯ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია, თარგმანი. ქუთაისი, 1995წ.
- 4.Якимкин В., Сегментация финансового рынка, Омега Л, М., 2006.
- 5.Krugman Paul, The Accidental Theorist and Other Dispatches from the Dismal Science, Penguin Books, 1999.

## Some of the issues of Inflation and interest rate's theoretical modelling

M. Gogokhia

The different scheme of monetary theory assigns different roles to the interest rate. According to the Chicago's school studies the problem of inflation has a dynamic aspect, which is connected to the speed of price level changes. The simplest model of the Keynesian inflationary gap implicates to the money, does not have a substantial connection with inflation. The general lead inflation of Keynes causes nominal rate growth, in the response to the monetary market's uneven outgrowth. Here on to the nominal rate, affects the price level change and not the speed of the inflation, while the rate affects on demand of the cash balance. In the Kagen model, the demand for the money is influenced by the inflation rate, not by percentage rate, however, in this model is not excluded possibility, that the inflation is developing through the nominal money balances without a proportionate increase in maintenance and that, money supply growth is not a hyperinflation's necessary condition. Goldman has changed the model of Kagen, in the aspect that the money market is always in equilibrium.

As in for the Freedman model, which means that - the nominal interest rate effects on nominal cash balances demand, but because this model is related to the long-term equilibrium conditions, the interest rate is considered in it as a constant.

A theoretical scheme that allows us to estimate the interest rate behavior during the inflation, it is used from the works of Irvin Fisher, who considered inflation within nominal interest rate's predominant determination role. A number of authors have tried to unify Fishers inflationary expectation effect and Keynesian effects related to interest rate impact.

Keynes's criticism was directed against to the theoretical proof, that the interest norm and investment volume automatically get an optimal level. Influenced by this erroneous theory was gradually earned in practice the most dangerous tactic for maintaining the equilibrium balance - bank interest regulation within touch of foreign currency strict parity. Which meant, that maintenance of the interest's internal rate compatible with full employment was fully excluded.

## **ՀԱՅԱ ՑՐՑՄԵՆԸ**

---

According to the purchasing capacity Parity theory, (purchasing power, parity theory) there is a strict correspondence between the two countries in the world in interest rate change gradient of their inflation speed. Crisis, during which, the currency that could have been saved is now cheapen, which is pressing issue for nowadays. But everyone agrees that a sufficiently reliable currency will never be attacked, as for insufficiently reliable currency will always be under the threat of attack.

**Keywords:** inflation, interest rate, purchasing power parity theory, currency crisis.

**JEL Classification:** E30, E31, E43.

**საქართველოს ბაგარგე მომხმარებელთა  
ქცევის მარკეტინგული კვლევა  
დისარტაციული ანალიზის გამოყენებით**

**ნუზარ თოლეა**

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის  
მარკეტინგის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი  
თეონა ლოჭინი  
თსუ-ის მარკეტინგის კათედრის დოქტორანტი**

სტატიაში გაანალიზებულია მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობა ბიზნესში. ნაჩვენებია მომხმარებელთა ქცევის შესწავლაში სტატისტიკური მეთოდების გამოყენების აუცილებლობა. ყურადღება გამახვილებულია დისპერსიული ანალიზის მეშვეობით მარკეტინგული კვლევის ჩატარების მიზანშეწონილობაზე. სპეციალურად შემუშავებული კითხვარისა და დისპერსიული ანალიზის საფუძვლზე შესწავლილია საბანკო მომსახურებისა და უალკოჰოლო გაზიარების სასმელების მიმართ ქართველი მომხმარებელების დამოკიდებულების საკითხები და გამოვლენილია მათი თავისებურებები. დადგენილია საბანკო მომსახურებისა და უალკოჰოლო გაზიარების სასმელების მომხმარებელთა რაოდენობების განაწილება პროდუქტის ცალკეული მახასიათებლის მიხედით.

**საკვანძო სიტყვები:** ბაზარი, მომხმარებელთა ქცევა, მარკეტინგული კვლევა, დისპერსიული ანალიზი

**განსაკუთრებული ყურადღება მომხმარებელთა ქცევის  
შესწავლას**

მარკეტინგულ კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. მარკეტინგულ ინფორმაციას არსებითად იყენებენ ფირმები თავიანთი საქმიანობის მართვაში [1, გვ. 67]. ამიტომ, მომხმარებელთა ქცევის შესწავლა მარკეტინგის უმთავრესი პრობლემაა. უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებული ქვეყნების მკვლევარები მომხმარებელთა ქცევის კვლევებისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას

## ნუზარ თოლეა, თეონა ღორგევიძე

იჩენენ [2, გვ. 41].

მარკეტინგული კვლევის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია იმ ფაქტორების დადგენა და ანალიზი, რომელიც გავლენას ახდენებ მომხმარებელთა მიერ ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე [3, გვ. 340]. ასეთია, მაგალითად, ფასები, საბანკო სფერო და ბაზრის სტაბილურობა. ამასთან, საჭიროა მომხმარებელთა გემოვნების, ცხოვრების სტილისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინება. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მახასიათებლები გარკვეულ კორელაციაშია მომხმარებელთა ქცევასთან [4, გვ. 562]. ამ საკითხების შესწავლა კი, მარკეტინგული კვლევის მეთოდებთან ერთად, ეკონომიკური და მათემატიკური ანალიზის ჩატარებას მოითხოვს. ამ ანალიზში არსებითად გამოიყენება სტატისტიკური მეთოდები [5, გვ. 519].

საქართველო XX საუკუნის ბოლოს დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას. ამან, სხვა საკითხებთან ერთად, მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევის აუცილებლობა განაპირობა. საქართველოში მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა ახალი დაწყებულია და ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი მასთან დაკავშირებული საკითხები [6, გვ. 11]. ამიტომ ამა თუ იმ პროდუქტის ცალკეული სახეობის მიმართ ქართველი მომხმარებელების დამოკიდებულების საკითხები სათანადო მეცნიერულ დამუშავებას საჭიროებს. განსაკუთრებით აქტუალურია საბანკო პროდუქტების მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა, რომელიც სტატისტიკური მეთოდების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა ვალუტაში საბანკო ოპერაციებისა და მახასიათებლის ქონები მომხმარებელთა რაოდენობების სიხშირეთა და პროცენტულ სიხშირეთა განაწილების შესწავლა. შესაბამისად, კვლევის ძირითად ამოცანა იყო დისპერსიული ანალიზის (ANOVA-ს) გამოყენებით მომხმარებელთა პოპულაციების უცნობი საშუალოების ტოლობის შესახებ სტატისტიკური ჰიპოთეზების შემოწმება.

### კვლევის მეთოდოლოგიის სპეციფიკა

ჩატარებულ კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მარკეტინგული კვლევის პირისპირ გამოკითვის მეთოდი, მეთადი მონაცემების დამუშავება, აღწერითი სტატისტიკისა და სტატისტიკური დასკვნების თეორიის მეთოდები, კერძოდ, დისპერსიული ანალიზი ANOVA. რესპონდენტებისთვის შედგა-

ნილი იყო სპეციალური ანგეტა, რომელშიც მათ უნდა დაესახელებინათ საბანკო ოპერაცია და ვალუტა, აგრეთვე, უალკოჰოლო გაზიანი სასმელი და მისი მახასიათებლები. მიღებული ნედლი მონაცემები დამუშავებულია აღწერითი სტატისტიკის მეთოდების გამოყენებით.

ANOVA არსებითად გამოიყენება ეკონომიკურ ანალიზში და, კერძოდ, მარკეტინგული კვლევაში [7, გვ. 655]. თავდაპირველად, იგი დამუშავებული იყო სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკასთან და სპეციალურ ბიოლოგიურ ექსპერიმენტთან დაკავშირებული ამოცანების შესწავლისა და გადაწყვეტისთვის. ამჟამად ANOVA, სხვა სტატისტიკურ მეთოდებთან ერთად, უნივერსალურ გამოყენებას პოულობს თეორიული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში.

ჩვენი კვლევის სფეროს წარმოადგენდა მომხმარეველთა პოპულაციების უცნობი საშუალო მნიშვნელობების ერთგვაროვნების, ანუ სიახლოვის საკითხის შესწავლა.

ANOVA-ს გამოყენებით პოპულაციათა უცნობი საშუალოების ტოლობის შესახებ ჰიპოთეზების შემოწმების ზოგადი ამოცანის ჩამოყალიბება და გადაწყვეტა შემდეგი სქემის მიხედვით მიმდინარეობს [7, გვ. 475].

ვთქვათ, ვიხილავთ  $R$  რაოდენობის პოპულაციას  $X_1, \dots, X_R$ , რომელთა უცნობი საშუალო მნიშვნელობებია:  $a_1, \dots, a_R$ . ნულოვანი (ძირითადი) ჰიპოთეზა  $H_0$  შემდეგია:  $H_0: a_1 = \dots = a_R$ , ხოლო ალტერნატივა (საწინააღმდეგო ჰიპოთეზა)  $H_1$  მდგომარეობს შემდეგში:  $H_1: \text{ერთი } \text{საშუალო } \text{მაინც } \text{განსხვავდება } \text{დანარჩენებისგან.}$  ამოცანაისაა, რომ პოპულაციათა ნაწილებზე, ცდების (დაკვირვებების, გაზომვების, გამოკითხვების) შედეგების საფუძველზე, გარკვეული ალბათობით (მნიშვნელოვნების დონით) გადავწყვიტოთ, რომელია ამ ორი ჰიპოთეზიდან სწორი (მართალი).

ვიგულისხმოთ, რომ გვაქვს პოპულაციებიდან აღებული  $R$  შერჩევა  $(x_{11}, \dots, x_{n_1}), \dots, (x_{R1}, \dots, x_{Rn_R})$ , რომელთა მოცულობებია:  $n_1, \dots, n_R$ ,  $n_1 + \dots + n_R = N$ .

საჭიროა ჩავატაროთ შემდეგი სიდიდეების გამოვლა.

ნაბიჯი 1. თითოეული შერჩევისთვის გამოვთვალოთ შერჩევითი საშუალო შემდეგი ფორმულებით:

$$\bar{x}_1 = \frac{1}{n_1} \sum_{j=1}^{n_1} x_{1j}, \dots, \bar{x}_R = \frac{1}{n_R} \sum_{j=1}^{n_R} x_{Rj}.$$

1)

ნაბიჯი 2. თითოეული შერჩევისთვის გამოვთვალოთ

## ნებართვა, მოვლა დოკუმენტი

---



---

შესწორებული შერჩევითი დისპერსია შემდეგი ფორმულებით:

$$\bar{S}_1^2 = \frac{1}{n_1 - 1} \sum_{j=1}^{n_1} (x_{1j} - \bar{x}_1)^2, \dots, \bar{S}_R^2 = \frac{1}{n_R - 1} \sum_{j=1}^{n_R} (x_{Rj} - \bar{x}_R)^2. \quad (2)$$

ნაბიჯი 3. გამოვთვალოთ ერთობლივი, ანუ ყველა მონაცემის საშუალო შემდეგი ფორმულის გამოყენებით:

$$\bar{x}_{\text{გრ.}} = \frac{1}{N} \sum_{i=1}^R \sum_{j=1}^{n_i} x_{ij}. \quad (3)$$

ნაბიჯი 4. გამოვთვალოთ შერჩევით და ერთობლივ საშუალოთა შორის ვარიაცია შემდეგი ფორმულით:

$$S_B^2 = \frac{1}{R-1} \sum_{i=1}^R (\bar{x}_i - \bar{x}_{\text{გრ.}})^2. \quad (4)$$

ნაბიჯი 5. გამოვთვალოთ  $R$  რაოდენობის ჯგუფებში ვარიაცია შემდეგი ფორმულით  $\sum_{i=1}^R (n_i - 1) \bar{S}_i^2 / \sum_{i=1}^R (n_i - 1)$ .  
შემდეგი ფორმულით:

$$f = \frac{S_B^2}{S_W^2}. \quad (6)$$

ნაბიჯი 7. დაგაფიქსიროთ მნიშვნელოვნების დონეა და ფიშერის განაწილების ზედა  $\alpha$ -კრიტიკული წერტილების ცხრილში  $F_{R-1, N-R, \alpha}$  მნიშვნელობის გამოყენებით ([2, გვ. 528]), გამოვთვალოთ კრიტიკული არე ( $H_0$ -ის უარყოფის არე):  $[F_{R-1, N-R, \alpha}, +\infty)$ .

ნაბიჯი 8. გადაწყვეტილების მიღება: თუ  $f$ -ის მნიშვნელობა ეპუთვნის კრიტიკულ არეს, ე. ი. თუ  $f > F_{R-1, N-R, \alpha}$ , მაშინ ნულოვანი ჰიპოთეზა უნდა უკუვაგდოთ ანუ  $\alpha$  მნიშვნელოვნების დონით ვასკვნით, რომ სულ ცოტა, ერთი საშუალო მაინც განსხვავდება პოპულაციების დანარჩენი საშუალოებისგან.

საბანკო მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობების  
განაწილება საბანკო ანგარიშებისა და ვალუტების მიხედვით  
(ცხრილი 1)

ბანკი რესპუბლიკა						
№	საბანკო ანგარიშის დასახელება	ვალუტა				ჯამი
		ლარი	დოლარი	ევრო	რუბლი	
1	ბიზნესის სესხი	5	3	1	1	10
2	ვადიანი ანაბარი	4	2	3	0	9
3	იპოვებური სესხი	2	2	1	0	5
4	ზრდადი ანაბარი	2	1	1	0	4
5	პრივილე- გირებული ანაბარი	3	2	1	0	6
6	საბაზურო ანაბარი	6	2	1	1	10
7	სადებეტო ანაბარი	14	6	1	1	22
8	მოქნილი ანაბარი	6	2	2	0	10
9	სამომხმარებლო სესხი	11	3	1	1	16
10	მოხმარებელების ანაბარი	4	2	2	0	8
ჯამი		57	25	14	4	100

ვალუტების პროცენტული განაწილება საბანკო  
ანგარიშების მიხედვით

ცხრილი 2

ბანკი რესპუბლიკა						
№	საბანკო ანგარიშის დასახელება	ვალუტა				ჯამი
		ლარი	დოლარი	ევრო	რუბლი	
1	ბიზნესის სესხი	50	30	10	10	100
2	ვადიანი ანაბარი	45	22	33	0	100
3	იპოთეკური სესხი	40	40	20	0	100
4	ზრდადი ანაბარი	50	25	25	0	100
5	პრივილე- გირებული ანაბარი	50	33	17	0	100
6	საბავშვო ანაბარი	60	20	10	10	100
7	სადებეტო ანაბარი	64	26	5	5	100
8	მოქნილი ანაბარი	60	20	20	0	100
9	სამომ- ხმარებლო სესხი	69	19	6	6	100
10	მოხხოვ- ნამდე ანაბარი	50	25	6	6	100

**საბანკო ანგარიშების პროცენტული განაწილება  
გალუტების მიხედვით**

ცხრილი 3

№	საბანკო ანგარიშის დასახელება	გალუტი			
		ლარი	დოლარი	ევრო	რუბლი
1	ბიზნესის სესხი	9	12	7	25
2	ვადიანი ანაბარი	7	8	21	0
3	იპოთეკური სესხი	3.4	8	7	0
4	ზრდადი ანაბარი	3.4	4	7	0
5	პრივილე- გირებული ანაბარი	5.3	8	7	0
6	საბავშვო ანაბარი	10.5	8	7	25
7	სადებუტო ანაბარი	24.6	24	7	25
8	მოქნილი ანაბარი	10.5	8	15	0
9	სამომხმარებლო სესხი	19.3	12	7	25
10	მოთხოვნამდე ანაბარი	7	8	15	0
ჯამი		100	100	100	100

**კვლევის ძირითადი მიმართულებები და შედეგები**

კოველი კონკრეტული ბანკის მომხმარებელთა საერთო რაოდენობა განიხილება როგორც შესასწავლი პოპულაცია. ჩვენს მიერ ჩატარებულია საბანკო მომსახურების მომხმარებლების, როგორც რესპონდენტების გამოკითხვა შემდეგი სამი ბანკის შემთხვევაში: 1) ბანკი რესპუბლიკა; 2) საქართველოს ბანკი; 3) თიბისი ბანკი. თითოეული ბანკის შემთხვევაში გამოკითხველ იქნა ასი რესპონდენტი. რესპონდენტს სათანადო ანკეტაში უნდა მიეთითებინა მისი საბანკო ანგარიში და ერთო გალუტი: ლარი, დოლარი, ევრო ან რუბლი.

## ნებარი მოდუს, თეორეტური

პირველ რიგში, მიღებული მარკეტინგული ნედლი მონაცემების (ინფორმაციის) გამოყენებით, შევისწავლეთ შემდეგი საკითხები: 1) საბანკო მომსახურების მომხმარებელთა რაოდენობების განაწილება საბანკო ანგარიშებისა და ვალუტების მიმართ; 2) ვალუტების პროცენტული განაწილება საბანკო ანგარიშების მიხედვით; 3) საბანკო ანგარიშების პროცენტული განაწილება ვალუტების მიხედვით. ამ კვლევის შედეგები ქვემოთ მოცემულია ბანკი რესპუბლიკის მაგალითზე 1-3 ცხრილებში, რომლებიც დამატებით კომენტარებს არ საჭიროებენ. მაგალითად, მე-2 ცხრილში ლარის სვეტისა და იპოთეკური სესხის სტრიქნის გადაკვეთაზე რიცხვი 40 გვიჩვენებს, რომ ბანკ რესპუბლიკაში იპოთეკური სესხის მომხმარებელთა 40%-ს ანგარიში გახსნილი აქვს ლარში.

განვიხილოთ ახლა აღნიშნული სამი ბანკის შემთხვევაში შვიდი საბანკო ანგარიშის მომხმარებელთა რაოდენობების განაწილება, რომელიც მოტანილია მე-4 ცხრილში.

### მომხმარებელთა განაწილება საბანკო ანგარიშების მიხედვით

ცხრილი 4

№	საბანკო ანგარიშის დასახელება	მომხმარებელთა რაოდენობა		
		ბანკი რესპუბლიკა	საქარ- თველოს ბანკი	თიბისი ბანკი
1	ბიზნესის სესხი	10	8	6
2	ვადიანი ანაბარი	9	12	8
3	ზრდადი ანაბარი	4	10	5
4	იპოთეკური სესხი	5	10	6
5	საბავშვო ანაბარი	10	4	5
6	სადებულო ანაბარი	22	15	24
7	სამომხმარებლო სესხი	16	18	16

ANOVA-ს გამოყენებით შეგვიძლია გავარკვიოთ აღნიშნულ ბანკებში შვიდი საბანკო ანგარიშის მომხმარებელთა პოპულაციების უცნობი საშუალო მნიშვნელობები ემთხვევი-

ან ერთმანეთს თუ არა. ამ მიზნით გამოვიყენოთ მე-4 ცხრილის მონაცემები და (1)-(6) ფორმულები. ჩვენს შემთხვევაში გვაქვს:  $R = 3$ ,  $N = 21$ , სამი უცნობი საშუალო:  $a_1$ ,  $a_2$  და  $a_3$ . დავაფიქსიროთ მნიშვნელოვნების დონე  $\alpha = 0.05$ . საჭიროა შევამოწმოთ პიპოთები:  $H_0$ :  $a_1 = a_2 = a_3$  და  $H_1$ : ერთი საშუალო მაინც განსხვავდება დანარჩენებისგან. გამოთვლების შედეგად მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

1.  $\bar{x}_1 = 11$ ,  $\bar{x}_2 = 11$ ,  $\bar{x}_3 = 10$ ;
2.  $\bar{S}_1^2 = 40$ ,  $\bar{S}_2^2 = 21$ ,  $\bar{S}_3^2 = 53$ ;
3.  $\bar{x}_{\text{გრო}} = 10.62$ ;
4.  $S_B^2 = 2.36$ ;
5.  $S_W^2 = 38$ ;
6.  $f = 0.06$ .

ფიშერის განაწილების ზედა  $\alpha$ -კრიტიკული წერტილების ცხრილის გამოყენებით [7, გვ. 528], გამოვთვალოთ კრიტიკული არე. გვაქვს:

$$\left[ F_{R-1, N-R, \alpha}, +\infty \right) = \left[ F_{2, 18, 0.05}, +\infty \right) = [3.55, +\infty).$$

ამრიგად, კრიტიკული მნიშვნელობა  $f = 0.06$  არ ჩავარდა  $[3.55, +\infty)$  კრიტიკულ არეში. ამიტომ ნულოვანი პიპოთების უარყოფის საფუძველი არ გვაქვს. სხვანაირად რომ ვთქვათ,  $0.05$  მნიშვნელოვნების დონით ანუ  $1 - \alpha = 95\%$ -იანი გარანტით (0.95-ის ტოლი ალბათობით) შეგვიძლია დაგვსკვნათ, რომ აღნიშნულ სამ ბანკში განხილული საბანკო ანგარიშების მომხმარებელთა (პოპულაციათა) უცნობი საშუალო მნიშვნელობები ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

ახლა გადავიდეთ მეორე მიმართულებით ჩვენს მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის შედეგების განხილვაზე.

შესწავლილია ათი დასახელების უალკოჰოლო გაზიანი სასმელის და მათი ხეთი მახასიათებლის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება. გამოკითხულია 220 რესპონდენტი, ხოლო გამოყენებულია 177 ანკეტის მონაცემები. ამ ნედლი მონაცემებით გაანალიზებულია შემდეგი საკითხები: 1) მომხმარე-

## ნებისმიერობა, თეორეტური დოკუმენტი

ბეჭთა რაოდენობების განაწილება სასმელების დასახელებისა და მახასიათებლების მიხედვით; 2) მახასიათებლების პროცენტული განაწილება სასმელების მიხედვით; 3) სასმელების პროცენტული განაწილება მახასიათებლების მიხედვით. ამ კვლევის შედეგები ქვემოთ მოტანილია 5-7 ცხრილებში, რომელიც დამატებით კომენტარებს არ საჭიროებს.

**უალკოჟოლო გაზიარების სასმელების მომხმარებელთა რაოდენობების განაწილება სასმელების სახეობებისა და მათი მახასიათებლების მიხედვით**

ცხრილი 5

№	უალკოჟოლო სასმელის დასახელება	მახასიათებელი					ჯამი
		გემო	ფერი	სიტბო	გაზიარება	დიზაინი	
1	კოპა-კოლა	6	2	6	1	2	17
2	პეპსი-კოლა	8	1	6	1	2	18
3	ფანტა	8	3	6	2	2	21
4	სპრაიტი	5	1	7	1	1	15
5	ნატახტარი	7	2	6	1	2	18
6	ზედაზენი	6	2	5	2	1	16
7	ზანდუკელი	8	1	6	2	1	18
8	ქაბეგი	7	2	6	1	1	17
9	ლალიძე	5	2	7	1	1	16
10	ლიმონათი (სხვ)	6	1	10	2	2	21
ჯამი		66	17	65	14	15	177

განვიხილოთ ახლა მე-5 ცხრილის მონაცემები და სა-

სმელების მომხმარებელთა ხუთი პოპულაცია მახასიათებლების მიხედვით, რომელთა უცნობი საშუალო მნიშვნელობებია  $a_1, a_2, a_3, a_4$  და  $a_5$ . გვაქვს  $H_0: a_1 = \dots = a_5$ ,  $H_1: \text{ერთი საშუალო მაინც განსხვავება დანარჩენებისგან. ANOVA-ს გამოყენების მიზნით შევნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს: } R = 5, R - 1 = 4, N = 40, N - R = 35. \text{დავაფიქსიროთ აგრეთვე } \alpha = 0.05 \text{ მნიშვნელობა. გამოთვლების შედეგად მიღებულია შემდეგი საჭირო მნიშვნელობები:}$

**მახასიათებლების პროცენტული განაწილება  
სასმელების მიხედვით**

ცხრილი 6

№	უაკოშოლო სასმელის დასახელება	მახასიათებლები					ჯამი
		გემო	ფერი	სიტკბო	გაზი- ანობა	დიზაინი	
1	ქოქა-ქოლა	35.3	11.8	35.3	5.8	11.8	100
2	პეპსი-ქოლა	44.4	5.6	33.3	5.6	11.1	100
3	ვანტა	38.1	14.3	28.6	9.5	9.5	100
4	სპრაიტი	33.3	6.7	46.6	6.7	6.7	100
5	ნატასტარი	38.9	11.1	33.3	5.6	11.1	100
6	ზედაზენი	37.5	12.5	31.2	12.5	6.3	100
7	ზანდუქელი	44.4	5.6	33.3	11.1	5.6	100
8	ჟაზბეგი	41.3	11.8	35.3	5.8	5.8	100
9	ლალიქე	31.2	12.5	43.7	6.3	6.3	100
10	ლიმონათი (სხვა)	28.6	4.8	47.6	9.5	9.5	100

სასმელების პროცენტული განაწილება  
მახასიათებლების მიხედვით

№	უაკომოდო სასმელის დასახელება	მახასიათებელი				
		გემო	ვერი	სიტკბო	გაზი- ანობა	დიზა- ნი
1	ქოქა-ქოლა	9.1	11.8	9.2	7.1	13.3
2	პეტსი-ქოლა	12.1	5.9	9.2	7.1	13.3
3	ფანტა	12.1	17.6	9.2	14.3	13.3
4	სპრაიტი	7.6	5.9	10.8	7.1	6.7
5	ნატახტარი	10.6	11.8	9.2	7.1	13.3
6	ზედაზენი	9.1	11.8	7.7	14.3	6.7
7	ზანდუკელი	12.1	5.8	9.2	14.3	6.7
8	ყაზბეგი	10.6	11.8	9.2	7.1	6.7
9	ლალიქე	7.6	11.8	10.8	7.1	6.7
10	ლიმონათი (ხევი)	9.1	5.8	15.5	14.2	13.3
ჯამი		100	100	100	100	100

1.

$$2. \quad \bar{x}_1 = 6.6, \bar{x}_2 = 1.7, \bar{x}_3 = 6.5, \bar{x}_4 = 1.4, \bar{x}_5 = 1.5;$$

$$3. \quad \bar{S}_1^2 = 0.25, \bar{S}_2^2 = 0.25, \bar{S}_3^2 = 1, \bar{S}_4^2 = 0.625, \bar{S}_5^2 = 0.625;$$

$$4. \quad \bar{x}_{\text{კომ.}} = 4.425;$$

$$5. \quad S_B^2 = 86;$$

$$6. \quad S_W^2 = 6.19;$$

$$7. \quad f = 14.33.$$

ფიშერის განაწილების ზედა  $\alpha$ -კრიტიკული წერტილების

ცხრილის გამოყენებით [2, გვ. 528] გვაქვს:

$$\left[ F_{R-1, N-R, \alpha}, +\infty \right) = \left[ F_{4, 35, 0.05}, +\infty \right) = [2.78, +\infty). \quad 2.64,$$

რადგანაც კრიტიკული მნიშვნელობა  $f = 14.33$  ჩავარდა  $[2.78, +\infty)$  კრიტიკულ არეში, ამიტომ ვასკვნით, რომ ათი დასახელებული უალკოჰოლო გაზიანი სასმელისთვის მომხმარებელთა პოპულაციების უცნობი საშუალო მნიშვნელობები მახასიათებლების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება.

დასკვნები:

1. მარკეტინგული კვლევის შედეგად დადგენილია საბანკო სფეროს და უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მომხმარებელთა რაოდენობების განაწილებები და შემოწმებულია მომხმარებელთა პოპულაციების უცნობი საშუალო მნიშვნელობების ტოლობის შესახებ ჰიპოთეზები.

2. დისპერსიული ანალიზის ANOVA-ს გამოყენებით 95%-იანი გარანტით სამართლიანი აღმოჩნდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სამ ბანკში საბანკო ოპერაციებისთვის და ვალუტებისთვის მომხმარებელთა პოპულაციების უცნობი რაოდენობები არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

3. ANOVA-ს გამოყენებით 95%-იანი გარანტით სამართლიანი აღმოჩნდა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ უალკოჰოლო გაზიანი სასმელებისთვის და მათი მახასიათებლებისთვის მომხმარებელთა პოპულაციების უცნობი საშუალო მნიშვნელობები ერთმანეთისგან განსხვავდებულია.

\* \* \*

მარკეტინგული კვლევის შედეგები წარმატებით შეიძლება გამოიყენონ ბანკებმა მომხმარებელთა ნაკადების შესწავლაში, შემოსავლებისა და გასავლების ანალიზში. აგრეთვა, უალკოჰოლო გაზიანი სასმელების მწარმოებლებმა კონკრეტული დასახელების სასმელის მომხმარებელთა რაოდენობების პროგნოზირებასა და სასმელების მახასიათებლებში საჭირო კორექტივების შეტანაში.

1. Kotler P., Keller K. Marketing Management. Pearson Education, 14<sup>th</sup> ed. New Jersey, 2012.
2. Блэкуэлл Р. Д., Миниард П. У., Энджел Дж.Ф. Поведение потребителей. 10-е изд. : Пер. с англ. – СПб.: Питер, 2007.
3. Черчилль Г., Браун Т. Маркетинговые исследования. 5-е изд. Пер. с англ. СПб.: Питер, 2007
4. Аакер Д., Кумар В., Дэй Дж. Маркетинговые исследования. 7-е изд. : Пер. с англ. – СПб.: Питер, 2004.
5. Gerald Keller. Statistics for Management and Economics. 10<sup>th</sup> ed. Cengage Learning. 2014.
6. თოდუა ნ. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქვევის მარკეტინგული კვლევა, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
7. Малхотра Н. Маркетинговые исследования и эффективный анализ статистических данных. Пер с англ. К.: ООО „ТИД ДС“. Москва, Санкт-Петербург, Киев. 2002.
8. ვურთუხია ო. ალბათურ-სტატისტიკური ამოცანები, თბილის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

**Marketing research of consumer behavior on the Georgian market using analysis of variance**


N. Todua

T. Dotchviri

In the given article there are examples of marketing research results analyzed based on Georgian market. Research was conducted on three leading banks – Bank Republic, Bank of Georgia and TBC bank – examples for four different currencies: Georgian Lari, USD, Euro and Ruble. Based on the example of Bank Republic research outcomes there are established clients quantities distribution by bank services and currencies, percentage distribution of currencies by bank services, bank services distribution by currencies. There is also conducted consumer behavior marketing research for ten different soft drinks towards their five attributes. Results provide soft drink consumers quantities distribution by types of soft drinks as well as their attributes.

**Keywords:** market, consumer behavior, marketing research, analysis of variance.

**JEL Classification:** M30, M31, M39.



**გრძელი ტემპერაციაზე**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,**

**სალომე ყიშიანი**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი**

საქართველოს ეკონომიკის ჩამორჩენილობაზე, მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობაც მიუთითებს, რაც მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2013 წელს შეადგენდა 3558\$-ს მსოფლიო სავალუტო ფონდის მიხედვით-3508\$-ს, ხოლო აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებით-3715 \$-ს. შესაბამისად, მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანას შორის ამ მაჩვენებლით ვიმყოფებით 107-ე, 119-ე და 118-ე ადგილებზე[1]. გაეროს მონაცემებით კი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით საქართველო მსოფლიოს 246 სახელმწიფოს შორის 126-ე ადგილზე იმყოფებ[2], ეს მიუთითებს, ბოლო პერიოდში გარკვეული ეკონომიკური წარმატებების მიუხედავად, ეკონომიკის სტაბილური განვითარების აუცილებლობაზე.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, საავტომობილო გადაზიდვები, გეოპოლიტიკური მდებარეობა.

აღნიშნული წყაროების მონაცემებით ჩვენ არასახარბიელო მდგომარეობა გვაქვს მეზობელ სახელმწიფოებთან მიმართებაშიც. მაგალითად, რუსეთში მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 14591\$ (51-ე ადგილი), თურქეთში – 10721\$ (62-ე ადგილი), აზერბაიჯანში – 7900\$ (72-ე ადგილი), სომხეთში – 3173\$ (121-ე ადგილი) [3], ანუ მოსაზღვრე სახელმწიფოებიდან ამ განზოგადოებული ეკონომიკური მაჩვენებლით მხოლოდ სასომხეთს აღვემატებით, რომელიც აზერბაიჯანთან კონფლიქტის გამო თითქმის ბლოკირებულია ოვით აზერბაიჯანის და თურქეთის მხრიდან, ხოლო ირანთან ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, საგზაო ინფრასტრუქტურა განუვითარებელია.

საქართველოს ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს. ჩვენს ტერიტორიაზე გადის სატრანზიტო გზები სომხეთისათვის, აზერბაიჯანის და ნაწილობრივ ირანისთვისაც. ამავე დროს ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისთვისაც ყველაზე მოკლე გზა ზღვაზე გასასვლელად საქართველოს და აზერბაიჯანის ტერიტორიის გავლითაა შესაძლებელი, თუმცა, ამ პოტენციალს ნაკლებად ვიყენებო რიგი შიგა და გარე ფაქტორების გავლენის გამო.

2013 წელს ტრანსპორტის სფეროში შექმნილმა მშპ-მ შეადგინა 1789.2 მლნ ლარი, ამავე პერიოდში მთელი მშპ-ს

(23335.0 მლნ ლარი) თითქმის 7.7%[4], რაც, ერთი მხრივ, საქართველოს ეკონომიკაში ტრანსპორტის გაზრდილ როლზე მიუთითებს და მეორეს მხრივ ეკონომიკის ამ სექტორში შესაძლებლობათა გამოუყენებლობაზე. 1987 წელს, მაშინ როცა საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში იყო, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი სულ შეადგენდა 22645.1 მლნ მანეთს, საიდანაც ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდიოდა 765.3 მლნ მანეთი, რაც მის მხოლოდ 3.4 %-ს შეადგენს[5]. თუ გავითვალისწინებთ მანეთის და ლარის მყიდველობითუნარიანობას, რაც დაახლოებით 1:5-თან მაინც შეიძლება მივიღოთ, გამოდის, რომ 1987 წელს ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში შექმნილმა ერთობლივმა საზოგადოებრივმა პროდუქტმა მაშინ შეადგინა 3826.5 მლნ ლარი, რაც 2013 წლის მონაცემებს მნიშვნელოვნად აღემატება.

ქვემოთ, პირველ და მეორე ცხრილებში მოცემულია ტვირთის გადატანის და ტვირთბრუნვის მოცულობები საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეობის მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ ტრანსპორტის განვითარება ბოლო ათი წლის განმავლობაში უმნიშვნელოა ან ადგილი აქვს მონაცემთა გაუარესებას, რაც ეკონომიკის ამ სექტორში არსებული რეზერვების გამოუყენებლობაზე მიუთითებს. ასე, მაგალითად, 2003 წელს ტვირთის მთლიანმა გადატანამ შეადგინა 41081.4 ათ. ტონა, 2008 წელს – 49058.2 ათ. თონა (გაიზარდა 7976.8 ათ. ტონით), ხოლო 2013 წელს – 47616.4 ათ. ტონა (შემცირდა 2008 წ-თან შედარებით 1441.8 ათ. ტონით). დროის ამავე პერიოდებში საავტომობილო ტრანსპორტით გადაზიდულმა ტვირთებმა 2003 წ-ს შეადგინა 24500.0 ათ. ტონა, 2008 წ-ს – 27864.4 ათ. ტონა, ხოლო 2013 წ-ს – 29431.0 ათ. ტონა.

**ტვირთის გადატანა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (ათასი ტონა).**

ცხრილი 1

წლები	სულ	სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2003	41081.4	1658.7	24500.0	21.4	1.3
2008	49058.2	21181.2	27864.4	11.9	0.7
2013	47616.4	18185.0	29431.0	-	0.4

**ტვირთბრუნვა საერთო სარგებლობის ტრანსპორტის სახეების მიხედვით (მლნ. ტონა-კმ)[6].**

ცხრილი 2

წლები	სულ	სარკინიგზო	საავტომობილო	საზღვაო	საჰაერო
2003	6194.7	5538.5	562.0	91.5	2.7

2008	7165	6927.5	602.6	45.4	1.9
2013	6172.4	5525.9	646.1	-	0.4

მართალია, ტვირთების გადატანის მიხედვით ტრანსპორტის სახეობებს შორის ლიდერია საავტომობილო ტრანსპორტი და მისი ეს მაჩვენებელი რამდერჯერმე აღმატება რკინიგზის ანალოგიურ მაჩვენებლებს, რომ არაფერი ვთქვათ ტრანსპორტის სხვა სახეობებზე, მაგრამ ტვირთბრუნვის მიხედვით საავტომობილო ტრანსპორტი, ასევე მრავალჯერ ჩამორჩება რკინიგზას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტით ჯერჯერობით მხოლოდ მოკლე მანძილებზე ხდება ტვირთების ტრანსპორტირება, რაც განპირობებულია საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური მახასიათებლებით: მისი დატვირთვა-გადმოტვირთვა შედარებით იოლია, მოკლე მანძილებზე ტვირთის გადაზიდვა სწრაფია, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რკინიგზა არ არის და ა.შ.

იმავე “საქსტატის” მონაცემებით ტვირთის საშუალო გადატანის მანძილმა 2013 წელს რკინიგზით შეადგენა 304 კმ, საპარო ტრანსპორტით – 1000 კმ, ხოლო საავტომობილო ტრანსპორტით მხოლოდ 22 კმ[7].

1993 წელს ევროკავშირმა შექმნა TRACECA-ს პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროკავშირის დაკავშირებას ცენტრალურ აზიასთან, ჩინეთსა და ინდოეთთან შავი ზღვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და კასპიის ზღვის გავლით. TRACECA-ს პროგრამით გათვალისწინებული იყო ტექნიკური დახმარების გაწევა, რაც პროგრამის მონაწილე ქვეყნებს საშუალებას აძლევდა მოეხდინათ რკინიგზის, საავტომობილო გზების, აეროპორტების, საზღვაო პორტებისა და ტერმინალების რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია და შექნებლობა. სხვადასხვა პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა საქართველოს გავლით გარკვეული პროდუქტების, უპირველეს ყოვლისა, ნავთობისა და მისი პროდუქტების ტრანზიტი ცენტრალური აზიიდან ევროპაში. მაგრამ ეს პროგრამა ძირითადად შეეხო მიღსადენ ტრანსპორტს, ხოლო ტრანსპორტის სხვა სახეებზე ნაკლებად აისახა. შესაბამისად საქართველოსთვის მიღებული ეფექტიც მინიმალურია[8].

საქართველოს ტერიტორიის გავლით ხორციელდება ტვირთების გადატანა ავტომობილებით, როგორც საკუთრივ საქართველოს კერძო და იურიდიული პირებისათვის, ასევე ტრანზიტული ტვირთებისა აზერბაიჯანის და სასომეეთის, ზოგჯერ კი ირანისათვის და შუა აზიის რესპუბლიკებისთვისაც. ასევე აღნიშნული ქვეყნებიდანაც ტვირთების ტრანსპორტირება დასავლეთის სახელმწიფოებში. ამ ტვირთბრუნვაში საქართველოს გადამზიდავ კერძო პირებს, თუ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიკავონ მნიშვნელოვანი ნიშა, რასაც ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგებარეობა იძლევა, მაგრამ ჯერჯერობით საერთაშორისო გადაზიდვებში საქართველოს წილი ამ მიმართე

## **მოდერატიული განვითარების სამინისტრო**

ბით ძალაში მოკრძალებულია. ასეთი დასკვნის გაკეთება საავტომობილო გზებზე უბრალო დაკვირვებითაც კი შესაძლებელია. ჩვენს გზებზე საერთაშორისო ტექნიკური გადამზიდავი ავტომობილებიდან 18-20 ერთულში თუ შეხვდებით მხოლოდ ერთ ქართულ სატვირთო ავტომობილს. დანარჩენი თურქეთის, გერმანიის, საბერძნეთის, ბულგარეთის და სხვა ქვეყნების სანომრე ნიშნებით მოძრაობს. ასეთი დასკვნას ადასტურებს საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის ადმინისტრაციის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც ტრანსპორტის მინისტრთა ევროპის კონფერენციის (ECMT) მიერ 2015 წლისათვის გამოყოფილი სატვირთო გადაზიდვების მრავალმხირვი კვოტების განაწილების ნუსხაში წარმოდგენილია მხოლოდ 22 იურიდიული პირი და ინდივიდუალური მეწარმე და მათაც ნებართვები აღებული აქვთ მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში სატვირთო გადაზიდვების განხორციელებისათვის[9].

ასეთ მდგომარეობას განაპირობებს ქართული გადამზიდავების საავტომობილო პარკის გაუმართაობა და არასათანადო მენეჯმენტი სხვა, მაკროეკონომიკური ხასიათის ფაქტორებთან ერთად.

„საქსტატის“ მონაცემებით, საქართველოში საავტომობილო პარკი თითქმის სამჯერ გაიზარდა 2002 წლიდან 2014 წლამდე, საიდანაც სატვირთო (პიკაპებისა და მსუბუქი ფურგონების ჩათვლით), მხოლოდ ორჯერ[10], ხოლო მათში ტრაილერის ტიპის სატვირთო ავტომობილები, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ სტატისტიკური მონაცემები ვერ მოვიპოვეთ, მოსალოდნელია გაცილებით ნაკლები რაოდენობით გაზრდილიყო, განსაკუთრებით ისეთებისა, რომლებიც ევროსტანდარტებს შეესაბამება. ასეთი ავტომანქანები საქმაოდ მაღალი ფასით გამოირჩევა, ხოლო ქართული საავტომობილო გადამზიდავი ფირმების უმეტესობა ფინანსური სახსრების ნაკლებობას განიცდის. ამ კონტექსტით მიზანშეწონილი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, თუნდაც გადასახადების დიფერენცირებით და ამ კონკრეტულ მიმართულებაზე გადასახადების განკვეთების ლიბერალიზაციით.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებითაც გათვალისწინებულია მასთან სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობის განვითარება, ევროკავშირის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელებში ჩართვა, საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა[11]. ამ სტანდარტების დაგეგმვაც გვავალდებულებს ავტოპარკის განახლებას და თუ დღეოსათვის ქვეყნის შიგნით მაინც გადაადგილდება ევროსტანდარტებთან შეუსაბამო ტექნიკური პარამეტრების მქონე სატვირთო ავტომანქანები, მოსალოდნელია, რომ რამდენიმე წლის შემდგომ ესეც აიკრძალოს, რაც საქართველოს გადამზიდავებს მძიმე პირობებში ჩააყენებს და აქვთანევ საჭიროა თადარიგის დაჭერა, ტექნიკური გადაიარაღებისადმი ხელშეწყობა.

საქართველოს საავტომობილო ტვირთზიდვაში მნიშვნელოვანი წილითად წარმოდგენილი ტვირთბრუნვა სომხეთსა და რუსეთს შორის, რომელიც ხორციელდება საქართველოს სამხედრო გზისა და ლარსის გამშვები პუნქტის გაცლით. ამ მარშრუტზე მოძრაობს მხოლოდ სომხეთის და რუსეთის სანომრე ნიშნის მქონე სატვირთო ავტომობილები. ეს მიუთითებს ქართული გადამზიდავების ნულოვან ნიშნულზე სატრანზიტო გადაზიდვების ამ მარშრუტზე, რაც გამოწვეულია ქართული გადამზიდავების მოუმზადებლობით.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მგზავრთა გადაყვანის საკითხები, საიდანაც ქართული მხარე აშკარად დისკრიმინაციულად გამოიყურება. საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის საგენტოს ოფიციალურ საიტზე წარმოდგენილია სამგზავრო ავტომანქანების მოძრაობის გრაფიკები იმ ქვეყნების მიხედვით, სადაც საქართველოდან ხორციელდება საერთაშორისო საავტომობილო მგზავრთა გადაყვანა. როგორც წესი, ასეთი მგზავრთბრუნვა ითვალისწინებს პარიტეტულ მდგომარებას, ანუ თუ ერთი მიმართულებით მგზავრთგადაყვანას აწარმოებს გარკვეული სისშირით უცხოური კომპანია, ქართულ მხარესაც იგივე სისშირით შეუძლია მგზავრთგადაყვანა, რასაც ჩვენი მხარე არ თუ ვერ იყენებს. მაგალითად, “თბილისი-თევირანის” მარშრუტზე მხოლოდ ირანული კომპანია ფუნქციონირებს, ასეთივე მდგომარეობაა მარშრუტებზე – “ვალე-ერევანი”, “ახალციხე-ერევანი”, “წალკა-ერევანი” და სხვა. აქაც ბევრი გამოუყენებელი რეზერვია.

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური ხელსაყრელი მდებარეობით, რომელიც ხელს უწყობს სატრანზიტო საავტომობილო ტვირთბრუნვის და მგზავრთგადაყვანის მოცულობის მკვეთრ ამაღლებას ქართული კომპანიებისათვის მაკრო- და მიკროფაქტორების გაცლებით, საქართველოს გადამზიდავი სუბიექტები ვერ სარგებლობენ და ისინი მოითხოვენ მენეჯმენტის შესაძლებლობათა გაზრდას, ტექნიკურ გადაიარაღებას და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას.

## ლიტერატურის სია

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწლეული 2014. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო. თბილისი, 2014.
2. Народное чоziяйство Грузинской ССР в 1987 году. Статистический ежегодник. Тбилиси, 1988.
3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. “საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების” გზამკვლევი. თბ. 2014.
1. Список стран по ВВП (номинал) на душу населения. saiti: [https://en.wikipedia.org/wiki/List\\_of\\_countries\\_by\\_GDP\\_\(nominal\)\\_per](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per)

capita. გადამოწმებულია 28.01.2015.

2. List of countries and dependencies by population. საიტი: [https://en.wikipedia.org/wiki/List\\_of\\_countries\\_and\\_dependencies\\_by\\_population](https://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_and_dependencies_by_population). გადამოწმებულია 28.01.2015.
3. მთლიანი შიგა პროდუქტი 2013 წ-ს. საქსტატი. საიტი: [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/nad/pres-relizi\\_2013\\_GEO\\_daz.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2013_GEO_daz.pdf). გადამოწმებულია 28.01.2015.
4. საქართველოს სატრანზიტო სანტრანსპორტო ინფრასტრუქტურა და მისი განვითარების გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტები. მწვანე აღტერნატივი. საიტი: [www.greenalt.org](http://www.greenalt.org). გადამოწმებულია 14.01.2015.
5. საქართველოს სახმელეთო ადმინისტრაციის სააგენტოს ოფიციალური საიტის გვერდი: <http://lta.gov.ge/doc/satviro%20gadazidvebi/2015/ECMT%202015-danarti%2002-pdf>. გადამოწმებულია 29.01.2014.
6. მთლიანი შიგა პროდუქტი 2013 წელს. საქსტატი. საიტი: [http://geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/nad/pres-relizi\\_2013\\_GEO\\_daz.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/nad/pres-relizi_2013_GEO_daz.pdf). გადამოწმებულია 28.01.2015.
7. Народное хозяйство Грузинской ССР в 1987 году. Статистический ежегодник. Тбилиси, 1988. С.14.
8. საქართველოს სახმელეთო ადმინისტრაციის სააგენტოს ოფიციალური საიტის გვერდი: <http://lta.gov.ge/doc/satviro%20gadazidvebi/2015/ECMT%202015-danarti%2002-pdf>. გადამოწმებულია 29.01.201.
9. საქართველოს სახმელეთო ადმინისტრაციის სააგენტოს ოფიციალური საიტის გვერდი: <http://lta.gov.ge/doc/satviro%20gadazidvebi/2015/ECMT%202015-danarti%2002-pdf>. გადამოწმებულია 29.01.2014.
10. საქართველოს სტატისტიკური წელიწლები 2014. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო. ობილისი, 2014, გვ. 194.
11. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. “საქართველო-ევროპავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების” გზამკვლევი. ობ., 2014, გვ. 14.

### The Growth Possibilities of Trucking in Georgia

**G. Tkeshelashvili  
S. Kipiani**

In the spectrum of economics Georgia transport is represented by significant share, although yet are not applied in appropriated way advantages that are provided by geopolitical position of country. For overcome this is necessary to promote for transit carriers in taxies differentiation, loans discount, implementation of management. All these aid prerequisite for balanced, priority development of field.

**Keywords:** Georgia, road transportation, geopolitical location of the land.

## ФУНДАМЕНТАЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ

(А.Г.Злотников. Демографические идеи и концепции.  
Минск, Право и Экономика, 2014, 388 с.).

Известный Белорусский ученый А.Г. Злотников является автором сотных научных публикаций в области социологии, экономической социологии и демографии. 2014 году вышла его монография «Демографические идеи и концепции». В монографии представлено изложение основных демографических идей и концепций, разработанных выдающимися мыслителями в области экономической и философской науки, демографии и социологии, истории и математики. Основной мыслью монографического изложения является акцент на необходимости демографизация и социологизация современной науки.

В первой главе в историческом плане изложен генезис демографических идей мыслителей древней Греции, западных философов, экономистов и социологов, как доклассического, так и классического периода. Своими заглавиями автор монографии метко, оригинально и кратко излагает суть взглядов тех мыслителей, которые представлены в работе. Приведем некоторые из них: «Следовать своей вечнотворящей природе» (Платон), «Не срезывай молодую ниву» (Аристотель), «Смерть к нам не имеет никакого отношения» (Эпикур), «Что должна вкусить невеста» (Плутарх), «Духовный союз заключается на земле, а не на небесах» (Дж. Мильтон), «Статистика как остановившаяся история» (Дж. Граунт), «Условия демографического развития» (Ш. Монтескье), «Аксиомы, задевающие интересы людей» (Ф. Кенэ), «Истоки обоснования геометрической прогрессии в демографии» (Р. Кантильон и Л. Эйлер), «Законы народонаселения первого профессора экономики Кембриджа» (Т. Мальтус), «Рыночные механизмы демографического развития» (Д. Рикардо), «Более мальтизиец, чем Мальтус» (С. Сисмонди), «О темпоральном характере роста численности населения» (Дж. С. Милль), «Любовь никогда не пресыщает» (О. Конт), «Рождаемость – феномен коллективный» (Ж. Бертильон), «Целительная роль брака» (Э. Дюркгейм), «Демографические ступени развития человечества» (Ф. Мюллер-Лиер), «Народонаселение в отражении производительных сил» (К. Маркс и Ф. Энгельс), «В поисках демографической гармонии» (Г. Спенсер), «О законе спроса в демографии» (А. Маршалл), «Первая российская демографическая программа» (М. Ломоносов), «Демотический фактор экономики» (М. Ковалевский), «Обычай – деспот средь людей» (К. Тахтарев), «Демография и теория семейной экономики» (А. Чаянов), «Многофакторность против монизма» (П. Сорокин), «В его судьбе отразилась

судьба советской демографии» (М. Птуха) ...

Вторая глава посвящена рассмотрению демографических проблем и демографической политики в истории белорусской науки. Излагается экономико-демографическая концепция М. Довнар-Запольского, вклад в развитие советской демографической медицины Б. Смулевича, особенность анализа семейных отношений С. Вольфсона. Показывается сущность социологической трактовки демографических процессов белорусских ученых и их взаимосвязь с тенденциями мировой социологии и демографии. Особо автор уделяет место раскрытию достижений и выявлению проблем современной белорусской демографической науки. Последнее актуально не только для Беларуси, но и для многих новых независимых постсоветских государств, в том числе и для Грузии.

Третья глава посвящена социологии демографии. Здесь изложены концепции самого автора монографии. Прежде всего им дан анализ таких социологических принципов исследования демографических процессов, как диалектической взаимосвязи, постоянного развития, изменения, самодетерминированности, bipolarности, интеграции и дифференциации, соответствия, дополнительности, относительности, объективности и субъективности, рефлексивности.

Четвертая глава посвящена характеристике современных демографических идей и концепций. Автором изложен их генезис и преемственность взглядов мыслителей прошлого и современности. В качестве многообразия современного научного отражения проблем народонаселения представлены прежде всего демографические идеи лауреатов Нобелевской премии по экономике, многие из которых считают свои экономические выводы и социологическими выводами. Это взгляды Я. Тинбергена («Демографические проблемы и пересмотр мирового порядка»), Р. Солоу («Проблема ответственности перед будущими поколениями»), С. Кузнецова («В поисках демографического оптимума»), Г. Мюрдаля («Против склонности к предвзятости»), Т. Шульца («О роли человеческого капитала»), Дж. Хекмана («Специфический человеческий капитал»), Г. Беккера («Рыночные подходы анализа института семьи и брака»), А. Сены («Экономическая политика и арифметическая прогрессия»), В. Леонтьева («За разрушение границ “блестящей изоляции”»), Ф. Модильяни («Молодые сберегают, старые растрачивают») и других выдающихся экономистов современности.

В этой же главе в параграфе «Демографический переход и/или институциональное объяснение?» А. Злотников раскрывает суть, достоинства и недостатки самой популярной ныне в социолого-демографической науке концепции – теории демографического перехода. Он считает, что в общем плане концепция теории демографического

перехода Ф. Ноутстейна дает наиболее презентабельное представление о различных типах воспроизведения. Вместе с тем существующая трактовка теории демографического перехода, как «теории», по мнению автора, – недостаточно удовлетворительная. Автор монографии рассуждает следующим образом: «Ее трактовка исходит из простого эмпирического статистического подхода, представляя комбинации количественных показателей рождаемости и смертности. И, как «теория», теория демографического перехода не отвечает на главное в теории перехода, если это «переход», то переход: от чего? и к чему? Если это – действительно «теория», но она должна иметь содержательную объяснительную трактовку. Определение же, что данная концепция применяется для объяснения смены типов воспроизведения, или отражает переход в изменении типа воспроизведения общества от традиционного аграрного к городскому индустриальному, или отражает взаимодействие между социальными изменениями и демографическими тенденциями (Ф. Ноутстейн) для формулировки содержания теории, – автор монографии считает, – явно недостаточным. Подобное (для объяснения смены типов воспроизведения) можно сказать и об эйлеровской гипотезе 25-летнего удвоения численности населения и о концепции народонаселения К. Маркса, что каждому способу производства соответствуют и свои законы народонаселения» (с. 347).

Автором формулируется свое отношение и понимание теории демографического перехода, во-первых, как «теории», а во-вторых, и как «перехода» и это он обосновывает следующим образом: «теория демографического перехода отражает историческую смену типов демовоспроизводства, выражющуюся в переходе от количественного репродуктивного поведения людей через демографический взрыв к качественному репродуктивному поведению. И в этом смысле теория демографического перехода – более жизненна: она отражает и переход – и от чего, и к чему. Она отражает и содержательный аспект теории, т.е. раскрывает то, что характеризует любую теорию – ее сущность» (с. 349).

Мы остановились на отдельных ключевых аспектах фундаментальной монографии белорусского социолога и демографа Анатолия Злотникова. Эту книгу безпереувеличения можно назвать своеобразной энциклопедией социолого-демографических идей и концепций и научным бестселлером.

**Мириан Тухашвили  
Профессор кафедры макроэкономики ТГУ  
имени Ив. Джавахишвили,  
Научный руководитель центра миграционных исследований**

## საინტერვიუ და ფრიალ

## საჭირო ნაშრომი

(Р. Абесадзе, В. Бурдули. Структурные и инновационные проблемы экономического развития. Тбилиси, 2014. -372 с.)

ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინო-  
გაციური პრობლემების გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა  
აქვს ქვეყანაში ისეთი მძლავრი თანამედროვე ეკონომიკის  
ჩამოყალიბებისათვის, რომელსაც ექნება ქვეყნის მოსახლეო-  
ბის კეთილდღეობის მაღალი დონის უზრუნველყოფის უნარი.  
სამწუხაროდ, ბოლო პერიოდამდე საქართველოს ეკონომიკის  
სტრუქტურული პარამეტრები (დარგობრივი, ტექნოლოგიური,  
რეგიონული, გარკვეულწილად ინსტიტუციური და ა. შ.) სულ  
უფრო და უფრო ცალმხრივი ხდებოდა. კერძოდ, იგვეცებოდა  
ან ქრებოდა წარმოება ბევრ ტრადიციულ დარგში, ფაქტო-  
ბრივად, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ იქმნებოდა ახალი  
თანამედროვე მაღალტექნოლოგიური დარგები, ამის შედეგად  
იმპორტის მოცულობა თითქმის ყველა დარგში აჭარბებდა  
იმავე პროდუქტების ადგილობრივი გამოშეების მოცულობას,  
შესაბამისად, იმპორტის მოცულობა, თითქმის ყველა არსებული  
დარგის პროდუქციის მიხედვით, რამდენჯერმე აღემატებოდა  
ექსპორტის მოცულობას. თითქმის არავითარი ყურადღება არ  
ექცეოდა საქართველოში ინოვაციური პრობლემების გადაწყვე-  
ტას, თანამედროვე ეროვნული ინოვაციური სისტემის ჩამოყა-  
ლიბებას. ამის გარეშე კი შეუძლებელია ისეთი თანამედროვე  
კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელსაც  
თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში საერთაშორისო  
კონკურენციაში ქმედითი მონაწილეობის უნარი ექნებოდა ექს-  
პორტული პოტენციალის მუდმივი მატებისა და შესაძლებე-  
ლი მიმართულებებით იმპორტჩანაცვლების უზრუნველყოფის  
საფუძველზე.

ამ პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებების ძიებას ეძღვნება მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგების ამსახველი სარეცენზიო წიგნი, რომელშიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების საკითხები განიხილება სტრუქტურული და ინოვაციური პოზიციებიდან. სტრუქტურული მიდგომა თვალისწილების ჩანს წიგნის არქიტექტონიკიდან, რომელშიც თანამიმდევრულად განიხილება: ეკონომიკის განვითარების

უაქტორების (როგორც სტრუქტურული ელემენტების) შინაარსის თანამედროვე გაგება; გლობალიზაციის პირობებში დარგობრივი, ტექნოლოგიური და სახელმწიფო და ბიზნესის ორგანიზაციულ-ინსტიტუციური სტრუქტურების ფორმირების თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები; დარგობრივი და ტექნოლოგიური სტრუქტურების გაუმჯობესების საკითხები, რომლებიც განხილულია, უპირველეს ყოვლისა, დასაქმების დონის ზრდისა და დასაქმების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით; გლობალური და რეგიონული ინტეგრაციის პირობებში ქვეყანაში ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციისა და კოორდინაციის სისტემების განვითარების პრობლემები; საქართველოს რეგიონული სტრუქტურების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ასპექტი; ქვეყნის ეკონომიკის თვითგმარობის დონის ამაღლებაზე ორიენტაციის გათვალისწინებით, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განვითარების საკითხები.

ნაშრომში ჯეროვაანი ყურადღება ეთმობა ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ისეთი მნიშველოვანი შემადგენლების დახასიათებას, როგორიცაა ენერგიის უზრუნველმყოფული დარგები, ასევე სოფლის მეორნეობისა და მისი მომიჯნავე დარგები, მათი ურთიერთშესამებული განვითარება.

ნაშრომში ინოვაციური ასპექტები ვლინდება წიგნის ყოველ თავში, სადაც თავების შინაარსთან კონტექსტით განიხილება ტექნოლოგიების განახლების, წარმოების ინსტიტუციური ორგანიზაციის სრულყოფის, სახელმწიფოსა და ბიზნესის კოორდინაციისა და სხვა შესაბამისი საკითხები. ასევე, საინტერესოდაა გაშუქებული გლობალიზაციის გავლენის შესაძლებლობების ზოგადი ასპექტები, მიმართული ტექნოლოგიების განახლებაზე, პროდუქციის კონკურენტუნარიანობასა და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებაზე და ა. შ.

სახელმწიფო და საბაზო კოორდინაციის გაუმჯობესებისა და ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურული და ინოვაციური პარამეტრების სრულყოფის გზები ავტორების მიერ შემუშავებულია ეკონომიკური განვითარებისადმი თანამედროვე თეორიული მიდგომებისა და ზოგიერთი განვითარებული და წარმატებულად განვითარებადი ქვეყნების გამოცდილების გამოკვლევის საფუძველზე. ნაშრომში სხვადასხვა პოზიციიდან მოცემულია გარდამავალ პერიოდში საქართველოს ეკონომიკის განვითარების კრიტიკული შეფასება, სახელმწიფო და საბაზო კოორდინაციის მექანიზმების ურთიერთმიმართების კრიტიკული ანალიზი. ამის საფუძველზე შემუშავებულია მიღომები ამ მექანიზმების სრულყოფისათვის ეკონომიკური გან-

## პირი პედიატრიული

ვითარების რაოდენიბრივი და თვისებრივი პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით.

წიგნის პირველ თავში – “ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები” – განხილულია ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული ელემენტების, ანუ ფაქტორების (ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი; ფიზიკური კაპიტალი; მეცნიერება; ტექნოლოგიური ცოდნა; ადამიან-კაპიტალი; ინსტიტუციები; ეკოლოგიური ფაქტორი) თანამედროვე გაგება და მათი როლისა და ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის ტრანსფორმაცია საერთაშორისო ფაქტორებსა და გლობალიზაციასთან კონტექსტით. გამოკვლეულია ამ ფაქტორების გამოვლენის თავისებურებანი ქვეყნებში - განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკით და დადგენილია მათი შინაგანი სტრუქტურის სრულყოფისა და გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებები მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის მიზნით.

მეორე თავში – “თანამედროვე პირობებში ეკონომიკური განვითარების შეფასების სისტემის სრულყოფის შესახებ”, თანამედროვე თეორიული მიდგომების შეფასებისა და განვითარებული ქვეყნების პრაქტიკული გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასების (ინდიკატორების, მაჩვენებლების) შესახებ, კერძოდ, ეკონომიკის სტრუქტურული განვითარების რაოდენობრივი და სტრუქტურული მაჩვენებლების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მაჩვენებელთა სისტემის სრულყოფას, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყანაში სიდარიბისა და კეთილდღეობის დონეს იმ მიზნით, რომ ასეთი სისტემები საკმარის საფუძველს გვაძლევდეს სტრუქტურულ-დარგობრივი და რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისათვის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის კეთილდღეობის დონის ამაღლებისა და სიღარიბის დონის შემცირების აუცილებლობის გათვალისწინებით. საინტერესოა ასევე წინადადებები ეკონომიკის დარგებში ფიზიკური და სოციალური ტექნოლოგიების დიფუზიის შეფასების სისტემის სრულყოფის შესახებ (გვ. 47-50). ამასთან, ჩვენი აზრით, საჭირო იყო აგტორებს ამ თავში უფრო სრულად და მკაფიოდ წარმოუჩინათ ფიზიკური და სოციალური ტექნოლოგიების განვითარების თვისებრივი მაჩვენებლები.

მესამე თავში – “ქვეყნის ეკონომიკის დარგობრივი, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული სტრუქტურების განვითარების საკითხები გლობალიზაციის პირობებში”, განხილულია

დარგობრივი, ტექნოლოგიური და სახელმწიფო და საბაზო ორგანიზაციულ-ინსტიტუციური სტრუქტურების ფორმირების თეორიული-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები გლობალიზაციის ინტეგრაციული პროცესების პირობებში. სიღრმისეულადაა გამოკვლეული დარგების დაჯგუფების მიმართ თანამედროვე მიდგომები ტექნოლოგიების დონის შეფასების კრიტერიუმის, დარგების პრიორიტეტულობის კრიტერიუმების და ა.შ. მიხედვით. სისტემატიზებულია ტექნოლოგიების განვითარებისა და ეკონომიკის დარგებში მათი დიფუზიის პროცესები, დადგენილია ურთიერთკავშირები ტექნოლოგიური წყობის განვითარებასა და ეკონომიკური კოორდინაციის სისტემების (სახელმწიფო და საბაზო) ტრანსფორმაციას შორის. ამის საფუძველზე დადგენილი და დასაბუთებულია სახელმწიფო რეგულირებისა და ბიზნესკორდინაციის სრულყოფის გზები.

სარეცენზიონი ნაშრომის მეოთხე თავში – “თანამედროვე ტექნოლოგიურ წყობაზე დაჩქარებული გადასვლა, როგორც სიღარიბის დაძლევის საშუალება,” აღნიშნულია, რომ ეკონომიკის პოსტსაბჭოური დაცემის შემდეგ შეიკვეცა წარმოება ბევრ საჭირო დარგში და საქმიანობის მრავალი სახეობა გამოუყენებელი დარჩა. გაიზარდა უმუშევრობის დონე. სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ის შიგასექტორული დისპროპორციები და ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის სიღარიბის დონის არსებით შემცირებას. აუტორების მიერ გაანალიზებულია სხვადასხვა ქვეყანასა და საქმიანობის სხვადასხვა სექტორში მოთხოვნა დასაქმებულებზე და ნაჩვენებია, რომ ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პირობებში იზრდება მოთხოვნა როგორც რთული ტექნოლოგიების ექსპლუატაციის უნარის მქონე მომუშავებზე, ასევე, ძირითადი წარმოების დამხმარე მომსახურების სფეროებში დასაქმებულებზე (გვ. 110). ამ თავის ბოლოს ავტორების მიერ დასახული და დასაბუთებულია ტექნოლოგიური წყობის მოდერნიზაციის გზები საქართველოში სიღარიბის დაძლევის პრობლემების გათვალისწინებით.

წიგნის შემდეგ სამ თავში ცალ-ცალკე განიხილება ეკონომიკის სამი ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორის (ინოვაციური, ენერგოეკოლოგიური და აგროსამრეწველო სექტორი) პრობლემები, რომელთა გამსწრებ განვითარებასა და საიმედო ფუნქციონირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მდგრადი და ეფექტური საერთო-ეკონომიკური განვითარების მიღწევისათვის.

მექუთე თავში – “ნეოინდუსტრიული განვითარება: ინოვაციური საქმიანობის კოორდინაცია და მისი განხორციელების ხერხები”, ნაჩვენებია ინოვაციური სისტემების განვითარების აუცილებლობა საერთო-ეკონომიკურ განვითარებასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით. ავტორების მიერ, განვითარებული და ახალი ინდუსტრიული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე, სისტემატიზებულია ინოვაციური საქმიანობის თანამედროვე ფორმები და მისი სახელმწიფო და საბაზრო კოორდინაციის მეთოდები, რის საფუძველზეც დასახულია საქართველოს პირობებში ინოვაციური სისტემების სახელმწიფო რეგულირებისა და საბაზრო კოორდინაციის განვითარებისა და მისი რეგიონული და გლობალური ინტეგრაციის გზები წარმოების ეფექტიანი რესტრუქტურიზაციის მიზნით.

მეექვსე თავში – “ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური პრობლემები და საქართველოში ენერგოეკოლოგიური ბაზრის ფორმირების მაროეკონომიკური მექანიზმი”, საერთო-ეკონომიკურ განვითარებასთან ურთიერთკავშირით შესწავლილია პოსტკომუნისტური ქვეყნის ენერგოუზრუნველყოფის პრობლემები ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. დასაბუთებულია ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი დეტერმინანტის - ენერგოეკოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობა. მის საფუძველზე მოცემული და დასაბუთებულია ქვეყანაში ენერგოეკოლოგიური ბაზრის შემდგომი ფორმირებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები: ენერგოწარმოებასა და ენერგომოხმარებაში პროგრესული სტრუქტურული ცვლილებების განხორციელება, ენერგიის განახლებადი წყაროების (მათ შორის არატრადიციულების) გამოყენების დონის გაზრდა, ბუნებრივ გარემოზე ენერგოზემოქმედების რეგულირების გაუმჯობესება, ექსპორტის და ენერგოტრანზიტის სტიმულირება, ენერგოეკოლოგიური კომპლექსის ჩართვა მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარში.

მეშვიდე თავში – “მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნავე დარგების შეთანხმებული განვითარების აუცილებლობა”, მკაფიოდაა ნაჩვენები, რომ ეკონომიკის გადასვლა თვისებრივად ახალ მდგომარეობაში, დიდადა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებაზე. განიხილება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომიჯნევე დარგების კოორდინირებული განვითარების პრობლემები.

მერვე თავში – “საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარების გზები”, სტრუქტუ-

რული და სისტემური მიღღომების გამოყენების საფუძველზე, გაანალიზებულია რეგიონული განვითარების კოორდინაციის თანამედროვე მდგომარეობა, დასაბუთებულია რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის სრულყოფის გზები. აჭტორების აზრით, ამ მიმართებით პირველ რიგში უნდა დაისახოს რეგიონების ჰურილით, ბიზნესის, წარმების დივერსიფიკაციის და რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარების გზები. თანამედროვე მოთხოვნების შუქზე, რაც აისახა ქვეყნის მთავრობის თანამედროვე მიზანდასახულებებში) გამოვლუნილია ტერიტორიული მართვის ვერტიკალური და ფუნქციური დეცენტრალიზაციის მიზნები, ასევე დასახული და დასაბუთებულია ასეთი დეცენტრალიზაციის შემდგომი გაღრმავების გზები.

მეცხრე თავში – “გლობალიზაციის პროცესის როლი მეურნეობის განახლებაში ქვეყანაში გარდამავალი ეკონომიკით”, გაანალიზებულია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში გლობალიზაციის გავლენა ტექნოლოგიების განახლების, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდისა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა ამ თავის უკანასკნელი პარაგრაფი, სადაც განიხილება ცნებების “გლობალიზაცია”, “ნეონდუსტრიული განვითარება” და “ინოვაციური ეკონომიკა” თანაფარდობა და ურთიერთგაფშირი.

მეათე თავში – “მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტიურობის გაძლიერების პრობლემები საქართველოში”, გაანალიზებულია ქვეყანაში არასაკმარისი მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტიურობის მიზეზები, რომელთა შორისაა: საწყისი ტექნოლოგიური ბაზის ჩამორჩენილობა; გეოეკონომიკური მდგომარეობის უპირატესობების არასაკმარისი დონით გამოყენება; გრძელვადიანი დაკრედიტებისათვის საფინანსო რესურსების ნაკლებობა; ამ ეტაპზე მატერიალური წარმოების პრიორიტეტულ დარგებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სირთულეები.

მეოთხოვეტე თავში – “საქართველოს დარგობრივი სტრუქტურის ნაკლოვანებები და მისი გაუმჯობესების გზები”, მოცემულია საქართველოს ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის კომპლექსური ანალიზი, რისი შედეგების გათვალისწინებით აგრძორებმა დასახეს და დაასაბუთეს ცალკეული პრიორიტეტული დარგების მიზანშეწონილი განვითარების გზები ახლო მომავალში ქვეყანაში მაღალი ”სტრუქტურული ეფექტის” მისაღწევად. ამავე თავში ნაჩვენებია საქართველოში ამჟამად შექმნილი კერძო “თანაინვესტირების ფონდის” შეს-

## **გივი ბერიანაშვილი**

---

აძლებლობები და განხილულია სახელმწიფო საფინანსო-საინვესტიციო ინსტიტუტის (ფონდის ან საინვესტიციო ბანკის სახით) შექმნის საკითხები, ომელმაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი საქართველოში მიზანშეწონილი ინვესტიციური აქტივობის გაზრდაში.

მთლიანობაში, წიგნში მაღალ მეცნიერულ დონეზეა გაშუქებული და არგუმენტირებული ქვეყანაში თანამედროვე დარგობრივ-სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემების გადაწყვეტის მნიშვნელოვანი პრობლემები. ამ გამოკვლევის შედეგების გაცნობა, ჩვენი აზრით, დაეხმარება მეწარმეებს ბიზნესსტრუქტურების გაუმჯობესებასა და ინვესტიციების განსახორციელებლად პერსპექტიული მიმართულების არჩევა-ში, სახელმწიფო სტრუქტურებს კი - ეკონომიკური საქმიანობის სრულყოფაში.

**გივი ბერიანაშვილი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი**

## **ურნალში – “ეკონომიკა და ბიზნესი”, სამეცნიერო სტატიის წარმოდგენისა და გამოქვეყნების ახალი სტანდარტები:**

1. ურნალში ქართულ, ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე ქვეყნდება სტატიები ეკონომიკური თეორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის, ეკონომიკური პოლიტიკის, ეკონომიკისა და ბიზნესის აქტუალურ საკითხებზე, ასევე, რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე;

2. სტატია უნდა იყოს აქტუალური, დამოუკიდებლად შესრულებული, ორიგინალური, ადრე გამოუქვეყნებელი და სხვა გამოცემებში არწარდგენილი; სტატიაში სხვისი გამოქვეყნებული ტექსტების მითითების გარეშე გამოყენება (პლაგიატი) დაუშვებელია;

3. ყველა სტატია, ძირითად ტექსტობან ერთად, აუცილებლად უნდა შეიცვლის შესავალ და დასკვნით ნაწილებს.

შესავალში, მეტ-ნაკლები ზომით, წარმოჩენილი უნდა იყოს: (ა) საკვლევი არობლების შესწავლის დონე და აქტუალურობა, (ბ) კვლევის მიზნები და ამოცანები, (გ) კვლევის ორიგინალურობა - ავტორის წვლილი მოცემული პრობლემის კვლევაში, (დ) სტატია უნდა იყოს მეთოდოლოგიურად სწორად აგებული, ანუ უნდა ჩანდეს კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენება. რაც შეეხება ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებას, მასზე მინიშნება მხოლოდ მაშინაა მიზანშეწონილი, თუ სტატია ამ მხრივ რიმე სიახლეს შეიცავს და წარმოადგენს საინტერესოს მოცემული კვლევის თვალსაზრისით.

ძირითად ტექსტში, განსახილველ საკითხთა შესაბამისად, უნდა გამოიკვეთოს რამდენიმე ქვეთავი.

დასკვნით ნაწილში მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული კვლევის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები, ადეკვატური რეკომენდაციები, რაშიც უპირატესობა ეძლევა არსებული დოგმების უარმყოფელ ავტორისეულ მტკიცებულებებს, ან კიდევ - მის სრულყოფა-განვითარებას; ასევე, სასურველია კვლევის შემდგომი შესაძლო გაღრმავების მიმართულებებისა და პერსპექტივების გამოკვეთა;

4. სტატიას თან უნდა ახლდეს სწორად შერჩეული საკვანძო სიტყვები (Keywords);

5. ანოტაცია უნდა იყოს ინფორმაციაზევადი, სტატიის ძირითადი შინაარსის ამსახველი, აღწერდეს კვლევის მიზანს, აჯამებდეს კვლევის ძირითად შედეგებს და წარმოაჩენდეს მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას; უნდა იყოს სტრუქტურირებული, ე.ი. მისდევდეს სტატიის აგების ლოგიკას. ანოტაციაში კატეგორიულად უნდა ავიცილოთ თავიდან ზოგადი, არაფრისმოქმედი სიტყვები, რაც მხოლოდ ზრდის ტექსტის მოცელობას, მაგრამ ხელს არ უწყობს სტატიის შინაარსის გახსნას. მოკლედ, ანოტაცია უნდა იყოს არსებითად ორიგინალური;

6. სტატია წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატით. სტატიის მოცელობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალისა და რეფერაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე 1,5 ინტერვალით და 12 შრიფტით ნაბეჭდ ერთ საავტორო თაბას (40 ათასი ნიშანი) ან 20 კომპიუტერულ გვერდს;

7. ქართულ ენაზე დაწერილ სტატიას უნდა ახლდეს ანოტაცია (ავტორისეული რეზიუმე) 600 ნიშანამდე ქართულ და ინგლისურ ენებზე, ასევე სათაური ინგლისურ და რუსულ ენებზე. უცხო ენაზე დაწერილ სტატიას თან უნდა ახლდეს ძირითადი შინაარსი 2 გვერდზე ქართულ ენაზე და ანოტაცია იმავე უცხო ენაზე. სტატია, რომელიც რეცენზებითა და სარედაქციო კოლეგიის დასკვნით აქმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს, დაიბეჭდება

ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამასთან, სარედაქტო კოლეგიის მიერ ასევე მნიშვნელოვნად მიჩნეულ სტატიას თან უნდა დაერთოს გაშლილი რეზიუმე (2 გვერდზე) ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს უკანასკნელი დაიბჭყდება სტატიასთან ერთად (ავტორის თანხმობით);

8. რედაქტიაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად, ელფერსიასთან ერთად (MS word, ქართული სტატია შრიფტით AcadNusx, ხოლო უცხოურ ენაზე ტექსტი - Times New Roman);

9. სტატიის სათაურის ქვემოთ (მარჯვენა მხარეს) უნდა მიეთოთოს ავტორის (ავტორების) სრული სახელი, გვარი, აკად. ხარისხი, თანამდებობა, ტელეფონი, ელფონსტა;

10. სტატიაში უნდა ჩანდეს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვნანი ლიტერატურის გამოყენება. ლიტერატურის დასახელება უნდა განთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით: а) წიგნის დასახელება შემდეგი თანმიმდევრობით - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, გამოცემის ადგილი, გამოცემლობა, წელი, გვერდების რაოდენობა; ბ) საურნალო სტატიისათვის - ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ჟურნალის ნომერი(სტატიის გვერდების მითითებით).

ლიტერატურის სია უნდა შედგეს მხოლოდ ტექსტში მითითებული წყაროებისაგან - მათი დასახელების რიგოთობის მიხედვით. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომიდან ციტირებისას, მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით შემდეგი სახით [5.გვ.4], სადაც პირველი ციფრი შესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე - იმ გვერდს, საიდანაც მოყვანილია ციტატა. ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის (ჟურნალის) ბიბლიოგრაფიული აღწერა უნდა შეესაბამებოდეს მის სატიტულო ფურცელს. არაინგლისურ ლიტერატურას თან უნდა ახლდეს მისი ზუსტი იხგლისური თარგმანი (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმელი);

11. ძირითადად ტექსტში ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განთავსდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არასაკმარისია, შეიძლება მომდევნო გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს დასახლება და ნუმერაცია.

12. მაგისტრანტს (მაგისტრს) მოეთხოვება თავისი, დამოუკიდებლად შესრულებული სამეცნიერო სტატია წარმოადგინოს მეცნიერ - ხელმძღვანელის დასკვნისა და შესაბამისი კათედრის რეკომენდაციასთან ერთად - ოქმიდან ამონაწერის სახით;

13. სტატიას, რომელიც არ უპასუხებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, რედაქტირა არ მიიღებს;

14. ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რეცენზირება, საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, ანონიმურია. შეფასება ხდება რეიტინგული სისტემით (ტექსტს თან ახლავს). ამასთან, შემოსული სტატიები რედაქციული დამუშავების შემდეგ იგზავნება რეცენზენტებთან. ამ პროცესების გავლის შემდეგ, სტატია გადაეცემა სარედაქციო კოლეგიის წევრს მისი შეფასებისათვის. საბოლოო გადაწყვეტილებას ამა თუ იმ სტატიის ჟურნალში პუბლიკაციის შესახებ ერთობლივად იღებს სარედაქციო კოლეგიის სხდომა;

15. ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა ივ. ჯავახიშვილის თხუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა, დოქტორანტებისა, მაგისტრანტებისა და ყველა თანამშრომლისათვის, ხოლო სხვა (გარე) ავტორები იხდიან საფასურს - ერთ გვერდზე 5 (ხუთ) ლარს, რაც მათ მიერ ჩაირიცხება თხუ-ის ეკონომიკური შემოსავლების ანგარიშში.

**რეცენზენტთა მიერ სამეცნიერო სტატიების შეფასების  
კრიტიკულუმები  
(რეცენზირება ანონიმურია)**

შეფასება	საუკუ- თესო (5)	კარგი (4)	დამაკმა- ყოფილუ- ბელი (3)	არადამაკ- მაყოფილუ- ბელი (2)
პრობლემის შეს- წავლის დონე და აქტუალურობა				
კვლევის მიზნები და ამოცანები				
კვლევის ორიგი- ნალურობა (ავ- ტორის წვლილი მოცემული პრობ- ლემის კვლევაში)				
მეთოდოლო- გიურად სწორად არის თუ არა აგებული სტატია				
კვლევის ძირითა- დი თეორიული და პრაქტიკული შედეგები				
კვლევის შემდ- გომი გადრმავების შესაძლო მიმარ- თულებები და პერსპექტივები				

**რეცენზენტის დასკვნა:**

1. სტატია აქმაყოფილებს მოთხოვნებს და შეიძლება დაიბეჭდოს
2. სტატია საჭიროებს გარკვეულ ჩასწორებებს
3. სტატია საჭიროებს ძირიულ გადამუშავებას
4. სხვა სასურველობები



ISSN 1987-5789



9 771987 578004

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -  
მანანა ჯიხვიშვილი

საკონტაქტო ტელეფონი:  
2 30 36 68  
599 10 38 16; 599 24 77 47.  
e-Mail:ebf.journal@tsu.ge  
lia\_lugela@mail.ru